№047 (12 423) 27 თებერვალი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## ქართული ნინადადების კვიპროსული ექო

კუნძულელებს ქდცბაია ქართველებისთვის არ ეთმობათ 4



## ზაზას რეკორდი 11

# შეთავაზება დიდი გათვლით



ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

შესაძლოა, ქდცბაია მომავალში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს 4



ზაურ სვანაძე



გელა შეყილაძე

# ჭაბუკთა ნაკრების ახალი მწვრთნელები

ინტერვიუები ზაურ სვანაძესა და გელა შეყილაძესთან 3

კრივი. სალიცენზიო ტურნირი

# იზორია და ჟვანია: ორ-ორი ნაბიჯი ლიცენზიამდე

იტალიის ქალაქ პესკარაში დაიწყო მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდება. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ევროპელებს დარჩათ 2 შეჯიბრება, სადაც დარჩენილ ოლიმპიურ საგზურებს გაინაწილებენ. პესკარის შემდეგ, ამგვარი შეჯიბრება საბერძნეთის დედაქალაქ ათენში შედგება. საქართველოს ნაკრების წევრთაგან ჯერჯერობით არცერთს არა აქვს ლიცენზია...

სამწუხაროდ, პესკარის ტურნირის დებიუტი ჩვენთვის არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. 8 ქართველიდან ხუთმა ნაადრევად დაამთავრა შეჯიბრება.

54 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ჯერჯერობით წაუგებლად ჩხუბობს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ნიკოლოზ იზორია.** მან პირველ შეხვედრაში ალბანელი არტურ გავოცი დაამარცხა (27:6), რომელსაც მეორე წრეში მასპინძელი ვიტორიო ფარინელოც მიაყოლა (24:13). დღეს იზორია გერმანელ რუსტამჰოჯა რაჰიმოვს შეხვდება და თუკი ისევ მოიგებს, ნახევარფინალში გავა. ამ წონაში კი ნახევარფინალში დამარცხებულებსაც აქვთ პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვების შანსი. კერძოდ, ბრინჯაოს პრიზიორები ერთმანეთს შეხვდებიან და გამარჯვებული პეკინში წავა.

57 კილოგრამში, პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა შეჯიბრებას **კობა ფხაკაძე,** რომელმაც იტალიელ ალესიო დი სავინოს ვერაფერი მოუხერხა (10:21). ასევე სასტარტო ორთაბრძოლაში დაუცდა ფეხი ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **კონსტანტინე კუპატაძეს** (60 კგ). იგი უნგრელმა მიკლოშ ვარგამ გამოთიშა ტურნირს - 31:19.

ჯერჯერობით, რინგზე არ გამოსულა **ლევან ღვამიჩავა** (64 კგ), რომელიც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ახლოს იყო ლიცენზიასთან, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა ბოლო რაუნდში წააგო. პესკარაში იგი პირველ წრეში იტალიელ დარიო ვანგელს შეხვდება.

წარმატებით იქნევს მუშტებს შარშანწინდელი ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი **კახა ჟვანია** (69 კგ). კახამ თავიდან ბულგარელი დიმიტარ სტილიანოვი დააჩოქა (16:5), ხოლო მეორე წრეში უნგრელი ნორბერტ ჰარშა გაუყენა ბულგარელის გზას - 16:6. მეოთხედფინალში ჟვანია ინგლისელ ბილი ჯოი საუნდერსს შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში, ერთი მოგება დასჭირდება ოლიმპიური საგზურისათვის. 54 კილოგრამის მსგავსად, ამ წონაშიც თუ ფინალში ვერ გახვალ, ნახევარფინალში დამარცხებაც გიტოვებს ოლიმპიური ლიცენზიის განაღდების შანსს - ამისათვის მეორე ნახევარფინალისტს უნდა მოუგო.



ნიკოლოზ იზორია (მარცხნივ)

როგორც ჩანს, ახლახან მიღებული ტრავმის შემდეგ, ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომა ვერ მოახერხა **გიორგი ნაკანმა** (75 კგ). ეს პერსპექტიული ახალგაზრდა ინგლისელ ჯეიმს დეგალესთან დამარცხდა (5:18) და პეკინზე ფიქრი აპრილამდე გადადო.

ასევე პირველ წრეში დამარცხდნენ **დავით წიკლაური** (84 კგ) და მძიმეწონისანი **ბექა ლობჟანიძე**. წიკლაურს ავსტრიელმა გზიმ ტაპირმა გადაუკეტა გზა (14:6), ხოლო ლობჟანიძე დაძაბულ ბრძოლაში ბერძენ გეორგიოს ჩოტცთან დამარცხდა - 18:21.

**კობა ხატისაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# სიონს სჯეროდა და მოიგო

**სპარტაკი-სიონი**

**0:2**

26.02. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

0:1 ბოიომო (10), 0:2 კვიტაიშვილი (48. ნოზაძის პასით)

სპარტაკი: ქვილითაია - კუპრეიშვილი, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი - ხიდაშელი (63. ბახტურიძე), ძარია, ტყეშელაშვილი (74. თექთურმანიძე), გოგოხია (60. ივანაშვილი) - კვარაცხელია, ლონლაძე

*სათადარიგოები: კოდალაევი, ქორიძე, დათუნაშვილი, ქავთარაძე*

სიონი: ბობლიაშვილი - ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო (63. ავალიანი), კობაური - კვიტაიშვილი (75. შავგულიძე), ოქროპირიძე, ბაჯელიძე, ნოზაძე - ჩასემი (87. ჭელიძე)

*სათადარიგოები: იაშვილი, ქარდავა, ვაშაკიძე, სანიკიძე*

გაფრთხილება: ქურასბედიანი (19), ბაჯელიძე (31), კუპრეიშვილი (44), ხიდაშელი (53), ჯიქია (65), შავგულიძე (85)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**5.** „სიონის" საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნულ სახიფათო ჯარიმას ხიდაშელი ცუდად ასრულებს.

**10.** 0:1 - „სპარტაკის" კართან შეტევაში ჩართული ფრიდოლინი დაახლოებით თხუთმეტი მეტრიდან ძლიერად ურტყამს და ანგარიშს ხსნის.

**25.** კიდევ ერთ სახიფათო ჯარიმას ასრულებს „სპარტაკი" უხეიროდ.

**33.** ლევან ბაჯელიძის მიერ ოციოდ მეტრიდან დარტყმული მცირედით სცდება მიზანს.

**37.** მორიგი საჯარიმო სტუმართა კარის მისადგომებთან, რომელიც კვარაცხელიას დარტყმით სრულდება.

**47.** აკაკი კუპრეიშვილის მიერ საჯარიმოში ცუდად მოგერიებული ბურთი ჩასემს მიუვიდა, თუმცა ვიდრე კამერუნელმა რამე მოიფიქრა, ქემოკლიძემ ფეხიდან აацალა იგი.

**48.** 0:2 - ნოზაძის მიერ კუთხურიდან მოწოდებულმა ბურთმა საპირისპირო ძელთან მყოფ კვიტაიშვილამდე მიაღწია და...

**55** კვარაცხელიამ შორეული დარტყმით სცადა მეტოქის კარის აღება, მაგრამ ამაოდ.

**76.** ოციოდ მეტრიდან ჩასემის დარტყმული მცირედით სცდება მიზანს.

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ „ქართლზე" გამარჯვება. „სიონისთვის" ეს მატჩი ფაქტობრივად სეზონის გამხსნელი იყო ზამთრის შესვენების შემდეგ, „სპარტაკმა" კი ერთი კვირით ადრე სათასო მატჩში უკვე განაახლა სეზონი, თანაც გუშინდელი შეხვედრისგან განსხვავებით, „დინამოსთან" საკმაოდ რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა. **კობა ჟორჟიკაშვილს** რომ მოგება ძალიან უნდოდა, მისმა ტაქტიკურმა სქემამაც ცხადყო. ცხინვალელებს იშიათად თუ უთამაშიათ ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით, "ქართლზე" მათ საგოლედ ორივე შემტევი ახალნვეული **კვარაცხელია** და **ლონლაძე** ჰყავდათ გამწესებული. თუმცა „სპარტაკის" გულშემატკივართათვის სამწუხაროდ ამ ფეხბურთელებმა თავის ახალ გუნდში პირველი გოლების გატანა ვერ მოახერხეს. შეტევაში პირველ ყოვლისა **ჩასემის** იმედად იყო „სიონი", მაგრამ კამერუნელი ცოტა არ იყოს ინერტულად ირჯებოდა და მის საქმეს უფრო უკეთ სხვები აკეთებდნენ.

ჯერ კიდევ მე-10 წუთზე თანამემამულის ამპლუაში **ბოიომო ფრიდოლინი** მოგვევლინა. კამერუნელი ბოლნისელთა შეტევაში კარგად ჩაერთო, ბურთი მიიღო და ძლიერი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა. საპირისპირო კართან გოლამდე და მის შემდეგ კიდევ დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში „სპარტაკს" ოთხი სახიფათო ჯარიმის დარტყმის საშუალება მიეცა, ოთხივე სხვადასხვა ფეხბურთელმა შეასრულა და ყველამ ერთნაირად უხეიროდ. სწრაფმა გოლმა ცხინვალელებზე ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედა, მათი იერიშები უმეტესწილად დაულაგებელ, ქაოსურ ხასიათს ატარებდა. მართალია ამ სახის იერიშებითაც მოახერხეს კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა რამდენიმე ხიფათის შექმნა **მინდია ბობოლიაშვილის** კართან, მაგრამ შექმნილის გოლად გადაქცევა გვარიანად უჭირდათ. გარდა ცხინვალელ მოიერიშეთა თამაშის დამაგვირგვინებელ ფაზაში დაშვებული შეცდომებისა, „სიონის" კარის მშრალად შენახვაში ლომის წილი ბოლნისელ მცველთა საიმედო გარჯამ შეიტანა. "სიონში" გამორჩეულად კარგად მარჯვენა ნახევარმცველი **გიორგი კვიტაიშვილი** თამაშობდა, ვინაც, როგორც თავის ფლანგზე შესრულებული სამუშაოს ოდენობით, ისე თანაგუნდელთათვის გაკეთებული ზუსტი პასებით გამოირჩეოდა.



ბოიომო

შესვენების შემდეგ, ალბათ, "სპარტაკის" მხრიდან უფრო ენერგიულ მოქმედებას ელოდა მაყურებელი, ცხადია ჟორჟიკაშვილიც შეეცდებოდა შეგირდების ნაკლებადორგანიზებული ხასიათის შეტევების მოწესრიგებას, მაგრამ ცხინვალელთა მწვრთნელმა ვიდრე ამ თვალსაზრისით შედეგს ნახავდა, მისი გუნდის კარში მეორე გოლი ნახა. მეორე ტაიმის საწყის სამ წუთში ორჯერ შეეძლოთ ბოლნისელებს გატანა და თუ ერთხელ ჩასემის დაგვიანებული რეაქციის გამო ცხინვალელთა კარი გადარჩა, მეორე შემთხვევაში უკვე ველარაფერმა უშველა „სპარტაკს". ერთხანს მასპინძლებმა საბრძოლო ჟინის (და არა ხარისხის) გაზრდის ხარჯზე მეტოქეზე დაწოლაც გააძლიერეს, თუმცა „სიონის" მცველთა სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ ისინი თითქმის უშეცდომოდ იცავდნენ თავს. ვფიქრობთ, „სპარტაკს" უფრო მეტად გამოუცდელობამ და გაუმართლებელმა ახალგაზრდულმა მღელვარებამ წააგებინა.

**მატჩის შემდეგ:**

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** *„ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო ორივე გუნდისთვის. შესაბამისად მეტად აუცილებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. „სპარტაკი" საკმაოდ კარგი გუნდია, მაგრამ დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ყველა ჩემი მითითება ზუსტად შეასრულეს და სამი ქულაც დამსახურებულად მოვიპოვეთ"*

**კობა ჟორჟიკაშვილი (სპარტაკი):** *„დღეს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე თორნიკე თარხნიშვილი გვაკლდა და ტაქტიკის გარკვეულწილად შეცვლა მოგვიწია. ხშირ შემთხვევაში 4-5-1 ფორმულით ვთამაშობთ, ამჯერად 4-4-2 სქემა გამოვიყენეთ, თუმცა წაგების მიზეზი ეს ვერ იქნებოდა. ორივე ტაიმის დასაწყისში მიღებულმა სწრაფმა გოლებმა და ჩვენმა უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია ეს მარცხი"*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 36-6 | 36 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 1 | 2 | 27-9 | 34 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 11 | 1 | 2 | 27-8 | 34 |
| 4. ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 15-9 | 27 |
| 5. ბორჯომი | 14 | 7 | 4 | 3 | 17-10 | 25 |
| 6. ამერი | 14 | 7 | 1 | 6 | 22-17 | 22 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8. სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-17 | 18 |
| 9. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14-19 | 15 |
| 10. მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 8-23 | 13 |
| 11. სპარტაკი | 14 | 3 | 3 | 8 | 5-16 | 12 |
| 12. ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-22 | 10 |
| 13. დილა | 14 | 1 | 4 | 9 | 7-24 | 7 |
| 14. ბათუმი | 14 | 1 | 2 | 11 | 5-28 | 5 |

**მომდევნო ტური**

**1 მარტი, შაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | ზესტაფონი-მესხეთი |
| 15:00 | სიონი-დინამო |
| 15:00 | ლოკომოტ.-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | ბორჯომი-სპარტაკი |

**2 მარტი, კვირა**

| | |
|---|---|
| 15:00 | ოლიმპი-ბათუმი |
| 15:00 | დილა-ამერი |
| 15:00 | მერანი -მგლები |

**XIV ტურის გამოტოვებული მატჩი**

**11 მარტი, სამშაბათი**

| | |
|---|---|
| 15:00 | მგლები-მესხეთი |

# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში ინვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე,

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20



# გიორგი ლომაია გერმანიაში

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან შერისხული **გიორგი ლომაია** გერმანიაში იმყოფებოდა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ინტერნეტ გაზეთის რედაქტორმა, **მირონ გოიხმანმა** გვაცნობა. მისი თქმით, ლომაია ლევერკუზენში სამკურნალოდ ჩავიდა.

ის ექიმმა პფაიფერმა გასინჯა, რომელიც რუსეთის პრემიერლიგის ფეხბურთელებში დიდი სახელით სარგებლობს და მასთან ბევრ ცნობილ მოთამაშეს უმკურნალია.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ინტერვიუები ახალ მწვრთნელებთან

გუშინწინ, ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე გახმოვანდა, რომ ამიერიდან 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე იქნება. 19-წლამდელთა ნაკრებს კი ზაურ სვანაძე უხელმძღვანელებს.

"ლელო" ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელებს გაესაუბრა.

## ზაურ სვანაძე:
# ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთ



- 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცად ჩემი კანდიდატურა უკვე რამდენიმე კვირაა განიხილება. საბოლოოდ საკითხი დადებითად გადაწყდა.

**- ეროვნულ ნაკრებში საქმიანობასთან ერთად შვედური გუნდის GMFF-ის მთავარი მწვრთნელი იყავით. სკანდინავიასთან გამოთხოვება მოგიწიათ?**

- დიახ, ასეა. 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა. ამ საქმესთან შვედეთში მუშაობას ვერანაირად ვერ შევათავსებდი. მართალია, შვედურ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ ჩვენი ფედერაციის წინადადებამ ყველაფერი გადაწონა. შვედებთან მოვილაპარაკე და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გავწყვიტე.

**- აქამდე თუ გინახავთ 19-წლამდელთა ნაკრების თამაში?**

- საქართველოში თითქმის არ ვარ. ერთი ეგაა, ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ჩამოვდიოდი ხოლმე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთი მატჩი მაქვს ნანახი. გასულ შემოდგომაზე 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ეტაპს საქართველომ უმასპინძლა და ჰოლანდიასთან მატჩს დავესწარი.

**- ის თამაში წავაგეთ. ჩვენი ნაკრებიდან რომელი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?**

- ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდი კაცნაკლული რომ არ დარჩენილიყო, ალბათ არც წავაგებდით. რაც შეეხება ფეხბურთელებს, არაერთი მომეწონა. თუმცა ყველაზე მეტად მეკარე როინ კვასხვაძე დამამახსოვრდა.

**- თქვენი ასისტენტი გოჩა ჩიქოვანი იქნება, მეკარეებს კი დავით გვარამაძე მოამზადებს. ეს გუნდი თქვენ შეარჩიეთ?**

- დიახ, გუნდი მე შევარჩიე. მინდოდა მათ ემუშავათ ჩემთან, რომელთაც დიდი ფეხბურთი უთამაშიათ და ბოლოს არსად საქმიანობდნენ. ამ პრინციპით მოვიწვიე გოჩა ჩიქოვანი. ის თბილისის "დინამოში", მეორე გუნდთან მუშაობდა და კარგი სპეციალისტია. დათო გვარამაძეს ყველა იცნობს. მან ახლახან დაასრულა მოთამაშის კარიერა, წესიერი, პატიოსანი ადამიანია, ფეხბურთიც კარგად ესმის, უნდა მწვრთნელობას კარგად დაეუფლოს და სწავლაც არ ეთაკილება.

**- უპირველად რას გააკეთებთ?**

- უპირველესად სელექცია უნდა წარვმართოთ. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე სისტემატურად ვივლით მე და ჩემი თანაშემწეები და ფეხბურთელებს დავაკვირდებით. პარალელურად კი მასშტაბურ სელექციას ჩავატარებთ და იმ ბირთვს შევარჩევთ, რომლითაც შემოდგომაზე, საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა ვიასპარეზოთ.

**- რა იქნება თქვენი მიზანი?**

- რალა თქმა უნდა, ახალგაზრდული ნაკრებისთვის კადრების აღზრდა და მიწოდება. ბუნებრივია, შედეგზეც არანაკლებ ვიზრუნებთ და ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთ.

**- თქვენი გუნდი შემტევ ფეხბურთს ითამაშებს?**

- ქართული ფეხბურთი ყოველთვის შემტევი სტილისა იყო. თუმცა იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ გვყავს მეტოქედ და ჩვენ რა კონტინგენტი გვყავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭაბუკთა ნაკრებების სათამაშო სქემა და სტილი ეროვნულისგან მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს.



- წელიწადზე მეტი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის ასისტენტად ვიმუშავე. ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელი ვარ და 17-წლამდელთა გარდა ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვიყავი მთავარი მწვრთნელის თანაშემწე. ერთიანი სანაკრებო შტაბის გერმანელი მწვრთნელებით ფორმირებისთანავე განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ, რომ პრიორიტეტი ნაკრებ გუნდებში ქართველი მწვრთნელების ინტეგრაცია იქნებოდა. თავის დროზე სწორედ ამ პრინციპის გამო მოვხვდი გუნდში.

**- წინა პერიოდში გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, მოულოდნელიც არ იყო თქვენთვის ეს ახალი პოსტი...**

- ასეთი ნდობისთვის ფედერაციის მადლობელი ვარ. ჩემთვის ეს ერთგვარი გამოწვევაა და მოულოდნელი იყო-თქო, ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ისიც აშკარაა, რომ ეს საქმე, რომელიც შრომატევადია და ამასთან აზარტულიც, ჩემთვის უცხო ნამდვილად არაა.

**- როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 2 თვეზე მეტია, 17-წლამდელთა და უმცროს ასაკში სელექციას აწარმოებთ...**

## გელა შეყილაძე:
# ძლიერი შევსება და თან შედეგიც

- დიახ, სელექციაზე ლევან ხომერიკთან და ასლან ბალაძესთან ერთად ჯერ კიდევ ნოემბერში დავიწყე მუშაობა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და მართლაც შრომატევად საქმეს შევეჭიდეთ. 1992 წელს დაბადებულებს შორის, მთელი საქართველოს მასშტაბით 1335 ჭაბუკი, 1993 წელს დაბადებულთაგან კი 1887 ჭაბუკი გამოვცადეთ...

**- მათგან რამდენი შეარჩიეთ?**

- ჩვენ ესპანური მოდელით ვმუშაობთ - თითო ასაკში, თითო პოზიციაზე 5-5 მოთამაშე შევარჩიეთ. სელექციის ამ ეტაპზე, 1992 და 1993 წლებში დაბადებულებიდან, გაფართოებულ სიაში 55-55 მოთამაშე გვყავს.

**- ამჟამად, სელექციის რა ეტაპია?**

- 28 თებერვალს დასკვნითი ტესტმატჩი გვაქვს 1993 წელს დაბადებულთა შორის. თბილისის ნაკრები, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს რჩეულთა ნაკრებს გაეჯიბრება. ამ თამაშიდან საუკეთესოებს ავარჩევთ, სულ 18 ჭაბუკს, რომლებიც, 18-23 მარტს, პორტუგალიაში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ.

**- ამ ტურნირის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- 28 მარტს უკვე 1992 წელს დაბადებულთა შორის გავმართავთ დასკვნით თამაშს, იმავე პრინციპით, თბილისის ნაკრები დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს რჩეულთა კრებულს დაუპირისპირდება და მათგანაც 18 საუკეთესოს შევარჩევთ. ისინი ბულგარეთში, 15 და 17 აპრილს მასპინძელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ.

**- პარალელურად ახალგაზრდულ ნაკრებში პეტარ სეგრტის ასისტენტიც იქნებით...**

- დიახ, სეგრტთან უკვე შარშანდელიდან მოყოლებული ვმუშაობ და მისგან ბევრი ვისწავლე. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მატჩები არ ემთხვევა. ასე რომ, პრობლემა არ იქნება.

**- დაბოლოს, რა მიზნებისთვის იბრძოლებს 17-წლამდელთა ნაკრები?**

- ჩვენ 19-წლამდელებს კარგი შევსება უნდა მივცეთ. პარალელურად კი შედეგზეც უნდა ვიზრუნოთ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# ასათიანი დაბრუნდა

დაახლოებით ოცდღიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, **მალხაზ ასათიანი** მოედანს დაუბრუნდა. შეგახსენებთ, იგი საქართველო-ლატვიის ამხანაგური ნაკრებების მატჩისას დაშავდა და მას შემდეგ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

მოსკოვის "ლოკომოტივი" ამხანაგურად ავსტრიის ქვედა ლიგის ბინადარ "შვანენშტადტს" გაეჯიბრა და **სამედოვისა** და **სიჩოვის** გოლებით 2:0 გაიმარჯვა. რკინიგზელთა თავკაცმა **რაშიდ რახიმოვმა** შესვენებისას ძირითადში გამწესებული ყველა ფეხბურთელი შეცვალა. ასათიანმა მოედანზე საწყისი 45 წუთი დაჰყო, **დავით მუჯირმა** კი სრული მეორე ტაიმი ჩაატარა. ქართველებს ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაში არ მოუწიათ, თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ ეს პირველი მატჩია, რომელშიც "ლოკომოტივის" ღირსება ასათიანმა და მუჯირმა ერთად დაიცვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მალხაზ ასათიანი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან

# შეთავაზება დიდი გათვლით

## ვინც ფედერაციაში მოვა, ის გაიმარჯვებს



საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში საკადრო ცვლილებებია - 17-წლამდელთა ნაკრებს გელა შეყილაძე უთავკაცებს, 19-წლამდელებს კი - ზაურ სვანაძე. ხოლო ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე ვინძლო თემურ ქეცბაია გახდეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე წმინდა სპორტულ საკითხებს კურირებს და ნაკრებთა მწვრთნელებზე სწორედ მას მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

**- პირადად თქვენ მომხრე იყავით ასეთი საკადრო ცვლილებების?**

- მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებში მთავარ მწვრთნელად ქართველი გვყავდეს. ამ იდეის მომხრე ვარ, თორემ კონკრეტულად რომელ კანდიდატურას დავუჭირე მხარი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში, საკითხი ასე არ დგას.

**- მიგაჩნიათ, რომ ფედერაციის ალმასკომი შეყილაძის და სვანაძის კანდიდატურას უპრობლემოდ დაამტკიცებს?**

- ვფიქრობ, ასე იქნება. ალბათ არ უნდა გახდეს სადავო, რომ სვანაძეს მწვრთნელობის საკმაო გამოცდილება აქვს. შეყილაძე კი მანამდეც მუშაობდა ასაკობრივი ნაკრებების სამწვრთნელო შტაბში.

**- ნაკრებებში უცხოელი მწვრთნელების ქართველებით ჩანაცვლების იდეაზე ალბათ არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ვინ დაინიშნება ამა თუ იმ პოსტზე. ეს ჩვენიანია, ის იმის ბანაკშია - ისე ჩანს, რომ ფედერაციამ ეს ფაქტორიც გაითვალისწინა...**

- ვიცი, რომ ამაზე არის მითქმა-მოთქმა, მაგრამ მე არავის არ ვყოფ ჩემიანად და სხვისიანად. ვისაც საქმის კეთება უნდა, ფედერაციის კარი მისთვის ღიაა.

**- ფაქტია, არიან ისეთი ქართველი მწვრთნელები, სვანაძესა და შეყილაძეზე გაცილებით უკეთესი შედეგი რომ ჰქონდათ, მაგალითად, გია გეგუჩაძესა და გიორგი დევდარიანს, თუმცა ისინი ფედერაციისგან ჯერჯერობით შორს დგანან.**

- რომელიმე ასაკობრივი ნაკრების განვრთნის შანსი ყველას ვერ მიეცემა, მაგრამ ვინც ჩვენთან მოვა კარგი იდეით, კონკრეტული წინადადებით, გარწმუნებთ, რომ ის გამარჯვებული დარჩება - მას ჩვენ აუცილებლად დავუჭერთ მხარს. მაგალითად, დევდარიანმა გამოთქვა ინიციატივა, რომ შეხვდეს ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს. დარწმუნებული ვარ, ახალკაცი მას დიდი სიამოვნებით მოუსმენს.

**- თემურ ქეცბაიას ტოპმიოლერის თანაშემწეობა შესთავაზეთ, თუმცა ტოპის უკვე ჰყავს თანაშემწე - რალფ მინგე, ვინც ალბათ ფედერაციაში ტექნიკური დირექტორი გახდება. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ქეცბაიას თანხმობის შემთხვევაში ფუნქციები როგორ განაწილდება?**

- თანამედროვე ფეხბურთში მთავარ მწვრთნელს ფაქტობრივად 4-5 თანაშემწე ჰყავს. თუ მინგე ტექნიკური დირექტორი გახდება, ვფიქრობთ, ტოპმიოლერი არც ასეთ შემთხვევაში იტყვის უარს მის დახმარებაზე.

**- ფედერაცია თანახმაა, ქეცბაიამ "ანორთოსისშიც" იმუშაოს და ნაკრებშიც-**

- მასეა და ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კარგი შეთავაზებაა, რომელშიც იმის პერსპექტივაა ჩადებული, რომ ქეცბაია მომავალში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს.

დავით თავართქილაძე

# ქართული წინადადების კვიპროსული ექო



გუშინ კვიპროსულმა საიტმა „შუთ ენდ გოლმა" საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა **თემურ ქეცბაიაზე**, რომელმაც სფფ-დან ოფიციალური წინადადება მიიღო ეროვნული ნაკრების თავკაცის ასისტენტის პოსტის დასაკავებლად. კვიპროსელებმა შეიტყვეს ამის შესახებ და კომენტარი თავად „ანორთოსისის" ქართველ მწვრთნელს სთხოვეს. *„საქართველოდან ნამდვილად მივიღე წინადადება, რომელზეც ვფიქრობ. სფფ ვერ ხედავს რაიმე პრობლემას, რომ მე პარალელურად „ანორთოსისშიც" გავაგრძელო მუშაობა. თუმცა რასაკვირველია, ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დავეკითხო"*, - ამბობს ქეცბაია. იმავეს თავად „შუთ ენდ გოლი" შეეცადა და საკმაოდ ცივი პასუხიც მიიღო „ანორთოსისის" წარმომადგენელისგან: *„ახლა კლუბს ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი აქვს „ომონიასთან" და ჩვენი ყურადღებაც ამაზეა გადატანილი, თემურ ქეცბაიას ქართულ შეთავაზებაზე არც კი გვისაუბრია. საერთოდაც ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩემპიონატისა და თასის მოგებაა"*.

დღეს მორიგ ტურში „ანორთოსისი" ნიქოზიის „ომონიას" მასპინძლობს. ქეცბაიას გუნდი 49 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მდევარ აპოელ-ს 5 ქულით უსწრებს, თან მატჩით ნაკლები აქვს გამართული. გუშინ **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" აეკ-ს 2:0 მოუგო. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „აპოლონი" 35 ქულით ჩემპიონატში მეხუთეა. დღეს **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" „პარალიმნის" ესტუმრება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## თარგამაძემ მაინცს გაუტანა



უკვე რამდენიმე თვეა, **დავით თარგამაძე** სისტემატურად თამაშობს "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში, ჭაბუკთა ბუნდესლიგის გასულ ტურში კი მან გოლი გაიტანა. "ფრაიბურგმა" სტუმრად "მაინცს" 2:1 სძლია. თარგამაძემ 44-ე წუთზე ანგარიში 0:2 გახადა. დათოს, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი ნახევარმცველად იცნობს, "ფრაიბურგში" უფრო ხშირად, თავდამსხმელად თამაშობა.

ჭაბუკთა ბუნდესლიგის სამხრეთ ზონაში "ფრაიბურგი" 31 ქულით მესამე ადგილზეა და ხუთი ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერ "შტუტგარტს".

## წარმატებული რეპეტიცია და ბარსელონა

29 თებერვალს და 1 მარტს საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებს ჩაატარებს შესაბამისად ესპანეთისა და ხორვატიის წინააღმდეგ. ჩვენი გუნდი უკვე ესპანეთშია და გუშინ საკონტროლო შეხვედრა გამართა. **პეტრე თაბუკაშვილის** გუნდმა ადგილობრივი "კარტეფელდე" 6:2 გაანადგურა. ქართველთაგან ორი გოლი **ზოიძემ** გაიტანა, თითოჯერ კი თავი **ნეფარიძემ, ასათიანმა, ბოკერიამ** და **იოსებიძემ** გამოიჩინეს.

დღეს საქართველოს ნაკრები ასევე ამხანაგურად "ბარსელონას" შეხვდება. სხვათა შორის, ამ მატჩს კატალონიური გრანდის საკლუბო არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს.

ლევან ჯანეზაშვილი

## თერილი



**კალაძე კახა.** დაიბადა 27.02.1978, სამტრედია. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა "სამტრედიაში" (1993), თბილისის "დინამოში" (1994-97), კიევის "დინამოსა" (უკრაინა, 1998-2000) და "მილანში" (იტალია, 2001-იდან). საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 75 მატჩი (1 გოლი). ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი - ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (2003, 2007). საქართველოს სამგზის (1996, 97, 98), უკრაინის სამგზის (1998, 99, 2000) და იტალიის (2004) ჩემპიონი. საქართველოს ორგზის (1996, 97), უკრაინის სამგზის (1998, 99, 2000) და იტალიის (2003) თასების მფლობელი. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო ფეხბურთელი (2001, 02, 03). საქართველოს ნაკრებში ითამაშა 43 მატჩი. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ილ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

განმავლობაში 24 საათის
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ჭანტურიას კოლხეთის ეიმედება



ხობის "კოლხეთი" ქართული ფეხბურთის ლიდერებში არასდროს ყოფილა, თუმცა სამეგრელოს ამ ქალაქიდან ქართული ფეხბურთი ხშირად ილებდა მაღალი კლასის ფეხბურთელებს - საბჭოურ პერიოდში **ენუქი თევზაძე, ავთო ქანთარია**, ბოლო წლებში კი **ედიკ საჯაია, ლადო ახალაია, ზვიად გვაზავა**.

"კოლხეთი" ამჟამად პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში გამოდის. გუნდის დირექტორი **იური ჭანტურია** კლუბის მდგომარეობას ოპტიმისტურად აფასებს.

*"მართალია, ჯერ მხოლოდ მეშვიდე ადგილზე ვართ, მაგრამ ჩვენი გუნდის მომავლისა გვჯერა. შარშან სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონები გავხდით. ერთი პერიოდი "კოლხეთს" საბიუჯეტო დაფინანსება შეუწყვიტეს და კლუბის არსებობას საფრთხე დაემუქრა. ეს იმ რაიონში, სადაც ფეხბურთი გამორჩეულად უყვართ და ესმით. ჩვენი რაიონის დეპუტატის, გოდერძი ბუკიას პატრონაჟით კლუბი შევინარჩუნეთ. საბიუჯეტო დახმარება შეწყვეტილი იყო და ბატონი გოდერძი დაგვეხმარა. გუნდს მთლიანი ეკიპირებით დაეხმარა და საკუთარი ავტობუსი მოგვამაგრა. დამიჯერეთ, დღეს ეს პირველი ლიგის გუნდისთვის დიდი დახმარებაა."*

ხობის "კოლხეთი" პირველი ლიგის გუნდებში იმ იშვიათ კატეგორიას განეკუთვნება, წლეულს შეკრება სხვაგან რომ გაიარა. ხობელები ჩაქვში გაემგზავრნენ და ხუთი საკონტროლო შეხვედრა გამართეს.

*"მოსამზადებელ ეტაპზე დიდი სამუშაო ჩატარდა. "კოლხეთს" ახალგაზრდა სპეციალისტი ლევან ნოდია ავარჯიშებს, რომელმაც რამდენიმე ფეხბურთელი გასინჯა, საბოლოოდ კი სამი მათგანი დატოვა. იმედია, რომ პატარა ბიჭებით წლეულს ხუთეულში შევალთ, მომავალ სეზონში კი უმაღლესისთვის ვიბრძოლებთ,"* - გვითხრა გუნდის დირექტორმა.

ჭანტურია ხობში სტადიონის რეკონსტრუქციაზეც გვესაუბრა: *"რეკონსტრუქცია დაწყებულია, უკვე გაარემონტეს გასახდელები, საშხაპეები, გოდერძი ბუკია ამას საკუთარი ჯიბიდან აკეთებს. მერე და მერე, იმედია, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა ამუშავდება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაც შესაძლებელი გახდება."*

"კოლხეთის" დირექტორი საფეხბურთო სკოლისა და კლუბის გაერთიანებაზეც ფიქრობს:

*"ახლა კლუბის ხელახალი რეგისტრაცია მიდის. საფეხბურთო სკოლის შემოერთებაც გვსურს და იმედია, მასაც დააფინანსებენ. ასე გაცილებით ძლიერი კლუბი ჩამოყალიბდება, რადგან ერთიანი ხელმძღვანელობით თანამშრომლობა გაცილებით პროდუქტიული გახდება."*

**მერაბ მამულაშვილი**

## ჯაკობიას პრეზენტაცია ტრავმამ ჩაშალა

პოლტავური "ვორსკლას" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს ახალწვეულები ოფიციალურად წარუდგინა. წესით მათ შორის **ლაშა ჯაკობიაც** უნდა ყოფილიყო, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი ნაახალწლევს გააფორმა, მაგრამ ცერემონიამ ქართველი ფორვარდის გარეშე ჩაიარა. "ვორსკლას" ვებ-გვერდის ცნობით, ჯაკობია იმ დროს კიევში, ლინკოს კლინიკაში იმყოფებოდა კონსულტაციაზე.

## შერიფელებმა სერბებს სძლიეს

ტირასპოლის "შერიფმა" ამხანაგურ მატჩში სერბულ "რადს" 1:0 მოუგო. მოლდოველთა ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა, **ვალტერ ხორგუაშვილი** კი მოედანზე 81-ე წუთზე შევიდა.

## ოთხი ქართველი სომხეთში

ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდება და ჩვენი კიდევ ოთხი თანამემამულე ცდილობს მეზობელ სომხეთში დამკვიდრებას. "განძასარში" **დავით ხანიშვილი, მანუჩარ კვიციანი, მამუკა მენთესაშვილი** და **გაგა თბილაშვილი** ისინჯებიან. სომხური წყაროების ცნობით, პირველი სამის კლუბში ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია, თბილაშვილის საკითხიც მალე გაირკვევა. სხვათა შორის, მან და ხანიშვილმა საკონტროლო მატჩში "ულისეს" გოლები გაუტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გამულა დინაბურგშია, პერტია რჩება

წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი **იგორ გამულა** ლატვიაში დაბრუნდა. შარშან "დაუგავას" ავარჯიშებდა. მისი "დინაბურგში" მიწვევა, კლუბის ქართველი მწვრთნელის, **თამაზ პერტიას** გვერდზე ჩაროჩების წინაპირობად ჩათვალეს. შეგახსენებთ, რომ პერტია "დინაბურგს" ზაფხულიდან წვრთნის. მანამდე კი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.

გამულა სპორტულ დირექტორად დაინიშნა. თავად ამბობს, რომ პერტიას არ შეეხება, მაგრამ ეს ცნობილი მოდელია - სპორტულ დირექტორად მწვრთნელს რომ ნიშნავენ, ის მალე მთავარ მწვრთნელს ჩაენაცვლება.

თამაზ პერტია ქართველი მწვრთნელების იმ იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც უცხოეთში მუშაობს.

**მერაბ მამულაშვილი**



ლეგიონერები

# სერგი ორბელაძე უკრაინელებმა გააოცეს

გუშინდელ ნომერში დავწერეთ, რომ უჟგოროდის "ზაკარპატიედან" ქართველი მცველი **სერგი ორბელაძე** გამოუშვეს. თავიდანვე ჩვენი ეჭვი გამოიწვია იმან, რომ უკრაინული გუნდის პრესსამსახურის განცხადებები ურთიერთგამომრიცხავი გახლდათ - ჯერ დაწერეს, რომ "ზაკარპატიეს" მთავარ მწვრთნელ **ვლადიმირ შარანს** მოსწონს ქართველიო, მერე კი არ მოეწონა და გაუშვაო.

ეჭვები მართალი გამოდგა, უკრაინელებს სერგოს დატოვება მართლა სურდათ, მაგრამ ქართველი მცველი ვერ ჩაირიცხა და რატომ, ამის შესახებ საქართველოში დაბრუნებული თავად გვესაუბრა.

*"უკრაინაში ჩავედი და გასინჯვის შემდეგ ჩემი დატოვება გადაწყვიტეს. ეს იქნებოდა ერთწლიანი იჯარა, ისევ რუსთავის "ოლიმპის" საკუთრებაში დავრჩებოდი. მწვრთნელმა ყველა შეხვედრაში მათამაშა და კონტრაქტიც შემომთავაზა. მეც უკვე ყველაფერი მოგვარებული მეგონა.*

*შეკრება დასრულდა და ჩემდა გასაოცრად ისეთი რამ მითხრეს, რასაც ვერც წარმოვიდგენდი და ნორმალურ ადამიანს აზრად რომ არ მოუვა - ერთი წლის შემდეგ, როდესაც იჯარა დაგიმთავრდება, შენში გადახდილი ფულის გარკვეული პროცენტი უკან უნდა დაგვიბრუნოო. თავი დავანებოთ იმას, რომ საკონტრაქტო თანხას არ მიხდიდნენ, გამოდიოდა, რომ ხელფასის ნაწილი ან მე უნდა დამებრუნებინა ან რუსთავის "ოლიმპს".*

*ასეთ წინადადებას არც ერთი ნორმალური ადამიანი და კლუბი არ დათანხმდებოდა. ისე გამოდიოდა, რომ ჩემი უფასოდ წაყვანა სურდათ და უარი ვუთხარი. ამიტომ წამოვედი და არა იმიტომ, თითქოს, დამიწუნეს და გამომიშვეს. მაშინ კონტრაქტს არც შემომთავაზებდნენ,"* - გვითხრა ორბელაძემ.

ასე რომ, სერგო ორბელაძე საქართველოში დაბრუნდა და რუსთავის "ოლიმპი" მოულოდნელად გაძლიერდა - სერგო კარიერას რუსთავულ გუნდში გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოლი, ორი საგოლე და ავტოგოლიც

აზერბაიჯანში მეორე წრის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ბაქოს "ნეფთჩი" ერთ-ერთ აუტსაიდერ სუმგაითის "გენჩლერბირლიის" მასპინძლობდა, მატჩი მასპინძლებმა 2:0 მოიგეს. მე-16 წუთზე მეორე გოლი ასე გავიდა: **გიორგი ადამიას** დარტყმული მეკარემ მოიგერია, თუმცა იქვე **ბრანიმირ სუბაშიჩმა** დაამატა. მე-60 წუთზე ადამიამ ადგილი "ნეფთჩის" დებიუტანტ **ხოსე კარლოსს** დაუთმო. "ნეფთჩი" 33 ქულით მეორეა და ლიდერ "ოლიმპიკს" ოთხი ქულით ჩამორჩება. "ბაქი" 27 ქულით მეხუთე ადგილზეა და ჯერჯერობით საჩემპიონო რბოლაში სერიოზულად ვერ მონაწილეობს, თუმცა კლუბი აშკარად კარგ ფორმაშია. "ბაქიმ" უპრობლემოდ დაამარცხა "კაბალა" - 3:0. წინა ტურში თავგამოჩენილი **ამირან მუჯირი** ამჯერად თამაშგარედ დარჩა, ისევე როგორც ტრავმირებული **ალექსანდრე გოგობერიშვილი**. "კაბალას" კარს **ზურაბ მამალაძე** იცავდა, თუმცა მან ვერ შეძლო სტუმართა გადარჩენა. დაცვაში 90 წუთი ითამაშა ვეტერანმა **ირაკლი ვაშაკიძემ**. 90 წუთი ითამაშა **გიორგი გაბიდაურმაც**. აი, **თორნიკე აფციაური** კი არ გამოჩენილა. "კაბალა" 24 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს ზაქათალის "სიმურგს", რომელიც ცხრილში მეექვსეა. საინგილოს კლუბის მეორე მატჩშივე გოლი შეაგდო **დავით ბოლქვაძემ**, თუმცა ეს ყოფილმა ამერელმა პენალტის ნიშნულიდან მოახერხა. "სიმურგმა" 3:1 აჯობა ბოლოადგილოსან აზნ-ს. სხვათა შორის, თამაში კახში ჩატარდა, რითაც დათოს ყველაზე მეტი ოვაციები შეხვდა თამაშზე მყოფი 500 გულშემატკივრისგან (კახი ყველაზე ქართული ქალაქია აზერბაიჯანში). ჩვენებურმაც ძალები არ დაიშურა და 34-ე წუთზე მისი პასით **ვლადიმირ მაზიარმა** მასპინძლები დააწინაურა. 39-ე წუთზე ქართველმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა.



ლომაშვილმა (4) ავტოგოლი მიითვალა

ჩვენთვის საინტერესო დაპირისპირება შედგა ევლახშიც, სადაც "ქარვანი" "ყარაბახს" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა რიგებში ერთბაშად სამივე ქართველი იყო სასტარტო შემადგენლობაში: **ალექსანდრე ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე** და **რომან ახალკაცი**, რომელიც ჯერ გააფრთხილეს, 76-ე წუთზე კი შეცვალეს. სტუმართა რიგებში **გოგა ბერაიამ** პირველი 64 წუთი ითამაშა. "ყარაბახი" 19 ქულით მერვე ადგილზეა, "ქარვანს" 17 ქულა აქვს და ცხრილში მეცხრეა.

"მასალი" ჩემპიონ ხაზართან" სტუმრად 1:4 დამარცხდა. სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ვაჟა ლომაშვილმა**, რომელმაც თავი, სამწუხაროდ, ავტოგოლით გამოიჩინა. 81-ე წუთზე მას გადაცემის ჩაჭრა სურდა, თუმცა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. სტუმართა ფორვარდმა **ბორის გონჩაროვმა** ვერაფერი დააკლო "ხაზარის" დაცვას და 83-ე წუთზე ასპარეზი თანაგუნდელს დაუთმო. "მასალი" 16 ქულით ჩემპიონატში მეათე ადგილზეა.

**კახა ცხადაძის** გუნდი კიდევ ერთხელ დამარცხდა, "სტანდარდმა" ამჯერად "ინტერთან" 1:2 დათმო. თუმცა იქაური პრესა წერს, რომ "სტანდარდმა" საინტერესოდ ითამაშა. ქართველმა მწვრთნელმა თანამემამულე **ლადო უგრეხელიძე** მოედანზე მე-40 წუთზე შეიყვანა. "სტანდარდი" 14 ქულით მე-11 ადგილზე რჩება.

მიმოხილვას კიდევ ერთი ჩვენებურის კლუბის თამაშით დავასრულებთ, "თურანი" ლიდერ "ოლიმპიკთან" 0:3 დამარცხდა, **ირაკლი ბერაიამ** კი 90 წუთი ითამაშა. "თურანი" 8 ქულით აზერბაიჯანის 14-გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კარლ ცაისის გმირობა

ქართველების გარეშე მოთამაშე "კარლ ცაისმა" უდიდესი სენსაცია მოახდინა - გერმანიის თასის მეოთხედფინალში სტუმრად მოქმედ ჩემპიონ "შტუტგარტს" სძლია. თავდაპირველად იენელები დაწინაურდნენ, მასპინძლებმა ანგარიში ძირითადი დროის მიწურულს გაათანაბრეს. დამატებით დროში "შტუტგარტი" დაწინაურდა, მაგრამ "კარლ ცაისმა" გაათანაბრა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. სტუმრებმა ხუთივე თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულეს და სერია 5:4 მოიგეს.

სამწუხაროდ, მატჩმა ქართველთა გარეშე ჩაიარა. **გიორგი ონიანი** ტრავმირებულია, **გიორგი სეთურიძე** განაცხადში ვერ მოხვდა, **ილია კანდელაკმა** კი თამაშს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

დღეს მეოთხედფინალში ქართველის კიდევ ერთი კლუბი თამაშობს. დიდ მიუნხენურ დერბიში ერთმანეთს "ბაიერნი" და "მიუნხენ 1860" დაუპირისპირდებიან, მაგრამ სავარაუდოდ, **მათე ღვინიანიძე** ამ შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იტალია. სერია A. XXV ტურის წინ

# დღეს რომამ უნდა თქვას...

## ინტერს ყველა რგოლში დანაკლისი აქვს, იბრაჰიმოვიჩიც გამორიცხულია

| გუშინ | |
|---|---|
| იუვენტუსი-ტორინო | 0:0 |
| **დღეს** | |
| ინტერი-რომა | |
| ატალანტა-სამპდორია | |
| კატანია-მილანი | |
| ფიორენტინა-ლივორნო | |
| ჯენოა-ნაპოლი | |
| ლაციო-რეჯინა | |
| პალერმო-ემპოლი | |
| პარმა-უდინეზე | |
| სიენა-კალიარი | |

დღეს "ინტერი" "რომას" უმასპინძლებს და შეეცდება, მდევართან 9-ქულიანი დისტანცია კიდევ 3 პუნქტით გაზარდოს. თავის მხრივ, "ჯალოროსის" მისიაა, ეს დისტანცია შეამციროს და ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნოს, აღარაფერს ვამბობთ სათავისო შანსებზე, რაც მას კიდევ ერთხელ მიეცა და გამარჯვების შემთხვევაში, მეტ დამაჯერებლობას შეიძენს. და დღეს, სწორედ "რომამ" უნდა თქვას ჩემპიონატის მთავარი სიტყვა - ექნება თუ არა აზრი პირველი ადგილისთვის ბრძოლას?

ბოლო წლებში, "ინტერისა" და "რომას" დუელი სერია A-ს უპირველეს მოვლენად იქცა. მიზეზებზე საუბარს აქ აღარ შევუდგებით. ამას გარდა, მათვე მიჰყავთ აღლუმი ქვეყნის სათასო ბატალიებშიც. ბოლო სამი ფინალი სწორედ მათი მონაწილეობით ჩატარდა. მათგან, ორში "ნერაძურიმ" გაიმარჯვა, ერთშიც "ჯალოროსიმ". საჩემპიონატო ასპარეზს რაც შეეხება, აქ გვახსენდება შარშანდელი მატჩი "სან სიროზე", როცა სკუდეტოსთვის ბრძოლაში მარტო დარჩენილ "ინტერს" სეზონში პირველი მარცხი სწორედ "რომამ" აგემა - 3:1. დედაქალაქელებმა მილანში 2005/06 წლების სეზონშიც მოიგეს - 3:2. მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მიმდინარე სერია A-ს პირველი წრის შეხვედრა, რომელიც "ოლიმპიკოზე" "შავ-ლურჯების" გამარჯვებით, 4:1 დასრულდა.

უნდა ითქვას ბოლო ხანს "ინტერში" შექმნილ ვითარებაზეც. ექსპერტები თუ მიმომხილველები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ გუნდში ჰარმონია დარღვეულია. კლიმატი გაფუჭდა "ლივერპულთან" საჩემპიონთალიგო მარცხის (0:2) შემდეგ, რამაც "ინტერის" შანსები სერიოზულად შეამცირა. დაპირისპირებაა **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **მარკო მატერაცის** შორის. **რობერტო მანჩინისთან** კონფლიქტი მოუვიდა "სამპდორიასთან" საკვირაო მატჩში შეცვლით უკმაყოფილო **პატრიკ ვიეირას**, უფრო ადრე კი უკმაყოფილება გამოთქვა **ერნან კრესპომ**, რომელმაც მწვრთნელს შეგნებულ იგნორირებაში დასდო ბრალი (შეგახსენებთ, გენუის შეხვედრაში სტუმართაგან გამაყაიმებელი გოლი სწორედ ერნანმა გაიტანა). პრესა წერს იმაზეც, რომ თუ მანჩინის სამწყსომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშებაც ჩააგდო (რისი ალბათობაც ლივერპულური ფიასკოს შემდეგ საკმაოდ დიდია), შესაძლოა, მწვრთნელს პოსტის დატოვება მოუწიოს. **მასიმო მორატის** მხოლოდ იტალიის ჩემპიონობა აღარ აკმაყოფილებს და ეს სრულიად ბუნებრივი ამბიციაა. როგორც ჩანს, მანჩინის არ აქვს რეცეპტი საიმისოდ, თუ როგორ მიაღწიოს წარმატებას ევროფრონტზე. ასეთ მწვრთნელად კი ბევრს **ჟოზე მოურინიო** მიაჩნია და სეზონის ბოლოს პრესა მის დანიშვნას წინასწარმეტყველებს კიდეც.

გადავიდეთ უშუალოდ თამაშის წინ შექმნილ საკადრო სიტუაციაზე. "ინტერს" დაცვაში **ივან კორდობა** დააკლდება. ალბათ, მანჩინი ძირითადში **კრისტიან კივუს** დააყენებს. ყოფილი კლუბის წინააღმდეგ რუმინელს გარკვეული კოზირები შეიძლება ჰქონდეს და მწვრთნელი სწორედ ამის გამოყენებას ეცდება. ტრავმის გამო, ალბათ, ვერ ითამაშებს **დეიან სტანკოვიჩი**, რაც გზას გაუხსნის **მანიშეს**. მაგრამ მთავარი დანაკლისი, რა თქმა უნდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**. შვედი კვლავაც ტრავმირებულია. მანჩინის სხვა გზა არ აქვს, თუ არა ძირითადში **ერნან კრესპოს** გამწესება. ვინ იქნება მეორე ფორვარდი? მოგეხსენებათ, ტრავმა აწუხებს **ხულიო კრუსსაც**, მთლად ჯანმრთელად ვერ არის **დავიდ სუასოც**. თუმცა ჰონდურასელს შანსი მაინც აქვს. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, კრესპოს მეწყვილე შეიძლება იყოს განური წარმოშობის იტალიელი **მარიო ბალოტელი**, 18 წლის ყმაწვილი, რომელმაც საზოგადოებას თავი "იუვენტუსთან" სათასო მატჩში გაკეთებული დუბლით დაამახსოვრა...

ახლა, "რომას" ბანაკშიც შევიხედოთ. **ლუჩანო სპალეტის** სიტუაცია გაცილებით მარტივია, თუ არ ჩავთვლით **ამანტინო მანსინის** ტრავმას. როგორც იტალიური წყაროები იტყობინებიან, ბრაზილიელმა გარემარბმა, რომელიც წინა თამაშში დისკვალიფიცირებული იყო, ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მისი თამაში თითქმის გამოირიცხა. ამ ვითარებაში, სპალეტის არჩევანი ორ ცენტრფორვარდზე შეჩერდება - **ფრანჩესკო ტოტის** მეწყვილედ **მირკო ვუჩინიჩს** ვიხილავთ, თუმცა რეალურად დასაშვებია ისიც, რომ ჩერნოგორიელის ადგილი **ლუდოვიკ ჟიულიმ** დაიკავოს. სავარაუდოდ, თადარიგში გადაინაცვლებს **ალბერტო აკვილანი**, რომელსაც **დავიდ პისარო** შეცვლის. შესაძლებელია სხვა ტაქტიკური გადაადგილებებიც: მაგალითად, **სისინიოს** დისკვალიფიკაციიდან გამომდინარე, დაცვაში დაბრუნდეს ვეტერანი **კრისტიან პანუჩი**, ხოლო **მარკო კასეტიმ** მარჯვნიდან მარცხნივ გადაინაცვლოს და **მაქს ტონეტოს** ადგილი დაიკავოს. ასეთ შემთხვევაში, "რომას" განლაგება 3-5-2-ის სახეს მიიღებს. მოკლედ, არჩევანი სპალეტიზეა...

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, მატერაცი, კივუ, ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო, სტანკოვიჩი (ან მანიშე), ბალოტელი (ან სუასო), კრესპო.

**რომა:** ა. დონი, კასეტი, ფერარი, მექსე, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, ვუჩინიჩი, ტოტი.

ლიდერებიდან, რთული თამაში ელის "მილანს", რომელიც კატანიურ "მასიმინოზე" **დიდას, ალესანდრო ნესტასა** და **კაკას** გარეშე გავა. თავის მხრივ, სიცილიელები საბრძოლო შემადგენლობით არიან. ცნობისთვის, "კატანიას" ბოლო 8 ტურია არ მოუგია: 6 მარცხი (აქედან, 3 ზედიზედ) და 2 ფრე. შარშანდელი შეხვედრა აქ 1:1 დასრულდა.

ტოსკანურ დერბიში "ფიორენტინა" უმასპინძლებს "ლივორნოს", რომელმაც ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ერთ ფრეს გამოჰკრა ხელი. "იებს" თავდასხმაში არ ეყოლებათ **ადრიან მუტუ**, რომელსაც ოთხკვირიანი მკურნალობა აქვს გამოწერილი, და **კრისტიან ვიერი**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. შესაბამისად, **ჩეზარე პრანდელი** წინა ხაზზე **ჯამპაოლო პაცინისა** და "ჯენოადან" ახალმოსულ **პაპა ვაიგოს** დააყენებს. თავდასხმაში სერიოზული გარღვევა აქვს "ლივორნოსაც": ტრავმის გამო გუნდის მთავარი ბომბარდირი **ფრანჩესკო ტავანო** ვერ ითამაშებს.

საინტერესო თამაშს უნდა ველოდოთ ბერგამოშიც. "ატალანტა" "სამპდორიას" მიიღებს. გუნდები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობებით იქნებიან. მასპინძლებს ბოლო სამ ტურში არ გაუმარჯვიათ, სტუმრებს კი ამავე პერიოდში 2 მოგება და ერთი ფრე აქვთ აქტივში. "უდინეზესთან" საშინაო მატჩში "პარმას" ნახევარდაცვის ორი წამყვანი ფიგურა დააკლდება, **ანდრეა გასბარონისა** და **ფრანჩესკო პარავიჩინის** სახით. საგრძნობია ფრიულელთა დეფიციტიც: მარჯვენა მცველი **კრისტიან საპატა** და საყრდენი შუახაზელი **ჯანდომენიკო მესტო** ტრავმირებულები არიან. **სებასტიან ჯოვინკოსა** და **ნიკოლა პოცის** გარეშე "ემპოლის" პალერმოში წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდება. თუ "ლაციომ" "რეჯინასთან" საშინაო მატჩშიც დაკარგა ქულები, მწვრთნელ **დელიო როსის** ნამდვილად წასვლა მოუწევს.. მასპინძელთა შანსები კიდევ უფრო მეტად შეიძლება შეფასდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეჯოკალაბრიელებს ფორვარდი **ნიკოლა ამორუზო** დააკლდებათ. გაცილებით მეტი უპირატესობა ექნება "ჯენოას", რომელიც "ნაპოლის" უმასპინძლებს. სტუმრებს ოთხი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ, მათ შორის, ფორვარდი **მარსელო სალაიეტა** და მცველი **პაოლო კანავარო**. ამ დროს კი გენუელები საბრძოლო შემადგენლობით არიან. გადარჩენისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი იქნება "სიენა"-"კალიარის" მატჩი, რომელშიც მასპინძლებს მცველი და გუნდის კაპიტანი **ვალერიო ბერტოტო** (ტრავმა), ხოლო სტუმრებს ნახევარდაცვის ლიდერი **მიკელე ფინი** დააკლდებათ. წინა ტურში "კალიარიმ" "ლაციო" დაამარცხა (1:0), "სიენა" კი "რომასთან" ისტორიული გამარჯვების (3:0) შემდეგ, ბევრი ვერაფრით დაიტრაბახებს: 2 ფრე და ერთი მარცხი.



ინტერი-რომა. ორი კაპიტანი: ხავიერ ძანეტი და ფრანჩესკო ტოტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 24 | 18 | 6 | 0 | 49-14 | 60 |
| 2. რომა | 24 | 15 | 6 | 3 | 41-23 | 51 |
| 3. იუვენტუსი | 25 | 13 | 9 | 3 | 44-21 | 48 |
| 4. მილანი | 24 | 11 | 8 | 5 | 36-18 | 41 |
| 5. ფიორენტინა | 24 | 11 | 8 | 5 | 36-23 | 41 |
| 6. უდინეზე | 24 | 10 | 6 | 8 | 31-33 | 36 |
| 7. სამპდორია | 24 | 10 | 5 | 9 | 31-27 | 35 |
| 8. ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 36-37 | 31 |
| 9. ჯენოა | 24 | 8 | 8 | 8 | 28-33 | 31 |
| 10. პალერმო | 24 | 8 | 7 | 9 | 32-40 | 31 |
| 11. ნაპოლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36-38 | 30 |
| 12. ტორინო | 25 | 4 | 15 | 6 | 27-30 | 27 |
| 13. ლაციო | 24 | 6 | 8 | 10 | 27-32 | 26 |
| 14. ემპოლი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-30 | 25 |
| 15. კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 20-30 | 23 |
| 16. ლივორნო | 24 | 5 | 8 | 11 | 26-38 | 23 |
| 17. სიენა | 24 | 4 | 10 | 10 | 27-34 | 22 |
| 18. პარმა | 24 | 4 | 10 | 10 | 29-37 | 22 |
| 19. რეჯინა | 24 | 4 | 9 | 11 | 21-38 | 21 |
| 20. კალიარი | 24 | 4 | 6 | 14 | 19-41 | 18 |



როგორ ხასიათზე იქნებიან რობერტო მანჩინი და ლუჩანო სპალეტი დღევანდელი მატჩის შემდეგ?

მთავარი მატჩი. ინტერი VS რომა

# მანჩინი: მსაჯები რომასაც ეხმარებიან

## ინტერის თავკაცი მიიჩნევს, რომ დღეს ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი, სპალეტისაც სჯერა, რომ ჯალოროსის გამარჯვება შეუძლია

ტურის ცენტრალური მატჩის წინ ვნებათაღელვა სულ უფრო იზრდება. საერთო სიტუაცია ნამდვილად არ არის "ინტერის" მხარეს. საუბარია ფსიქოლოგიურ კლიმატზე. მოგეხსენებათ, მთელი იტალია სერია A-ს ლიდერის მიმართ მსაჯების კეთილგანწყობაზე საუბრობს. რამდენიმე შეხვედრაში "ნერაძურიმ" ნაჩუქარი პენალტები შეირგო და სუფთა სინდისით ჩაიდო ჯიბეში 3 ქულა, რომელიც არ ეკუთვნოდა. სხვა კლუბები კი, თავის მხრივ, ჩივიან, რომ თემიდის მსახურთა უნებლიე თუ შეგნებული შეცდომების მსხვერპლად იქცნენ. ამ ამბების გამო, "ინტერმა" პრესასთან დროებით ურთიერთობაც კი განწყვიტა, მიიჩნია რა, რომ ეს კამპანია დაინტერესებული ხალხის მიერ იყო აგორებული. მაგრამ **რობერტო მანჩინის**, ეტყობა, სწორედ "რომასთან" მატჩის წინ ჰქონდა დაგეგმილი დუმილის დარღვევა...

მოკლედ, მანჩინი იქით გადავიდა შეტევაზე და დღევანდელ მეტოქეს შეახსენასავით, მსაჯები თქვენც გეხმარებიანო, თუმც კონკრეტული მაგალითების მოყვანით თავი არ შეუწუხებია: *"არბიტრები "რომასაც" ეხმარებიან, ისევე, როგორც სხვა გუნდებს, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად... მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს თემა უკან გადაიწევს, რადგან ერთმანეთის პირისპირ იქნება სერია A-ს ორი საუკეთესო გუნდი, და ეს იქნება მატჩი, რომელშიც ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი".*

მანჩინიმ კომენტარი გააკეთა **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** დაკავშირებითაც. მოგეხსენებათ, ზლატანს მუხლის ტრავმა აქვს. ზოგიერთი ინფორმაციით, შვედის თამაში შესაძლებელი იყო, თუმცა ბოლო წამს გადაწყდა, რომ რისკის გაწევა არ ღირდა: *"მან სული უნდა მოითქვას. ტრავმაც ბოლომდე მოსაშუშებელი აქვს და ვერ ვხედავ მიზეზს, რომ გართულებაზე წავიდეთ. "ნაპოლისთან" მომდევნო მატჩისთვის "იბრა" სრულ მზადყოფნაში იქნება".*

**ლუჩანო სპალეტის** კი სჯერა, რომ მის გუნდს "სან სიროზე" გამარჯვება შეუძლია. სხვათა შორის, "ჯალოროსიმ" ეს გასულ სეზონშიც დაამტკიცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ინტერი", ფაქტობრივად, ჩემპიონი იყო და მოტივაცია აღარ ჰქონდა. დღეს კი ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. ორივე გუნდს ბევრი რამ აქვს დასაკარგი და ბუნებრივია, ბრძოლა დაუნდობელი იქნება. აი, სპალეტის კომენტარიც:

*"ჩვენ აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, შესაბამისად, ამაზე უნდა ავაგოთ ტაქტიკური მოდელიც. შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. ლიდერთან ჩამორჩენა უნდა შემცირდეს და ვიცი, რომ ეს შეგვიძლია. "ინტერი" ფიზიკურად ძლიერი გუნდია, მაგრამ მთავარია, ჩვენ ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. თუ ამას შევძლებთ, დარწმუნებული ვარ, მეტოქეს განვაიარაღებთ. შემიძლია, წინასწარ განვჭვრიტო, რა და როგორ იქნება - "ინტერი" შეტევაზე გადმოვა, ჩვენ კი საშუალებას მოვნახავთ, რომ მეტოქეს ზურგში დავარტყათ".*

სპალეტის ხასიათი ოდნავ გამოუკეთდა მას მერე, რაც კლუბის ექიმებისგან შეიტყო, რომ **ამანტინო მანსინი** და **ჟუანი** უკეთ არიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ისინი მოედანზე იქნებიან. ისევ სპალეტის მოვუსმინოთ: *"გახარებული ვარ, რომ ორივემ ივარჯიშა, მაგრამ პრობლემები მაინც რჩება. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თუმცა ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ ბრძოლისთვის. მომდევნო ორი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება. მთავარია, ფიზიკური და მენტალური პრობლემები თავიდან ავიცილოთ".*

ჩელსი

# გრანტის პოზიციები შეირყა

## ტოტენჰემთან მატჩამდე ერთი დღით ადრე არისტოკრატების ბანაკში სერიოზული უსიამოვნება მოხდა...

ინგლისის ლიგის თასის ფინალში დამარცხების შემდეგ **ავრამ გრანტის** პოზიციები საგრძნობლად შეირყა. ინგლისელი მიმომხილველები არ გამორიცხავენ, "არისტოკრატებმა" ახალ მწვრთნელზე დაიწყონ ფიქრი. "დეილი მეილის" თქმით ვითარება იმაზე სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ლონდონელთა ბანაკში პრობლემებია. ფეხბურთელები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მწვრთნელი უსამართლოდ ეპყრობა, უკმაყოფილებას ველარ მალავენ. გრანტს წესრიგის დამყარება უჭირს. ამ ფონზე წარმატებების მიღწევა ყოვლად შეუძლებელია.

"ტოტენჰემთან" ნამატჩევს "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** გასახდელში ჩავიდა და ფეხბურთელებს გამოელაპარაკა. მას არ დაუმალავს, რომ გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო. მიმომხილველები იმ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ გრანტმა **ხუანდე რამოსთან** ტაქტიკური პაექრობა პირწმინდად წააგო. ებრაელ მწვრთნელს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ მან ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეარჩია. "სანის" აზრით, გრანტი დიდი მატჩებისათვის ფეხბურთელების მომზადებას ვერ ახერხებს. ნიშანდობლივი იყო, რომ ლიგის თასის ფინალში, ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ, გუნდს მითითებებს მეორე მწვრთნელი **სტივ კლარკი** აძლევდა. გრანტი კი მინდვრის კიდეზე იდგა, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა. მისი დანიშვნისას "ჩელსის" დირექტორები უფრო მეტ ენთუზიაზმს იჩენდნენ. გასული წლის დეკემბერში "არისტოკრატებმა" გრანტს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ გუნდისათვის მთავარი ტიტულებია. გასულ უქმეებზე "ჩელსიმ" ყველაზე ადვილად მოსაგები ტურნირის ფინალი დათმო.

გრანტის მოღვაწეობა არაერთგვაროვან შეფასებას იმსახურებს. ერთი შეხედვით, სტატისტიკა შთამბეჭდავია. "სტემფორდ ბრიჯზე" მისვლის შემდეგ მისმა გუნდმა 34 მატჩი ჩაატარა, 24 მოიგო და 8 ფრედ დაასრულა. მაგრამ "ჩელსიმ" ყველა პრინციპული თამაში წააგო. ის დამარცხდა უმთავრეს კონკურენტებთან, "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალთან" და ბოლოს, თასიც "ტოტენჰემს" გადაულოცა. აქვე შეგახსენებთ, რომ "არისტოკრატებს" "მანჩესტერსა" და "არსენალთან" საშინაო მატჩები აქვთ ჩასატარებელი.

გუშინდელ "სანში" სენსაციური ინფორმაცია გამოქვეყნდა. ტაბლოიდმა შაბათს, ლიგის თასის ფინალამდე ერთი დღით ადრე, "ჩელსის" ბაზაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ გვამცნო. იმ დროს, როდესაც ვარჯიში დასასრულს უახლოვდებოდა, კაპიტანი **ჯონ ტერი** მეორე მწვრთნელ **ჰენკ თენ კეიტს** დაუპირისპირდა. მათ ცოტა დააკლდათ და ხელჩართული ჩხუბი არ ატეხეს. ტერიმ და თენ კეიტმა ერთმანეთის მისამართით უწმაწური სიტყვები არ დაიშურეს. გაოგნებული ფეხბურთელები მათ შორის ჩადგნენ. ვნებები, როგორც იქნა, ჩაცხრა. ინციდენტს აბრამოვიჩი შეესწრო. ის ბაზაზე იმყოფებოდა და გუნდის ვარჯიშს ადევნებდა თვალს. "ჩელსის" წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

უკმაყოფილება მატულობს იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. **ანდრეი შევჩენკო** "ჩელსიში" თავის ადგილს ველარ ხედავს. იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები სათასო ფინალისათვის ემზადებოდნენ, შევა სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ათამაშეს. შევჩენკოს პარტნიორობას თინეიჯერი ფეხბურთელები უწევდნენ. უკრაინელმა ვარსკვლავმა ის საწვრთნელი შეხვედრაც წააგო. "ტოტენჰემთან" მატჩის წინ "ჩელსი" სასტუმრო "ლენდმარკში" დაბანაკდა. გრანტმა სასტუმროში დარჩენის ნება მხოლოდ იმ ფეხბურთელებს დართო, რომლებიც მატჩის განაცხადში იყვნენ. შევჩენკო და **ეშლი კოული** განაცხადში არ ყოფილან. მათ მოსთხოვეს, საკლუბო კოსტუმები ჩაეცვათ და თამაშზე ცალკე მისულიყვნენ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ავრამ გრანტი

სარაგოსა

# ვინ შეცვლის ირურეტას?

## არაგონელები ორ ყველაზე მოდურ ესპანელ სპეციალისტს ელაპარაკებიან

"სევილიასთან" განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ "სარაგოსას" ხელმძღვანელებმა, უფრო მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ **ხავიერ ირურეტასთან** კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებები არ დაიწყონ. შეგახსენებთ, არაგონელებმა გამოცდილი ბასკი სპეციალისტი **ვიქტორ ფერნანდესის** გადაყენების შემდეგ იმ პირობით დანიშნეს, რომ გუნდს 30 ივნისამდე უხელმძღვანელებდა. სხვათა შორის, მეტი ხნით "ლა რომარედაზე" დარჩენა თავად ირურეტასაც არ სურდა. მოკლედ, მხარეები თანამშრომლობას შეუდგნენ და მალე აგორდა ჭორები, რომ პრეზიდენტი **ედუარდო ბანდრესი** სენიორ ხავიერის მეტი ხნით დატოვების მიზნით მასთან მოლაპარაკებებს დაიწყებდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაცია ამ ჭორებს მთლიანად აქარწყლებს. "დიარიო ასში" დაიწერა, რომ ბატონი ბანდრესი **მარსელინიო გარსია ტორალთან** ინტენსიურ მოლაპარაკებებს შეუდგა. არაგონული კლუბის უმაღლესი ხელისუფალი "რასინგში" მარსელინიოს მოღვაწეობით აღფრთოვანებულია და ძალიან უნდა, მომავალი სეზონიდან "ლა რომარედაზე" მუშაობაზე დაითანხმოს. იმ შემთხვევაში, თუ მარსელინო სანტანდერელების მიტოვებას არ მოისურვებს, პატივცემული ბანდერასი "ალმერიული სასწაულის" შემოქმედის, **უნაი ემერის** გადაბირებას შეეცდება. ამ ეტაპზე "სარაგოსას" შეფები დარწმუნებით ამბობენ, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ ამ ორ სპეციალისტთან მიმდინარეობს.



ხავიერ ირურეტა

არსენალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვენგერმა კაბალიერო მოიკითხა

## ელჩეს არგენტინელმა მეკარემ შეიძლება ლონდონს მიაშუროს...

გასულ უქმეებზე "არსენალმა" თავისი სკაუტი ესპანეთში მიავლინა. ის სეგუნდა დივიზიონში, "ელჩესა" და "რეალ სოსიედადის" კალენდარულ მატჩს დაესწრო. სკაუტს "ელჩეს" გოლკიპერის, **ვილი კაბალიეროს** ნახვა სურდა. ამ ფეხბურთელმა ლონდონური გრანდის ყურადღება რამდენიმე თვის წინ მიიპყრო. "არსენალის" ემისარმა შემთხვევით ისარგებლა და "რეალ სოსიედადის" ახალგაზრდა ნახევარმცველ **ფრან მერიდასაც** შეავლო თვალი. ფრანი "მეთოფეების" საკუთრებაა. ის სანსებასტიანურ გუნდში ერთწლიანი იჯარით ასპარეზობს.

"ელჩეს" ხელმძღვანელობამ მიმომხილველებს აუწყა, რომ "არსენალიდან" არავინ შეხმიანებია. ლონდონელებს კაბალიეროს ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ. "ელჩე" მზადაა, სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენოს. კაბალიერო 26 წლისაა. მას პრიმერა დივიზიონის ორი კლუბი, "მალიორკა" და "დეპორტივოც" ეპატიჟება. კაბალიერო არგენტინელია, თუმცა ესპანური პასპორტიც აქვს. ეს მის ტრანსფერს ერთიორად გააადვილებს. ვილი არგენტინის ნაკრებში გამოიძახეს. მას "ალბისელესტეს" შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია. კაბალიეროს "ელჩესთან" კონტრაქტში 18 თვე აქვს დარჩენილი. მისი ფასი უცნობია.

### დიეგოს სამი მატჩი

"ვერდერის" ნახევარმცველ **დიეგოს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ის გასულ უქმეებზე, "აინტრახტთან" მატჩისას (0:1) გააძევეს. ბრაზილიელი ვარსკვლავი მეტოქის ფორვარდ **იოანის ამანატიდისს** ეუხეშა. ბრემენელი მუსიკოსები ბუნდესლიგის გათამაშებაში მეორე ადგილზე იმყოფებიან. მათ მიუნხენის "ბაიერნისაგან" ოთხი ქულა ჰყოფთ. "ვერდერის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ განაჩენის გასაჩივრებას არ აპირებს, რადგან სასჯელი სამართლიანად მიაჩნია. დიეგო "დორტმუნდთან", "შტუტგარტსა" და "ვოლფსბურგთან" თამაშებს გამოტოვებს. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა განმარტა, რომ სასჯელი საერთაშორისო მატჩებზე არ ვრცელდება. ფეხბურთელი "რეინჯერსთან" უეფას თასის მეოთხედფინალში ითამაშებს. შეხვედრები 6 და 13 მარტს გაიმართება.

### მანსინი რომას ვერ უთანხმდება

**ამანტინო მანსინი** "რომას" ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ უთანხმდება. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, 27 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი წლიური ანაზღაურების სახით, 3.5 მილიონ ევრო ითხოვს. "ჯალოროსი" კი ერთი მილიონით ნაკლებს სთავაზობს. "რომაში" უჩვეულო სახელფასო სისტემაა. კლუბში დაწესებულია სახელფასო მაქსიმუმი, რაც 1.7 მილიონ ევროს შეადგენს. გამონაკლისია მხოლოდ ორი ფეხბურთელის შემთხვევა. ერთი, რა თქმა უნდა, **ფრანჩესკო ტოტია**, ხოლო მეორე - ახალგაზრდა რომაელი ვარსკვლავი **დანიელე დე როსი**. მათ სხვა მოთამაშეებზე გაცილებით მეტს უხდიან. "რომა" თანახმაა, მესამე გამონაკლისი მანსინი იყოს, მაგრამ მას ტოტისა და დე როსისთან მიახლოებულ პირობებსაც კი არ სთავაზობს. ფეხბურთელი დათმობას არ აპირებს. თუ შეთანხმება არ მოხერხდება, ამანტინო "ინტერს" მიაშურებს. წელინადზე მეტი ხანია, ფეხბურთელს "ნერაძურიში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

### ბექჰემმა აზიური ტურნე დაიწყო

**დევიდ ბექჰემი** და "ლოს ანჯელეს გალაქსი" სამხრეთ კორეაში ჩაფრინდნენ. ამერიკულმა კლუბმა აზიური ტურნე დაიწყო. ტურნეს ფარგლებში "გალაქსი" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს: შაბათს სეულში, 5 მარტს - ჩინეთის ქალაქ შანხაისა და 9 მარტს - ჰონ კონგში. ლოსანჯელესელები სოლიდურ შემოსავალს ელოდებიან. შემოსავლის ძირითადი წყარო ინგლისელი გალაქტიკოა. ის რომ არა, "გალაქსის" სტუმრობა, შეუმჩნევლად ჩაივლიდა. სეულში ჩასვლამდე "გალაქსიმ" ჰავაის კუნძულებზე, წყნარი ოკეანის ოთხგუნდიან ტურნირში ითამაშა და მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო მატჩში გუნდმა "სიდნეის" 2:1 მოუგო. ბექჰემმა ორი საგოლე პასი მიითვალა.

"გალაქსი" ამერიკის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩს 29 მარტს, კოლორადოში გამართავს. ამ შეხვედრის ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა. ორგანიზატორები სრულ ანშლაგს ელოდებიან. მიზეზი ამ შემთხვევაშიც დევიდ ბექჰემია. გალაქტიკოს შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა. წელს ის ამერიკის პირველობაზე მთელი სეზონის განმავლობაში ითამაშებს. შემოსავლიანი მატჩებიც შარშანდელზე ბევრად მეტი იქნება.



რაფა ბენიტესი

ლივერპული. ტრანსფერები

# ბენიტესი აქცენტს დაცვაზე გააკეთებს

## მანჩესტერმა მეტოქეს ახალგაზრდა ფეხბურთელი წაართვა

ზაფხულის ტრანსფერებისას **რაფა ბენიტესი** სამ ფეხბურთელს შეიძენს. უახლოეს მომავალში "ლივერპული" არაბულმა კომპანია "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალმა" უნდა იყიდოს. ამ ინფორმაციას გაზეთი "ფიფლი" ავრცელებს. არაბი ინვესტორების მისვლის შემთხვევაში, შემადგენლობის გასაძლიერებლად სოლიდურ თანხას გამოყოფენ. ბენიტესის უპირველესი სამიზნე "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალური მცველი **ვესლი ბრაუნი** იქნება. ის "ეშმაკებთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. ბრაუნს შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებს და მზადაა, დაინტერესებული კლუბების წინადადებები განიხილოს. "ლივერპულის" გარდა, მას "ნიუკასლიც" ეპატიჟება. ჯორდები კრიზისში არიან. ამ ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ბრაუნი "მანჩესტერის" მეზობელსა და მოსისხლე "ლივერპულს" აირჩევს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

ბენიტესი დაცვის გაძლიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. მას არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეს** შეძენაც უნდა. მერსისაიდელები ჰაინცეს გასულ ზაფხულსაც ეპატიჟებოდნენ. გაბრიელის ყოფილმა კლუბმა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" ყველაფერი იღონა, რათა ფეხბურთელი ინგლისელ მეტოქეს არ დარჩენოდა. მან მადრიდის "რეალს" მიაშურა. როგორც ამბობენ, ჰაინცეს ინგლისში დაბრუნება სურს. ის "ლივერპულში" გადასვლაზე თანახმაა. ჰაინცესა და "ლივერპულს" წინასწარი კონტრაქტი ერთი წლის წინაც ჰქონდათ გაფორმებული, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ამჯერად, "იუნაიტედი" "ლივერპულს" ხელს ველარ შეუშლის.

ბენიტესის კიდევ ერთი სამიზნეა "არსენალის" ნახევარმცველი **აბუ დიაბი**. ის შარშანდელ სეზონში სტაბილურად ასპარეზობდა, მაგრამ წელს ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ შვიდი მატჩი ჩაატარა. დიაბი 21 წლისაა. მას უფრო მეტი შეხვედრის ჩატარება სურს. ფეხბურთელს ჯერ არ გადაუწყვეტია, მოითხოვოს თუ არა ტრანსფერზე დაყენება. უცნობია, რა თანხის გადახდა მოუწევს "ლივერპულს", თუ დიაბის ტრანსფერის საკითხი დადებითად გადაწყდება.

და კიდევ, "ლივერპულის" ახალგაზრდა ფეხბურთელმა **სკოტ ვუტონმა** "მანჩესტერ იუნაიტედს" მიაშურა. ეს ბიჭი 16 წლისაა. ვუტონი 12 წლიდან "ლივერპულში" ირიცხებოდა. მას პროფესიული კონტრაქტი ჯერ არ ჰქონდა გაფორმებული. "იუნაიტედმა" ამით ისარგებლა და ყმაწვილი მიიწვია. მან "მანჩესტერის" 18-წლამდელთა გუნდში ერთი მატჩის ჩატარება მოასწრო. მიმომხილველებს კი განუცხადა, ლივერპულიდან იმიტომ წამოვედი, რომ გამოცდილი უცხოელი ფეხბურთელების სიმრავლის გამო გუნდში მოხვედრის მინიმალური შანსი მქონდაო. "ლივერპულს" მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთის ნაკრები

# რაულს საკუთარი ნათქვამი დაავიწყდა?

## გონსალეს ბლანკომ ნაკრებში მის გამოძახებასთან დაკავშირებული დებატის შეწყვეტა ითხოვა, მაგრამ პირობა თავადვე დაარღვია



რაულ გონსალეს ბლანკოსა და ლუის არაგონესის ზავი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაფორმდა

ზუსტად ხუთი დღის წინათ **რაულის** ინიციატივით, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის შენობაში, ყველასთვის აბსოლუტურად მოულოდნელი შეხვედრა შედგა. მადრიდის "რეალის" კაპიტანი ესპანეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ლუის არაგონესს** პირისპირ შეხვდა და შემდეგ საგანგებოდ მიწვეული ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. გონსალეს ბლანკომ საზოგადოებას თხოვა, რაულის ეროვნულ გუნდში გამოუძახებლობის თემა დახურულად გამოეცხადებინათ და ამ საკითხთან დაკავშირებით არავის არაფერი ეთქვა. მოტივად ის "სელექსიონისთვის" სასიცოცხლოდ აუცილებელ სიმშვიდეს ასახელებდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით უკიდურესად გასაკვირია, რომ მორატორიუმი თავად რაულ გონსალეს ბლანკომ დაარღვია. აი, რა განუცხადა გუშინ მან "დიარიო მარკას" კორესპონდენტს: *"მთავარ მწვრთნელთან შეხვედრის შემდეგ ბევრად უფრო მშვიდად ვარ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ "სელექსიონში" დაბრუნების სურვილი გამიქრა. პირიქით, იმედი გამიჩნდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზებ. არაგონესმა დამარწმუნა, რომ შანსი მაქვს. თუ მაინც ისე მოხდება, რომ ესპანეთის ნაკრების მიღმა აღმოვჩნდები, რა თქმა უნდა, უკიდურესად იმედგაცრუებული ვიქნები. ეს უდიდესი უსამართლობა იქნება. იმედია, მოვლენები ამგვარად არ განვითარდება. ისე კი ნებისმიერ შემთხვევაში, "სელექსიონის" ქომაგი ვიქნები და ყველაფერს გავაკეთებ, რათა მას შეძლებისდაგვარად დავეხმარო. თუ დამიძახებენ, მოედანზე ვიბრძოლებ, თუ არა, ტრიბუნიდან გავამხნევებ ბიჭებს."*

ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერი თქმულა, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ ლუის არაგონესთან მიმართებაში ზავის ჩამოგდების ინიციატივით თავად რაული გამოვიდა. მან გარკვევით და ცალსახად თქვა, ყველას ძალიან ვთხოვ, ჩემი და სენიორ ლუისის ურთიერთობებისა და რაულის ნაკრებში მოხვედრა - არ მოხვედრის შესახებ საერთოდ არ ილაპარაკოთო. სხვათა შორის, დუმილის პირობა თავად გონსალეს ბლანკომაც დადო. მაგრამ თავშეკავებამ სულ რალაც ხუთ დღეს გასტანა. საინტერესოა, რა მოყვება "რეალის" კაპიტნის გუშინდელ განცხადებას. ახლა ჟურნალისტებს ალბათ, აქვთ იმის მორალური უფლება, რომ დებატი განაახლონ. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, რაულს პროტესტის გამოთქმა ძალიან გაუჭირდება. ესპანეთი ის ქვეყანა არ არის, ვინმეს რაიმე საკითხზე მსჯელობა იმპერატიული ტონით აუკრძალონ. ხოლო თუ ურთიერთგაგებასა და საერთო ინტერესებისთვის შეთანხმებას ეხება საქმე, აუცილებელია, რომ ინიციატივის ავტორმა პედანტიზმი გამოიჩინოს და თავად არ დაარღვიოს პირობა.



ხავიერ აგირე და დიეგო ფორლანი

ატლეტიკო

# ხავიერ აგირეს ულტიმატუმი წაუყენეს

## თუ როხიბლანკო ბარსელონასთან კალდერონზე წააგებს, მექსიკელ სპეციალისტს სახლში გაუშვებენო

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში "ატლეტიკომ" "ოსასუნასთან" გასვლითი შეხვედრა წააგო. როხიბლანკო ჩემპიონთა ლიგის ზონაში ადგილს, მხოლოდ და მხოლოდ, იმის გამო ინარჩუნებს, რომ მისი უშუალო კონკურენტი "ესპანიოლი" უმოწყალოდ ფლანგავს ქულებს. სამაგიეროდ, "სევილია" გამოცოცხლდა და სავარაუდოა, რომ ანდალუსიელები მადრიდელებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან. ესპანელი მიმომხილველები ლიად საუბრობენ, რომ "ატლეტიკო" მწვავე კრიზისმა მოიცვა. ეს მოსაზრება სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. პრიმერა დივიზიონში ზედიზედ განცდილ ორ დამარცხებასა და უკიდურესად გაუარესებულ სატურნირო მდგომარეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, "როხიბლანკომ" უეფას თასზე "ბოლტონის" წინააღმდეგობაც ვერ დაძლია და გათამაშებას გამოეთიშა. ყოველივე ამის შემდეგ იმ საკითხზე, რომლის შესახებ ჩურჩულითაც არავინ საუბრობდა, ხმამაღლა და დაუფარავად ლაპარაკი დაიწყეს. რა თქმა უნდა, მისახვედრია, რომ საქმე **ხავიერ აგირეს** მომავალს ეხება. თითქოს ესპანურმა გაზეთებმა პირი შეკრეს, ყველამ ერთხმად დაიწყო იმის მტკიცება, რომ მექსიკელ სპეციალისტს ულტიმატუმი წაუყენეს. თუ მომდევნო ტურში "ვისენტე კალდერონზე" "ბარსელონასთან" დავმარცხდებით, მთავარი მწვრთნელის პოსტს დაგატოვებინებთო. არადა, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას საჯაროდ მსგავსი რამ არასოდეს უთქვამს. პირიქით, აქამდე ცნობილი იყო, რომ ისინი აგირეს სეზონის დასრულებამდე მშვიდად მუშაობის შესაძლებლობას მისცემდნენ და საკონტრაქტო საკითხებზე მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდნენ საუბარს. როგორც ჩანს, ბოლო 2 კვირაში განცდილმა წარუმატებლობებმა სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, წამყვანი გაზეთები ამტკიცებენ, რომ აგირეს ხსენებული ულტიმატუმი მართლაც წაუყენეს. როგორი საქმეა, "ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონში საქმე მისთვის სასიკეთოდ შემოატრიალა. "რეალთან" ადრე არსებული ცხრაქულიანი სხვაობა ორამდე დაიყვანა და, რა თქმა უნდა, პროგრესის გზაზე შემდგარი გუნდი "ვისენტე კალდერონზე" გამარჯვებისთვის იბრძოლებს. აშკარაა, "ბარსა" გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე "ატლეტიკო". ასე რომ, სენიორ ხავიერ აგირეს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

გუშინ, "დიარიო ასის" კორესპონდენტმა **მანოლო როდრიგესმა** მექსიკელ სპეციალისტთან დაკავშირება შეძლო. აგირემ მის რამდენიმე კითხვას უპასუხა, გუნდი პრობლემებს წააწყდა და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს კრიზისი დავძლიოთო. ჩვენი კოლეგის თქმით, თვალნათლივ ჩანდა, რომ რესპონდენტი მზად იყო დიდ ხანს ესაუბრა, თუმცა როგორც კი გაიგო, რომ მომდევნო კითხვა ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს შეეხებოდა, ჟურნალისტთან დაუმშვიდობებლად ტელეფონი გათიშა.

ამასობაში, საფრთხე "ატლეტიკოს" ფეხბურთელებსაც დაემუქრათ. გავრცელებული ხმების თანახმად, სეზონის დასრულების შემდეგ გუნდის დატოვება ერთბაშად რამდენიმე მოთამაშეს მოუწევს. ამ ეტაპზე **სეიტარიდისის, ელერის, ზე კასტროს, რეიესისა** და **მისტას** გვარები სახელდება. გამორიცხული არ არის, "ვისენტე კალდერონიდან" აბარგება **ტიაგო მოტასა** და **კლებერსაც** მოუხდეთ. მოტას ალბათ, ძალიან გაუჭირდება "ატლეტიკოში" დარჩენა. მას ამ წლის 30 ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ მისი თამაშით ძალიან უკმაყოფილოა. მართალია, უსახურ ასპარეზობას ტრავმა განაპირობებდა, ამას თავად "ატლეტიკოს" შეფებიც აღნიშნავენ, მაგრამ მათთვის ეს არგუმენტი არ არის გადამწყვეტი, რადგან კაპიტალისტი შეფების მოთხოვნა კარგად თამაშია. მოტამ **ენრიკე სერესო** მას შემდეგაც ვერ მოხიბლა, რაც ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგა.

გუშინ, გვიან ღამით, კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ირკვევა, "როხიბლანკოს" ხელმძღვანელობა **პაბლოსა** და **პერნიას** თამაშითაც ძალიან უკმაყოფილოა. პრესსამსახურმა ალბათ, შემთხვევით არ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ გენერალური დირექტორი სიამოვნებით ჩაებმება მოლაპარაკებებში იმ კლუბებთან, რომლებიც პაბლოსა და პერნიას გადაბირებას მოისურვებენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, გუნდს ძირითადად დაცვის ხაზის მოთამაშეები დატოვებენ. კაცმა რომ თქვას, ამგვარი ტენდენცია გასაკვირი სულაც არ იქნება. თუ "ატლეტიკოს" თამაშები გინახავთ და გუნდს კარგად დაკვირვებიხართ, დაგვეთანხმებით, რომ მისი მთავარი პრობლემა სწორედ დაცვაა. თუნდაც "ოსასუნასთან" ბოლო შეხვედრა ავილოთ. სულ რალაც ხუთ წუთში პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლმა გუნდმა დიდი ამბიციების მქონე "ატლეტიკოს" ორი გოლი გაუტანა, ორივე მცველების მიუტევებელი შეცდომის გამო.

ტოტენჰემი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# 40 მილიონი რამოსს

## თასის დაუფლებას მცირე უსიამოვნება მოჰყვა, ესპანელი მწვრთნელი უეფას თასსა და მეკარეს უმიზნებს...

ინგლისის ლიგის თასის მოგების შემდეგ, "ტოტენჰემის" ფეხბურთელებმა ღამის კლუბს მიაშურეს. გუნდის კაპიტან **ლედლი კინგს** უსიამოვნება შეემთხვა. კინგი არათუ დათვრა, არამედ გაილეშა. ის გამომწვევად იქცეოდა. სიტყვიერმა გაფრთხილებამ არ გაჭრა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა, რადიკალური ზომისთვის მიემართა. კლუბის მცველებმა ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი ქუჩაში მიაბრძანეს. კინგი ათლეტური აღნაგობისაა. ის ტანმაღალი და დაკუნთული ბიჭია. ლედლის ქუჩაში გაპანღურება იუკადრისა და შენობაში დაბრუნება სცადა. კლუბის შესასვლელთან გაწევ-გამოწევა გაჩაღდა. ჩასაფრებულ პაპარაცებსაც მეტი რა უნდოდათ. მათ მომხდარი ინციდენტი დაუყოვნებლივ ფირზე ასახეს. ლედლის მისი თანაგუნდელი **ალან ჰატონი** ამოუდგა გვერდში. ჰატონს არ უჩხუბია. ის ისე იქცეოდა, როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს შეეფერება. ალანი კაპიტნის დაშოშმინებას ცდილობდა. ბოლოს ის ტაქსიში ჩასვა და სახლში გააცილა. ამავე წვეულებას ესწრებოდნენ **აარონ ლენონი, ჯერმეინ ჯენასი, ტომ ჰადლსტონი, სტიდ მალბრანკი, პასკალ შიმბონდა** და **იუნეს კაბული**. კლუბის თანამშრომლებს მათთან პრეტენზიები არ ჰქონიათ.

ლიგის თასი "ტოტენჰემის" პირველი ტიტული იყო ბოლო ცხრა წლის განმავლობაში. კლუბის ხელმძღვანელობა გახარებული და კმაყოფილია. ლონდონელთა თავმჯდომარე **დანიელ ლევი ხუანდე რამოსს** საჩუქარს უმზადებს. ის მზადაა, ზაფხულის ტრანსფერებისას 40 მილიონი გირვანქა დახარჯოს. "მამლების" თავკაცს მონახაზი უკვე გაკეთებული აქვს. მან იცის, რომელი ფეხბურთელები სჭირდება, მაგრამ ამ თემაზე საჯარო საუბრისგან თავს იკავებს. რამოსს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაჭრელი. მან მეორე ტიტულს, უეფას თასს დაუმიზნა. ლონდონელები ტურნირის მეოთხედფინალში გავიდნენ. სენიორ ხუანდე უეფას თასის მფლობელია. მისი "სევილია" პრესტიჟულ ჯილდოს ზედიზედ ორჯერ, 2006 და 2007 წლებში დაეუფლა. რამოსი ამ წარმატების გამეორებას ლონდონში აპირებს. გაისად კი, გაძლიერებული შემადგენლობით, ოთხეულში მოხვედრასა და ჩემპიონთა ლიგაში გასვლას შეეცდება. "ტოტენჰემში" ყველაფერი გეგმის მიხედვით ხორციელდება. დირექტორები მთავარი მწვრთნელის მუშაობის კმაყოფილებას ვერ მალავენ, მწვრთნელი კი მათ მხარდაჭერისთვის ემადლიერება. რამოსი ამბობს, დირექტორები ჩემს ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებენ, ლონდონში ნამდვილ განცხრომაში ვცხოვრობო.

ზემოხსენებული 40 მილიონის ნაწილი აუცილებლად დაიხარჯება მეკარის ტრანსფერში. "გარდიანის" ცნობით, სასურველი ფეხბურთელების სია შედგენილია. ლონდონელები აიაქსელ **მაარტენ სტეკელენბურგს** აკვირდებიან. მას ამსტერდამული კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. სტეკელენბურგის საკითხს "აიაქსის" ახალი თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** გადაწყვეტს. საეჭვოა, მწვრთნელმა მაარტენის გაყიდვა მოისურვოს. "ტოტენჰემმა" იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეს, **ემილიანო ვივიანოსაც** დაადგა თვალი. ის სერია B-ს "ბრეშაში" თამაშობს. კლუბის სკაუტები ესპანეთსა და საფრანგეთშიც გაემგზავრნენ. ისინი "ესპანიოლისა" და "ლე მანის" მატჩებს დაესწრნენ. "ტოტენჰემის" ყურადღება ამ გუნდების კარის დარაჯებმა - **კარლოს კამენიმ** და **იოან პელემ** დაიმსახურეს. "ტოტენჰემის" სურვილის შესახებ კარგად უწყის "მანჩესტერ იუნაიტედმა". "ეშმაკებმა" ლონდონელებს გარიგება შესთავაზეს: ახალგაზრდა მეკარე **ბენ ფოსტერი** ბულგარელი თავდამსხმელის, **დიმიტარ ბერბატოვის** სანაცვლოდ. "იუნაიტედს" ბერბატოვის შეძენა გასულ ზაფხულსაც სურდა. "მანჩესტერი" თანახმაა, ფოსტერის გარდა, "მამლებს" რამდენიმე მილიონი გირვანქაც მიუთვალოს.



ხუანდე რამოსი და მისი პირველი ინგლისური ჯილდო, ლიგის თასი

ინტერვიუ გუტისთან

# პატიოსნება, სამართლიანობა და ობიექტურობა მიყვარს

**ხოსე მარიამ საკუთარი თვალით დაინახა, რომ მსაჯმა ალამი ასწია, ამიტომ ხეტაფესთან მარცხში მხოლოდ რეალს ადანაშაულებს, სამართლიანობის დასაცავად ის მიატოვიჩსაც კი დაუპირისპირდა**

"სანტიაგო ბერნაბეუზე" "ხეტაფესთან" განცდილი მარცხის შემდეგ, პრიმერა დივიზიონში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. "რეალი" "ბარსალონას" ახლა არა ცხრა ქულით, არამედ სულ რაღაც ორი ქულითღა უსწრებს. მადრიდულ საფეხბურთო წრეებში სერიოზული მღელვარება გაჩნდა. სამეფო კლუბის გულშემატკივრები და საზოგადოების ნევრები შიშმა შეიპყრო. ისინი თვალნათლივ ხედავენ, რომ ფეხბურთელებმა თავდაჯერება დაკარგეს და უდიდესი უპირატესობა გაფლანგეს. კიდევ ერთი უსიამოვნება ის არის, რომ "ხეტაფესთან" მატჩამდე სამეფო კლუბს მშობლიურ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ზუსტად 385 დღის განმავლობაში არცერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული. მანამდე ესპანურ გრანდს "ლევანტემ" სძლია. ვალენსიელებმა სენსაციური სამი ქულა იმ დღეს მოედანზე მყოფი ერთადერთი ფორვარდის, სალვას გოლის წყალობით მოიპოვეს. ახლა კი ეს საგმირო საქმე "ხეტაფეს" აფრიკელმა თავდამსხმელმა უჩემ ჩაიდინა. რა თქმა უნდა, უკვე იცით, რომ ბერნდ შუსტერი ყოფილ გუნდთან ფრიად კურიოზული მიზეზის გამო დამარცხდა. "ხეტაფე" მედგრად იცავდა თავს. სტუმრები შიგა და შიგ კონტრიერიშებსაც აწყობდნენ. მათ მცდელობებს სერიოზული ხიფათი არ ახლდა თან, მაგრამ დასაფასებელია, რომ საშუალო დონის კლუბი გრანდს არ უშინდებოდა და საკმაოდ თამამად თამაშობდა. ამასობაში, დრო უმოწყალოდ გადიოდა. მადრიდელთა მორიგი შეტევა გოლით დასრულდა, მაგრამ არბიტრმა ის აბსოლუტურად სამართლიანად გააუქმა. პასიურ თამაშგარეში მყოფმა რაულმა არიენ რობენს პასი მიაწოდა. ამით კაპიტანი პასიური თამაშგარე მდგომარეობიდან აქტიურ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გვერდითმა მსაჯმა ალამი აღმართა, მაგრამ მასთან ზურგით მდგარმა რობენმა ეს, რა თქმა უნდა, ვერ შენიშნა და გოლის გატანით უზომოდ გაიხარა. მასთან ერთად, "რეალის" სხვა ფეხბურთელებიც ხარობდნენ. მაშინ, როცა მასპინძლები ერთმანეთს ეხუტებოდნენ, "ხეტაფემ" თავისუფალი დარტყმით თამაში განაახლა. პირით ხაზს იქეთ მყოფი მასპინძლები გონს გვიან მოეგნენ და საკუთარი საჯარიმოსკენ თავგანწირვით გაიქცნენ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. რამდენიმესვლიანი კომბინაციის შედეგად, უჩე კასილიასსთან პირისპირ აღმოჩნდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. სამეფო კლუბის ფეხბურთელთაგან ამ უსუსურ ეპიზოდზე მხოლოდ გუტიმ ისაუბრა. ხოსე მარიამ ჯერ კიდევ მატჩის დასრულების შემდეგ დაგმო მომხდარი. გუშინ, მან "დიარიო ასს" ვრცელი ინტერვიუ მისცა. ბუნებრივია, "რეალის" ვარსკვლავს სკანდალური გოლის გარდა სხვა საკითხებზეც მოუხდა საუბარი.

**- დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ მცირე დროში პრიმერა დივიზიონში სამჯერ წააგეთ. ამას ჩემპიონთა ლიგაში "რომასთან" წაგებული მატჩიც უნდა დავამატოთ. საინტერესოა, სერიოზული წარუმატებლობების შემდეგ გუნდში როგორი ატმოსფეროა?**

- თავს კარგად ვგრძნობთ, რადგან ბოლო შეხვედრებში დაშვებული შეცდომები ჯეროვნად გავაცნობიერეთ. ვიცით, რომ თქვენს მიერ ხსენებული წაგებული მატჩები სწორედ ამ შეცდომების გამოძახილია. მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ სამეფო კლუბი შესანიშნავად თამაშობს. სამწუხაროდ, ბოლო დროს თამაშის მაღალი ხარისხი შედეგებზე არ აისახება. აუცილებელია, რომ უმოკლეს დროში ეს მცირე ხარვეზები აღმოვფხვრათ და ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ. პარადოქსია, რადგან "რეალი" გაცილებით უფრო ლამაზად ასპარეზობს, მაგრამ ქულებს კარგავს. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სანახაობრივ ფეხბურთზე უარი უნდა ვთქვათ. მთავარია, საკუთარი შეცდომები ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენოთ. დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება.

**- როგორი დასკვნა გამოიტანეთ?**

- ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. არ არსებობს გუნდი, რომელსაც ამ სახის პრობლემები არ ექმნება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ფაქტობრივად, ქულის დაკარგვის გარეშე მოვდიოდით. ამის შემდეგ მცირე ჩავარდნა გვაქვს. ეჭვი არ მეპარება, ეს დროებითი მოვლენაა და ძალიან მალე დავიბრუნებთ დამაჯერებლობას. ოდნავადაც არ ვღელავთ, რადგან გუნდის პოტენციალი არ გამქრალა.

**- "ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ განაცხადეთ, ისეთი შეცდომა დავუშვით, რომელიც მხოლოდ ოთხი წლის ბავშვებს მოსდით ხოლმე. ძალიან მაინტერესებს, რას გრძნობდით იმ წამებში?**

- სრული კონფუზი, აი, ამ სიტყვით შემიძლია შევაფასო ის ეპიზოდი. ისეთ ადგილზე ვიყავი, გვერდითი მსაჯის მიერ აღმართული ალამი უმალ მომხვდა თავში. მთავარმა არბიტრმა კი ეს ვერ დაინახა და სასტვენში არ ჩაბერა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია. არ მგონია, სხვებს მოესმინათ. მოკლედ, მან თამაში არ გააჩერა და "რეალმა" შეტევა გააგრძელა. შედეგად, რობენმა გოლი გაიტანა. მთავარმა არბიტრმა მხოლოდ ამის შემდეგ დაინახა, რომ მის თანაშემწეს ალამი ჰქონდა აწეული. გოლი არ ჩაითვალა. საუბედუროდ, ფეხბურთელები ამას ძალიან გვიან მიხვდნენ. "ხეტაფეს" ბიჭებმა ვითარებით ისარგებლეს და თავისუფალი დარტყმით შეხვედრა წამში განაახლეს. ამ დროს ჩემი თანაგუნდელები ისევ მსაჯს შეცქეროდნენ. სტუმრებმა კი შეტევაში უდიდესი რიცხვობრივი უპირატესობა მოიპოვეს და იერიში ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ მსაჯს თამაში ასე მალე არ უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ, ჩემი აზრით, გოლი მხოლოდ და მხოლოდ "რეალის" ფეხბურთელების კურიოზული და ამავდროულად მიუტევებელი შეცდომის ბრალი იყო.

**- სხვათა შორის, მსაჯი თქვენმა გენერალურმა დირექტორმაც დაადანაშაულა...**

- მისი საქმეა. მიატოვიჩის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ. ვერც ჭკუას დავარიგებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მოედანზე ვიყავი და შესანიშნავად დავინახე რაც მოხდა. რა არის სადავო? ფეხბურთი ზოგჯერ ავტორბოლას ჰგავს. ყურადღების წამით მოდუნება კატასტროფის მიზეზი ხდება ხოლმე. ყველაფერი დროულად რომ გაგვეცნობიერებინა, პოზიციებს დავიკავებდით და გოლს არ გავუშვებდით.

**- პრინციპში, თქვენ არანაირი დანაშაული არ მიგიძღვით, რადგან არჩათვლილი გოლის აღნიშვნა არ დაგიწყიათ...**

- ამას რა მნიშვნელობა აქვს, ცუდია, რომ წავაგეთ. თითქმის კარის ხაზამდე ვებრძოდი "ხეტაფეს" ფეხბურთელებს, მაგრამ ამის გამო არ დავიწყებ მტკიცებას, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი.

**- სტუმართა მოქმედებას როგორ შეაფასებთ? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ოპორტუნიზმი გამოამჟღავნეს?**

- ვერ დავდებ თავს, რომ მათ ადგილზე ანალოგიურად არ მოვიქცეოდით. ფეხბურთი ოპორტუნიზმია, რადგან სხვისი შეცდომებით სარგებლობ. მტაცებელ ცხოველებსაც ასე გააქვთ თავი. ზებრა შეცდება, საიდანმე თავს გამოყოფს და ლომის ხახაში აღმოჩნდება. მოკლედ, ხეტაფელებს ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებს. მსაჯმა მათ თამაშის განახლების უფლება მისცა და რატომ უნდა დაგველოდებოდნენ? დაინახეს, რომ წინ აბსოლუტურად თავისუფალი სივრცე ჰქონდათ და გოლის გატანის ფანტასტიკური შანსი გაუჩნდათ.

**- გამოდის, მაინც მსაჯი ყოფილა დამნაშავე...**

- იცით, საქმე რაა? ჩემს მიერ ხსენებული მტაცებელი ცხოველებისგან ადამიანს სხვა თვისებებთან ერთად ობიექტურობა უნდა გამოარჩევდეს. მსაჯს საფეხბურთო წესები სრულ უფლებას აძლევდა, ერთ-ერთი გუნდისთვის თამაშის განახლების ნება დაერთო. საკუთარი შეცდომის სხვაზე დაბრალება სიმხდალეა და მეტი არაფერი.



ხოსე მარია გუტიერესი

**- საფინალო სასტვენის შემდეგ თქვენს თანაგუნდელებს თუ ესაუბრეთ საკრალურ შეცდომაზე?**

- გაკვრით. სათქმელი ბევრი არც არაფერი იყო. ყველამ ვიცით, რომ ამგვარი ბრიყვული შეცდომების გამო, ჰაერივით საჭირო ქულებს ვკარგავთ. ამიერიდან, მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვითამაშოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში უფრო გაგვიჭირდება. უკვე გითხარით და კიდევ ერთხელ მოგახსენებთ - ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ დაბრკოლებები აღარ შეგვექმნება.

**- იცით, რა მაკვირვებს? მსაჯებს თქვენზე ხშირად არავინ ეკამათება, მაგრამ "ხეტაფესთან" მატჩში სულ სხვა ამპლუაში გიხილეთ. არბიტრი თქვენს გარდა, ფაქტობრივად, არავის დაუცვია.**

- ხულიგანი არ ვარ, რომ ტყუილად ვეკამათო ვინმეს. როცა ვკამათობ, მიმაჩნია, რომ უსამართლოდ მომექცნენ. ამ შემთხვევაში კი იმავე წამს დავინახე, რომ ლაინსმენმა დროშა ასწია. რა გგონიათ, ავარდნილი განგსტერი ვარ? ცდებით, თუ ასე ფიქრობთ. პატიოსნება, სამართლიანობა და ობიექტურობა მიყვარს. სხვათა შორის, ჰაინცემაც თქვა სიმართლე. მე და ის ვცდილობდით, სტუმრებისთვის ბურთი აგვერთვა, მაგრამ ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ.

**- გასული სეზონის განმავლობაში "ბარსელონა" ლიდერობდა. მათი ჩემპიონობა თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ბოლოს კოლოსალური ჰანდიკაპი ამოქაჩეთ და პირველ ადგილს დაეუფლეთ. წელს ფაქტობრივად, იგივე ხდება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ უპირატესობას ამჯერად სამეფო კლუბი ანიავებს...**

- ამის გამო პანიკამ არ უნდა მოგვიცვას. "რეალი" ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ძლიერი გუნდია. სტატისტიკას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მთავარია, ყოველ ტურში გავიმარჯვოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ. აი, ამ გზით თუ ვივლით, კატალონიელები ვერ გაგვასწრებენ.

**- ესე იგი, გჯერათ, რომ ის არ შეგემთხვევათ, რაც ერთი წლის წინ "ბარსელონას" შეემთხვა?**

- ამის დიდი იმედი მაქვს. გარეგნული ნიშნები აშკარაა, მაგრამ ვიცი, რომ გუნდის გასახდელში ფანტასტიკური ატმოსფეროა. უმცირესი ეჭვიც კი არ გვაწუხებს. ყველამ ვიცით, სამეფო კლუბს საუკეთესო შემადგენლობა და მწვრთნელი ჰყავს. ასე რომ, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. პირადად მე, არაფერზე ვღელავ.

**- ამას წინათ, რამონ კალდერონმა განაცხადა, 2007-08 წლების სეზონამდე ფეხბურთელები ვარსკვლავური ავადმყოფობით იყვნენ დაავადებულები და წარმატებებს ამის გამო ვერ აღწევდნენო. ეთანხმებით პრეზიდენტს?**

- მე ის ვიცი, რომ წინა წლებში გუნდს სერიოზული პრობლემები ჰქონდა. კალდერონი უფრო იმ "გალაქტიკოების" დროს გულისხმობდა. პრეზიდენტს არ დავეთანხმები, რადგან "რეალს" მაშინაც გენიალური შემადგენლობა ჰყავდა. იმ გუნდის წევრი გახლდით და ვიცი, რომ პირად ინტერესებს კლუბის ინტერესებზე წინ არავინ აყენებდა. უბრალოდ სხვადასხვა მიზეზის გამო პრობლემები გვქონდა და ჩემპიონის ტიტულს ვერ ვიპოვებდით. ბოლო წლების ავბედით ტრადიციას გასულ სეზონში დავუსვით წერტილი.

**- თქვენმა პრეზიდენტმა ისიც თქვა, ფეხბურთელებს ერთმანეთთან ძალიან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათო...**

- შემიძლია ყველას სახელით განვაცხადო, რომ ადრეც და ახლაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვინ მიიჩნევა ვეტერანად, ვარსკვლავად და სიმბოლოდ. ან ვინ უფრო მეტ დროს ატარებს მოედანზე. "რეალის" უპირველესი ღირსება ადამიანური ურთიერთობები იყო. წარმოდგენა არ მაქვს, რის საფუძველზე გააკეთა პრეზიდენტმა ასეთი დასკვნა. გულწრფელად ვიტყვი, რომ მას კატეგორიულად არ ვეთანხმები. მოკლედ, ყველას გვესმოდა და გვესმის, თუ ადამიანობა არ იარსებებს, გუნდი ვერ აშენდება. ნამდვილად არ ვართ იმ დონის პრიმიტივები, რომ ერთმანეთის დაჩაგვრა ვცადოთ.

**- მას შემდეგ, რაც რუუდ ვან ნისტელროიმ "რეალთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა...**

- გოლი აღარ გაუტანია, არა? ბოდიში, რომ გაგაწყვეტინეთ. ამის თქმა გსურდათ?

**- დიახ...**

- ეს ფაქტია, მაგრამ განა საკმარისი საფუძველიცაა, რათა რუუდის მიმართ კრიტიკის ტალღა აგორებულიყო? ვან ნისტელროის გოლებმა მრავალი უმნიშვნელოვანესი ქულა მოგვიტანა. ამაზე რატომ არავინ ფიქრობს?

**- სამეფო კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ რაულისა და კასილიასის მსგავსად თქვენთანაც სამუდამო კონტრაქტს გააფორმებენ...**

- იმედი მაქვს, რომ ამ კონტრაქტს ძალიან მალე მოვაწერ ხელს.

**- ბერნდ შუსტერმა ძალიან საინტერესო რამ თქვა, დღევანდელი "რეალის" ნახევარდაცვაში ერთი ქერა ბიჭი თამაშობს. ბიჭი, რომელიც ძალიან მაგონებს საკუთარ თავსო...**

- (იცინის) ძალიან მსიამოვნებს. სხვათა შორის, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მთავარი მწვრთნელი ჩემზე ასე თბილად საუბრობს, არამედ იმის გამო, რომ მე ბერნდ შუსტერის მაგალითზე გავიზარდე. ბავშვობაში მის თამაშს ვუყურებდი და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. შუსტერი ბურთს უზადოდ აკონტროლებდა. იმიტომ, რომ ძალიან ტექნიკური იყო. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა უდიდესი ფეხბურთელი და მწვრთნელი დადებითად გახასიათებს. შევეცდები, მას და ზოგადად საზოგადოებას მოლოდინი არ გავუცრუო და მომავალშიც უმაღლეს დონეზე ვიასპარეზო.

**- მომავალ უქმეებზე "რეკრეატივოს" ეთამაშებით. "ბარსელონა" კი "ვისენტე კალდერონზე" იბრძოლებს. საინტერესოა, "ატლეტიკოს" იმედი თუ გაქვთ?**

- ჩემი თავის იმედი მაქვს. "რეალი" არ არის სხვაზე დამოკიდებული. ეს ძალიან დიდი უპირატესობაა.

**- "ბარსელონა" აშკარად გამოცოცხლდა. რონალდინიოც კარგად ათამაშდა. როგორ ფიქრობთ, ბრაზილიელი დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა?**

- ჩვენი პროფესია ხალხზეა მიჯაჭვული. როცა ცუდად თამაშობ, საზოგადოება გაკრიტიკებს. ხოლო, როცა საქმე კარგად გამოგდის, პირიქით, გაქებენ. ახლა რონალდინიოს სწორედ საქებარ სიტყვებს უძღვნიან. ესე იგი, გაუჩომ ფორმა აღიდგინა. მგონი, მარტივი ლოგიკაა. ჩემი აზრით, ბრაზილიელს ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვეული კონდიციებისთვის არ მიუღწევია, პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად რჩება.

**- როგორ ფიქრობთ, განმეორებით საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში "რომა" პროვოკაციულ ფეხბურთს შემოგთავაზებთ?**

- ჩვენ ერთადერთი გოლის გატანა და კარის მშრალად შენახვა გვჭირდება. რა თქმა უნდა, "რომა" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ წყალი აამღვრიოს და მეოთხედფინალში გავიდეს. მათი კოზირი, ალბათ, კონტრშეტევებია. ამიტომ, მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ. გოლი რომ გაგვიტანონ, ძალიან გაგვირთულდება საქმე. ერთი სიტყვით, იოლი შეხვედრა არ იქნება, მაგრამ 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ამ დაბრკოლებას გადავლახავთ. დანარჩენზე კი შემდეგ ვისაუბროთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები

დღეიდან ჩვენი გაზეთი გთავაზობთ ლეგენდარული ფეხბურთელის, სპორტული ფუნქციონერისა და ლიტერატორის ხორხე ვალდანოს ნააზრევს. ეს არის ერთგვარი საფეხბურთო ნოველები, რომლებიც არგენტინელმა ერთ წიგნად გააერთიანა და მას "საფეხბურთო ისტორიები" (Cuentos de futbol) უწოდა.

ეს არის წიგნი ფეხბურთის განვითარების ისტორიაზე, რეალურ და სანახევროდ გამოგონილ გმირებზე... იმედია, ყველასთვის საინტერესო იქნება საფეხბურთო სამყაროში იმ ადამიანის თვალით ჩახედვა, რომელიც თავად ქმნის ამ სამყაროს. მით უმეტეს, რომ ყველაფერს, რასაც ვალდანო აკეთებს, "ფეხბურთის ფილოსოფოსად" წოდებული არგენტინელის ნიჭი ახლავს თან.

## ფეხშიშველი ამერიკა ასე იბადებოდნენ ტალანტები

პროფესიული კარიერა როსარიოში დავიწყე, ქალაქში, სადაც ცუდი პასი სერიოზულ ცოდვად ითვლებოდა. ჩემს ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე, პასი გავუკეთე ჩემი და მთელი "ნიუელსის" გულშემატკივრების კუმირს **ობერტის** (მეტსახელად Mono - მაიმუნი). უფრო სწორად, ობერტის მიმართულებით გავუშვი ბურთი. მოკლედ, ისე ვერ გავაკეთე ეს, როგორც მას უნდოდა. და ობერტიმ მცირედიც არ მოინდომა, რომ ბურთი მიელო, განმგმირავი მზერა მესროლა და ჩაილაპარაკა: *"ბიჭუნა, თუ არ შეგიძლია, რამე სხვა საქმით დაკავდი"*.

დღეს კი, თუ პასის ავტორი სამი მეტრით ცდება და ადრესატი ბურთს ვერ წვდება, ეს უკანასკნელი მაინც კმაყოფილი წევს ზემოთ ცერა თითს ან ტაშს უკრავს, რითაც პარტნიორის მოქმედებას იწონებს.

საფეხბურთო ესთეტიკის სხვა მაგალითი მოჰყავს **ალფრედო დი სტეფანოს** თავის ბრწყინვალე წიგნში - "მადლობა, ბებერო". ადრე, როცა პენალტი გაგვქონდა, სიხარულისგან არ ვხტუნავდით და მაისურს არ ვიხევდით ტანზე: უადგილოდ და სირცხვილად ითვლებოდა ასეთი იოლი გოლის აღნიშვნა, - გვახსენებს მაესტრო.

მაშინდელი ფეხბურთის ბაზა - ქუჩა და სილარიბე იყო, საფუძველი - იმპროვიზაცია. ასე იბადებოდნენ ტალანტები. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ საშუალოზე დაბლები (**სალასი**), არასაკმარისად ათლეტურები (**არელიანო**), არც ისე სწრაფები (**გალიარდო**), მაგრამ მაინც რაღაც სასწაულებს ჩადიოდნენ. ფეხის ერთი მოძრაობით, ერთი შეხებით ისინი ერთდროულად ამასხარავებდნენ ერთბაშად რამდენიმე მეტოქეს.

ტალანტები ისეთები არ არიან, როგორც ყველა. ისინი არ იყენებენ ცნობილ ილეთებს, ისინი ახალს ქმნიან. გასაგებია მათი მისწრაფება მიაღწიონ უფრო მეტს, რადგან ისინი ღარიბი კვარტლების შვილები არიან, თავს დაჩაგრულად გრძნობენ და ამიტომაც, თვითგამოხატვას ფეხბურთში ეძებენ. ისინი არაორდინალური პიროვნებები არიან, რადგან დაიბადნენ იქ, სადაც არ არსებობს შიმშილისგან დაღწევის სხვა ხერხი. ეს ინსტინქტია. და შემდეგ, თავად ველარ ხვდებიან, რატომ გახდნენ ვარსკვლავები. როცა ისინი გაიზრდებიან, მათ **გარინჩას, მარადონას, რომარიოს, ორტეგას** ან **ჩილავერტს** დაუძახებენ.

ეს თამაში სხვა სახეობებზე უფრო გახსნილია იმპროვიზაციისთვის. პარტნიორების, მეტოქეებისა და ბურთის ერთდროული მოძრაობა გაიძულებს, სწრაფად მიიღო ტვინში ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი გადაწყვეტილება. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ჩვენ შეგვიძლია წამის სამ მეათედში ავირჩიოთ 14-დან ერთი ვარიანტი. და მაინც, გასაოცარია, რომ ღარიბი კვარტლებიდან გამოსული ეს ფეხშიშველი ბიჭები წამის მეათედში რაღაცას ჩაიფიქრებენ, ირჩევენ ყველაზე ადეკვატურ გადაწყვეტილებას და ახორციელებენ მას. ერთმანეთში გაერთიანებული ეს სამი რაღაც, არის კიდეც ნიჭი.

აკადემიურმა ცოდნამ შეიძლება ნებისმიერი პროცესი გააიოლოს, მაგრამ თვითნასწავლებს შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს. ვერანაირი სახელმძღვანელო ვერ გასწავლის თამაშს ისე, როგორც ქუჩა, კვარტალი თუ პლაჟი. სამხრეთამერიკული ფეხბურთი - ეს, პირველ რიგში, წარმოსახვის, ემოციების, უდიდესი ფანტაზიის პროდუქტია.

## მოთამაშეთა ფაბრიკები

მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნებში - ურუგვაიში, ბრაზილიაში, არგენტინაში - ჩამორჩენილი ეკონომიკა ხელს არ უშლის ტალანტების მუდმივ წარმოებას. პირიქით, ტალანტები აქ სულ უფრო და უფრო ადრეულ ასაკში ჩნდებიან, თანაც უფრო კარგი ხარისხისა და უფრო მეტი რაოდენობით. კლუბები ნიჭიერ ფეხბურთელებს საკუთარ კარებს უფრო ადრე ულებენ, ვიდრე მათ ფეხბურთში რაღაც ფასი დაედებათ. მზა პროდუქტად ისინი წარმოების პროცესში იქცევიან და ამის შემდეგ, სარფიანი წინადადების საძებრად მიემგზავრებიან, ხოლო თავიანთ მაისურებს დაჩქარებული ტემპით სწავლების მსურველ მორიგ კურსს გადასცემენ. ქირურგმა **კარლოს ბილარდომ**, რომელმაც სახელი არგენტინის ნაკრების 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ტრიუმფის შემდეგ გაითქვა, ორიგინალური აზრი გამოთქვა: *"ჩვენ ყოველთვის ნულიდან ვიწყებდით. თუ მარადონა და მისი მსგავსნი ქვეყანაში დარჩებოდნენ, მაშინ მომდევნო ორი თაობა ვერც კი გაეკარებოდა არგენტინულ ფეხბურთს"*.

ანალოგიური ხერხით თესავენ, ზრდიან და ექსპორტზე უშვებენ ფეხბურთელებს ბრაზილიაში, ურუგვაიში, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. რჩეულებს გეზი ევროპისკენ უჭირავთ. მაგალითად, ურუგვაი სტატისტიკური ლოგიკისთვის ნამდვილი საბადოა. ქვეყანა, რომელიც ამერიკული პროპორციებითაც კი პატარაა (180 ათასი კვ. კმ.) და მასში 3 მილიონზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი, 13-ჯერ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი. ყოველწლიურად, მისი მოსახლეობა 660 ადამიანით მცირდება - სწორედ ამდენი ურუგვაელი ფეხბურთელი თამაშობს საზღვარგარეთ. არ არსებობს საოცრება, რომელსაც ახსნა არ მოეძებნებოდეს და ჩვენ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის სტატისტიკურ ბლოკნოტში ვკითხულობთ: *"ურუგვაელები ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვისთვის ყიდულობენ ბურთს, ბავშვები სიარულის სწავლისას, თან ბურთს კრავენ ფეხს და ამბობენ სიტყვა "გოლს" უფრო ადრე, ვიდრე "დედას" ან "მამას". აქ ბავშვები შეყვარებულები არიან ტექნიკაზე. აქ კულტირებულია სამხრეთამერიკული ფეხბურთი, მთელი თავისი მომხიბვლელობით"*.

ურუგვაის არაფრით ჩამორჩება ბრაზილია. მისი 600-ზე მეტი შვილი სამშობლოდან მოშორებით ახდენს ელეგანტური ფეხბურთის დემონსტრირებას, ძირითადად, სხვა ნახევარსფეროში. საუკეთესოებს ძლიერ ევროპულ ჩემპიონატებში აქვთ გარანტირებული ადგილები, ამასთან, მარტო პორტუგალიაში, დიდსულოვან დედა-სამშობლოში, სხვადასხვა დივიზიონებში ბრაზილიური ფეხბურთის 200-მდე წარმომადგენელი აღმოაჩინეს. დღეს, როცა პორტუგალიაში შეზღუდვები შემოიღეს, რათა ის ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ფილიალი არ გამხდარიყო, სხვა ქვეყნებში ფართოდ ულებენ კარებს სასარგებლო სილამაზეს, რომელიც მათ ჩემპიონატებს ალამაზებს.

და შეხედეთ, რა ხდება: რომარიო "ეინდჰოვენში" მაშინ ჩავიდა, როცა ჰოლანდიის ჩემპიონატში ცხრა ტური იყო გასული და მიუხედავად ამისა, მინიატურულ "არტილერიოს" ეყო დრო, რომ 19 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო. **ბალთაზარმა** ესპანეთში 35 გოლი გაიტანა, **კარეკამ** - 19 გოლი ურთულეს იტალიურ ლიგაში.

ბევრს უთამაშია მთავარი როლები მდიდარ ევროპაში. აი, მაგალითები: მარადონა, **ბურუჩაგა, ფრანჩესკოლი, რეკობა, სიმეონე**. და ნუ დაგვავიწყდება - ეს შადრევანი არასოდეს დაშრება.

## ერთ თამაშს ვთამაშობთ? პელე

პელე ცოცხალი ლეგენდაა. დაიბადა ბრაზილიაში, მაგრამ ის მთელს მსოფლიოს ეკუთვნის. უკვე 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ უკვდავებისთვისაა განწირული. ბრაზილიელ მწერალ **არმანდო ნოგეირას** ეჭვი არ ეპარება: *"პელე ადამიანად რომ არ დაბადებულიყო, ბურთად მოევლინებოდა ამ ქვეყანას"*. მაგრამ ის ადამიანია და 1940 წლის 23 ოქტომბერს, შტატ მინას-ჟერაისის ქალაქ ტრეს კორასოესში დაიბადა - მისი ფეხებით მოჯადოებული ბურთების, მისი ოსტატობით მოხიბლული მაყურებლებისა და თავად ფეხბურთის გასახარად. დაიბადა, რათა სამუდამოდ საუკეთესო გამხდარიყო.




პელემ ბრაზილიას გამარჯვებულის ფსიქოლოგია შესძინა

მის სხეულში აღბეჭდილი იყო პირველყოფილი ზანგური რითმი, რომელიც ჰარმონიულად ექვემდებარებოდა მოძრაობის უცნაურობებს, მისი კუნთების ხარისხი საშუალებას აძლევდა, ნებისმიერი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. მაგალითად, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, პელე მიწას წყდებოდა თუ ციდან ეშვებოდა იმისთვის, რათა დარტყმა განეხორციელებინა, მეკარე მსხვერპლად ექცია, კარი კი, ბედისწერად. მეორე გამოცანა - ჰაერში ყოფნისას როგორ ათამაშებდა ბურთს მკერდით, როგორ უშვებდა მას მინდორზე, როგორ აკეთებდა ორი საუკუნის ტოლ პაუზას და ბოლოს, როგორ ირჩევდა კუთხეს და იქ აკურატულად ათავსებდა ბურთს.

ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მასსა და ბურთს შორის ერთმანეთისადმი ერთგულებისა და სრული თანხმობის კავშირი იყო დადებული.

"სანტოსში" მისი დებიუტი 1956 წლის 7 სექტემბერს შედგა. იქედან მოყოლებული, 20 წლის განმავლობაში მას თვითმფრინავებში ეძინა და ყველა კონტინენტის საფეხბურთო მინდვრებზე ფხიზლობდა. მხოლოდ ამით ვხსნი იმას, თუ როგორ შეიძლება კარიერაში 1363 მატჩის ჩატარება. ხოლო გატანილი გოლების შთამბეჭდავი საერთო რიცხვი - 1282, შეიძლება მხოლოდ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების კაპიტნის **მაუროს** ფრაზით აიხსნას: *"პელეს მხოლოდ სარკე ირეკლავდა"*.

მოყვანილი ციფრები შეიძლება მალავს, მაგრამ სრულებითაც არ აკნინებს მის წვლილს ბრაზილიის ნაკრებში: 111 მატჩი და 95 გოლი. ბრაზილიურმა ფეხბურთმა, ყოველთვის ლამაზმა და მხიარულმა, პელესთან ერთად კიდევ ერთი ღირებული თვისება - გამარჯვებულის ფსიქოლოგია შეიძინა. თავად პელეში კი, ძალიანაც რომ მინდოდეს, ერთ რომელიმე თვისებას ვერ გამოვყოფ, უარყოფით თვისებას კი, უბრალოდ, ვერ ვხედავ.

ასე ვიტყვი: ეს არის ნიჭი, პლუს ტექნიკა, პლუს ალმაფრენა, პლუს ფიზიკური ექსპრესია და პლუს თამაშისგან სიამოვნების მიღება, მემკვიდრეობით მიღებული იმ ქვეყნისგან, რომელსაც უზომოდ უყვარს ფეხბურთი. ამ შესანიშნავი თანამამრავლების ჯამი გახლავთ სწორედ პელე.

## ფეხბურთლანდია

ფეხბურთში პლატონური იდეალი - ეს არის 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები. პელე, გარსშემორტყმული ბრწყინვალე მოთამაშეებით, რომლებიც მოედნის ცენტრიდან უფრო შორს - მეტოქის კარამდე დიადი იდეების გარშემო აგორებდნენ ბურთს. დღემდე ამ გვარების ჩამოთვლა - **კლოდოალდო, ჟერსონი, პელე, ჟაირზინიო, ტოსტაო და რიველინო** - სასიამოვნო ღიმილს იწვევს. ისინი ბურთს ისე დახვეწილად ეპყრობოდნენ, თითქოს გვერდით მოწინააღმდეგეები არ ჰყავდათ. ხოლო, როცა ისინი წარმოიშვებოდნენ, მათ იგნორირებას აგრძელებდნენ.

ამ თემაზე საუბრისას, ყოველთვის გამოჩნდება იდეალიზაციის მტერი, რომელიც ამბობს: *"დღეს ასეთი რამ შეუძლებელი იქნებოდა"*. და ამას ასე ასაბუთებს: *"სივრცეები შეიკუმშა, წინააღმდეგობა უფრო მობილური და ხისტი გახდა, შესამჩნევად გაიზარდა ფიზიკური მომზადება..."*

შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ ბოლომდე არა. 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ, ყველაზე აგრესიული მოთამაშეები და მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებული გუნდები შეიკრიბნენ, მაგრამ გამოჩნდა **ზინედინ ზიდანი** და საკმაოდ მოზომილი სიჩქარის დრიბლინგით, არამარტო უსაქმოდ ტოვებდა თავის ენერგიულ კოლეგებს, არამედ ყველგან ქმნიდა თავისუფალ სივრცეებს. და ამისთვის მარტო ზიდანს არ მიუღწევია. პორტუგალიის ნაკრებიც წააგავდა 1970 წლის ბრაზილიას, მაგრამ ჩემთვის პელე - ეს არის **ფიგუ** და **რუი კოშტა** ერთად აღებული.

*(გაგრძელება იქნება)*



1970 - ბრაზილია-1970, ფეხბურთში პლატონური იდეალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროთასი

# ანგარიში გათანაბრდა

**გიორგი ცინცაძე** "ტარტუ როკთან" ერთად ევროთასის მეოთხედფინალის სათამაშოდ პერმს ესტუმრა. ტარტუელებს პირველი მატჩი შინ 78:75 ჰქონდათ მოგებული და სტუმრად გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალის საგზურს ინაღდებდნენ, მაგრამ, როგორც წესი, კალათბურთში მოედნის უპირატესობა ბევრს ნიშნავს. ჰოდა "ურალ გრეიტმაც" "როკი"68:61 დაამარცხა. მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას მესამე მატჩი გაარკვევს, რომელიც 4 მარტს ტარტუში შედგება.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ რუსებს ესტონელებთან თამაში ძალიან გაუჭირდათ. მასპინძლები სხვადასხვა ეპიზოდებში 12 და14 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ გიორგი ცინცაძის თანაკლუბელები თამაშის გამოსწორებასა და სხვაობის შემცირებას ახერხებდნენ. 0:9 ჩამორჩენის შემდეგ "ტარტუმ" "ურალს" მეორე პერიოდის დასაწყისში გიორგი ცინცაძის სამქულიანის შემდეგ გადაასწრო - 18:17. თუმცა, გადამწყვეტი მესამე მეოთხედი გამოდგა: "ტარტუს" 40:38 დაწინაურება შემობრუნების წერტილად იქცა პერმელთათვის, რომლებმაც 14:0 სპურტი მოაწყვეს და პერიოდის მეცხრე წუთზე რაითის ზუსტი საჯარიმოების წყალობით 52:40 დაწინაურდნენ.

ბოლო ათწუთეულში ."როკერები" "მიდგნენ, მოდგნენ", ცინცაძემ სამქულიანიც ჩააგდო, მაგრამ დაწევა ველარ მოახერხეს. 68:61 "ურალ გრეიტის" სასარგებლოდ.

ისევე, როგორც დანარჩენი ტარტუელებისთვის, ვერ ვიტყვით, რომ პერმული მატჩი ცინცაძისთვისაც საუკეთესო იყო. გიორგიმ 29 წუთი ითამაშა, 3 ორქულიანი ააცილა და 8 ქულა 2 სამიანისა და ამდენივე საჯარიმოს რეალიზების შედეგად მიითვალა. ბუ ვერც შედეგიანი გადაცემებით გამოირჩა: 2 პასი, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 ფოლი, 2 შეცდომა. შეხვედრის სნაიპერობა ურალელმა ბრეისი რაითმა იკისრა - 18 ქულა, 10 მოხსნა.

მატჩის შემდეგ საინტერესო კომენტარები გააკეთეს "გრეიტისა" და "ტარტუს" მწვრთნელებმა. სტუმარმა **ულარ კერდემ** მესამე თამაშის პროგნოზირებისგან თავი შეიკავა:

- "ურალ გრეიტს" ჩვენზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და დღეს დამსახურებულად გაიმარჯვა. არ ვიცი, მესამე დაპირისპირება როგორ წარიმართება, მაგრამ ვიცი, რომ ქომაგი დარბაზს კარგი კალათბურთის ხილვით კმაყოფილი დატოვებს. გულშემატკივარმა დღესაც ხომ ორი სხვადასხვა, რუსული და ესტონური სტილის საინტერესო პაექრობა იხილა.

ისიც საინტერესოა, რომ არც "ტარტუ როკში" და არც "ურალ გრეიტში" რუსები და ესტონელები ამინდს არ ქმნიან. ახლა პერმელთა ახალ მწვრთნელ **რომან დვინიანოვს** მოვუსმინოთ:

- "როკი" კარგად გვყავდა შესწავლილი და შესაბამისი თამაშიც ვუჩვენეთ. ჩვენი ქომაგის თვალწინ ნაგების უფლება ნამდვილად არ გვქონდა.

...4 მარტს "ურალ გრეიტი" საკუთარი გულშემატკივრის წინაშე აღარ ითამაშებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართველი NBA-ში

# ზაზას რეკორდი, დანკანს მოგება

"ატლანტა"-"სან ანტონიოს" მატჩის წინ კალათბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ მკითხა, როგორ ფიქრობ, ვინ მოიგებსო? ვუპასუხე: ძალიან მინდა, **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" გაიმარჯვოს, მაგრამ სტუმრად, თანაც "სან ანტონიოსთან" მცირე შანსი აქვს-მეთქი. მან ციფრები მოიშველია: "სპურსს" ზედიზედ 6 მატჩი აქვს მოგებული, ბოლო წლების ტრადიციის მიხედვით ერთმანეთის მიყოლებით 7 შეხვედრის მოგება უჭირსო...

...მაგრამ, როცა საქმე "სან ანტონიოსა" და "ატლანტას" ეხება, იქ ყველაფერი წინასწარაა ცნობილი - ძლიერი სუსტს ყოველთვის სჯობნის. ამჯერადაც "სპურსმა" მოიგო - 89:74. არც ზაზას თანაგუნდელებმა დაარღვიეს ტრადიცია და NBA-ს მოქმედ ჩემპიონს ღირსეულად შეებრძოლნენ. პირველი მეოთხედი სულაც "ჰოქსის" სასარგებლოდ დასრულდა - 16:5, მაგრამ მეორე პერიოდიდან ათამაშდნენ **ტიმ დანკანი** (23 ქულა, 10 მოხსნა), **მანუ ჯინობილი** (13 ქულა), **ტონი პარკერი** (15 ქულა, 9 პასი) და "ატლანტას" 32-ე მარცხი აგემეს.

ასევე ტრადიციაა, რომ "სპურსის" წინააღმდეგ ეფექტურად თამაშობს ზაზა ფაჩულია. მან არც ამჯერად გატეხა ნავსი და 19 წუთში სეზონის რეკორდი გაიმეორა - 14 ქულა ჩააგდო. შეგახსენებთ, რომ ამდენივე ბალი მას 16 ნოემბერს "სიეტლთან" და 28 ნოემბერს "მილუოკისთან" ჰქონდა. ზაზამ 6 ორქულიანიდან და 8 საჯარიმოდან 2-2 ტყორცნა ააცილა, 14 ქულას 3 მოხსნა და 1 პასი მიამატა. 19 წუთში დასაშვებზე მეტი, 5 პერსონალური შენიშვნაც მიიღო.

ზემოთ ვთქვით, ფაჩულია "სპურსთან" ყოველთვის კარგად ირჯებაო. ამის დასტურად შარშანდელი შეხვედრაც გამოდგება: 2007 წლის 21 თებერვალს ზაზამ "სან ანტონიოსთან" 23 წუთში 23 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა. "ატლანტამ" ის მატჩიც წააგო - 96:103.

გუშინდელ თამაშში ქართველი ცენტრი "ჰოქსის" მეორე სნაიპერი გახდა - 17-ქულიან ჯო ჯონსონს ჩამორჩა. ფაჩულიას უშუალო კონკურენტმა ელ ჰორფორდმა 29 წუთში 12 ქულასა და 13 მოხსნას მოუყარა თავი.

ბოლოს სატურნირო მდგომარეობაზეც ვთქვათ. "ატლანტას" 22 მოგება, 32 წაგება აქვს და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე ადგილზეა. ხოლო აღმოსავლეთის კონფერენციაში მეცხრე პოზიციაზეა და პლეი ოფის ზონასთან ერთი ნაბიჯი აშორებს (პლეი ოფში საუკეთესო რვაეული გადის). მერვეადგილოსან ფილადელფიას 32 წაგება და სამით მეტი, 25 მოგება უწერია.

წესითა და რიგით, "ჰოქსმა" სატურნირო მდგომარეობა უახლოეს დღეებში უნდა გამოასწოროს - მომდევნო 4-დან 3 მატჩს შინ მართავს. უახლოესი შეხვედრა 27 თებერვალს "საკრამენტოსთან" "ფილიპს არენაზე" ელის.

**ვაჟა სიმონიშვილი**




დავით არუთინიანი


ნანა ძაგნიძე


ნინო ხურციძე

# არუთინიანი მეორე, ძაგნიძე პირველი, ხურციძე მესამე

სამიოდ დღის წინ საფრანგეთში, ქალაქ კაპელაში დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც ექვსმა ქართველმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა: ესენი არიან: **დავით შენგელია, დავით არუთინიანი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, სალომე მელია** და **ნინო მაისურაძე**. მაისურაძე რამდენიმე წელია, საფრანგეთშია გათხოვილი და იქ ცხოვრობს, თუმცა სამშობლოს სახელით ასპარეზობს.

ტურნირში ძალიან ბევრი მონაწილე შეიკრიბა - 612, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია. გარდა საერთო რაოდენობისა, მაღალი დონის ოსტატთა რიცხვიც თვალშისაცემია: 2600 და მეტი რეიტინგის მქონე 9 მოჭადრაკე ვიხილეთ; 2500-დან 2600-მდე კი 43 დიდოსტატი ჩავიდა სათამაშოდ. არც 2400-დან 2500-მდე რეიტინგის მოჭადრაკეები არიან უყურადღებობის ღირსი, რადგანაც ამათაც საკმაოდ მოსდევთ საჭადრაკო ძალა. სრულებითაც ხელეწიფებათ ტურნირის მოგება - მათი რაოდენობა, ცხადია მეტია - 68; ამათ შორის ორი ჩვენებური მოხვდა: **ნინო ხურციძე** (2441) და **ნანა ძაგნიძე** (2429). "მეორე" კატეგორიაში მოხვდნენ **დავით არუთინიანი** (2576) და **დავით შენგელია** (2568). სალომე მელიას დღეისთვის 2362 ქულა აქვს, მაისურაძეს - 2270.

გათამაშების ფორმულა შვეიცარიული იყო - 9 ტურად; კლასიკური საჭადრაკო დროით. ტურნირის გამარჯვებული აზერბაიჯანელი **ვუღარ გაშიმოვი** (2665) გახდა, რომელიც რეიტინგითაც პირველი იყო. ქართველთა მონაგარი მნიშვნელოვანია, თუმც ხელმოცარვაც გვქონდა, - **დავით შენგელიამ** ხუთი ქულით დაასრულა ტურნირი და 160-ე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი ნამდვილად არ შეესაბამება შენგელიას შესაძლებლობებს. სამაგიეროდ შესანიშნავად ითამაშა **დავით არუთინიანმა**, რომელმაც 7 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მართალია ამდენი კიდევ ექვსმა მოაგროვა, მაგრამ ქართველს ხუთ მათგანზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა, ამ მაჩვენებლით მხოლოდ გაშიმოვს ჩამორჩა.

ქალბატონების შედეგი ცალკე გამოიყოფოდა. ამ მხრივ საუკეთესო შედეგი **ნანა ძაგნიძემ** აჩვენა - 6 ქულა დააგროვა. მეორე სომეხი დიდოსტატი ელინა დანიელიანია, მესამეზე **ნინო ხურციძე** გავიდა - ორივემ 6 ქულა დააგროვა და კოეფიციენტით ჩამორჩნენ ძაგნიძეს. საერთო ცხრილში ძაგნიძემ 43-ე ადგილი დაიკავა. ხურციძე 68-ეა; სალომე მელიამ 5,5 ქულას მოუყარა თავი რაც 95-ე ადგილისთვის გახდა საკმარისი. ნინო მაისურაძე 4,5 ქულით 282-ე ადგილზე გავიდა. როგორც ხედავთ, ლიდერთან ქულობრივი ჩამორჩენა დიდი არაა, მაგრამ ადგილებში კი განსხვავება მნიშვნელოვანია. მიზეზი მონაწილეთა მრავალრიცხოვნებაა - თანაბარი ქულები ბევრმა დააგროვა...

საერთო ჯამში, ქართულ ლეგიონს წარმატებული ეთქმის, რაც მათ რეიტინსაც პოზიტიურად დაეტყობა, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არუთინიანის მაჩვენებელი იქნება გამორჩეული...

**ზვიად შათირიშვილი**



ლეგიონერები

# არცერთი ფური ულელოოდ

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში ტური ისე არ ჩაივლის, რომელიმე ქართველმა მორაგბემ თავი არ გამოიჩინოს. წინა, მე-10 ტურში, ლელო მონპელიელი მამუკა გორგოძის ანგარიშზე იყო, ამჯერად კი "კლერმონის" ბურჯის, დავით ზირაქაშვილის ჯერი დადგა.**

"ვულკანებმა" საშინაო შეხვედრა გამართეს "მონტობანთან" და დამაჯერებლად 40:13 დაამარცხეს. ზირაქაშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო. ლელო კი მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა. **გოდერძი შველიძე** ამ დროს ეროვნული ნაკრების რიგებში ირჯებოდა.

ძალზედ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მოედანზე **ირაკლი გიორგაძის** "დაქსთან" **მამუკა გორგოძის** "მონპელიემ" 18:13. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. გიორგაძემ ტრავმის გამო მოედანი 29-ე წუთზე დატოვა, გორგოძემ კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.

შინ ვერაფერი გააწყო ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ "სტად ფრანსეზთან" **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრამ" 16:47. "გლობუსა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. მორიგი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე სეზონის ყველაზე დიდმა მოულოდნელობამ, **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონმა". ბასკურმა კლუბმა ამჯერად საკუთარ მოედანზე "ალბი" დაამარცხა 31:13.

სტუმრად დამარცხდა "ტულუზთან" **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივი" 3:51. ქართველი მორაგბე განაცხადში არ იყო. ტრავმის გამო არ უთამაშია **მამუკა მაგრაქველიძეს** "ოშის" შემადგენლობაში, რომელიც ასევე სტუმრად დამარცხდა "პერპინიანთან" 23:28.

I დივიზიონი. XI ტური. **კასტრი-სტად ფრანსე 16:47, კლერმონი-მონტობანი 40:13, ტულუზი-ბრივი 51:3, პერპინიანი-ოში 28:23, ბაიონი-ალბი 31:13, მონპელიე-დაქსი 18:13, ბურგუენი-ბიარიცი 35:15.**

**1. ტულუზი - 48 ქულა, 2. სტად ფრანსე - 38, 3. კლერმონი - 37, 4. ბიარიცი - 31, 5. ბაიონი - 28, 6. მონპელიე - 26, 7. პერპინიანი - 24, 8. ბურგუენი - 24, 9. მონტობანი - 22, 10. კასტრი - 22, 11. ალბი - 21, 12. ბრივი - 18, 13. დაქსი - 14, 14. ოში - 9.**

**მეორე დივიზიონში გია ლაბაძის ვარსკვლავურმა "ტულონმა", რომელმაც ახლახან სამხრეთაფრიკელ ბაკის ბოთასთან გააფორმა კონტრაქტი, უახლოეს მდევართან, ირაკლი მაჩხანელის "მონ დე მარსანთან" ქულათა სხვაობა ისევ რვა ქულამდე გაზარდა.**

ტულონელებმა მე-17 ტურში საკუთარ მოედანზე აუტსაიდერი "ბლანიაკი" დაამარცხეს 38:9. ლაბაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. ამასობაში სტუმრად დამარცხდა "ლა როშელთან" 12:23 "მონ დე მარსანი". მაჩხანელი განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე **დავით აშვეთიას** "ოიონაქსი" დაამარცხა **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ" 37:16. მეკო განაცხადში ისევ არ იყო. აშვეთია თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო. ასევე შინ მოიგო **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონთან" **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკმა" 26:20. მახო ტრავმირებულია. კუთარაშვილი კი მატჩში 31-ე წუთიდან ჩაერთო.

საჭირო გამარჯვება მიითვალა **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენმაც", რომელმაც საკუთარ მოედანზე "ბორდოს" სძლია 16:9. ფეიქრიშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

კვლავ არ იყო განაცხადში **ლევან ღვაბერიძე**. მისმა "გრენობლმა" კი შინ წააგო მინიმალური ანგარიშით "ბეზიესთან" 11:12.

II დივიზიონი. XVII ტური: **აჟენი-ბორდო 16:9, ტულონი-ბლანიაკი 38:9, პო-ოიონაქსი 37:16, გრენობლი-ბეზიე 11:12, ლიმოჟი-ლიონი 9:29, მეტრო რასინგი-ტარბი 60:7, ორიაკი-ნარბონი 26:20, ლა როშელი-მონ დე მარსანი 23:12.**

**1. ტულონი - 63 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 55, 3. მეტრო რასინგი - 52, 4. ბეზიე - 46, 5. აჟენი - 45, 6. ლა როშელი - 44, 7. გრენობლი - 43, 8. ლიონი - 41, 9. ორიაკი - 40, 10. ნარბონი - 37, 11. ოიონაქსი - 36, 12. პო - 36, 13. ბორდო - 28, 14. ტარბი - 21, 15. ლიმოჟი - 19, 16. ბლანიაკი - 13**

პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა ფედერალ 1-ის მეორე ჯგუფურ ეტაპზე. ზედა, მეორე დივიზიონში გადასვლისთვის მებრძოლთა შორის ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან წარმატებული სტარტი მხოლოდ ერთმა, A ჯგუფში გამწესებულმა **თედო ზიბზიბაძის** "პერიგომ" აიღო. ჩვენებურის გუნდმა საკუთარ მოედანზე "ლანამეზანი" დაამარცხა 17:9. ზიბზიბაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, მე-60 წუთზე ლელო გაიტანა, რითაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი გუნდის წარმატება. ამავე ჯგუფში "ვანმა" შინ წააგო "ლავორთან" 15:19. "პერიგოს" და "ლავორს" 4-4 ქულა აქვთ.

სტუმრად "არჟელესთან" დამარცხდა D ჯგუფში მოასპარეზე **დავით გასვიანისა** და **შალვა სუთიაშვილის** "ბობინი" 19:22. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. აქვე "ობენამ" შინ წააგო "შალონთან" 17:28.

F ჯგუფში სტუმრად დამარცხდა "დიჟონთან" **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი" 9:15. აბუსერიძემ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა. მეორე წყვილის "რომანსისა" და "მარმანდის" შეხვედრა ფრედ 9:9 დასრულდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**


დავით ზირაქაშვილი

მშვილდოსნობა

# ივლისი, ანგისას დიდი პრიზი

შაბათს გაირკვა, რომ 15-22 ივლისს გასამართ ევროპის დიდი პრიზის გათამაშების მეორე ეტაპს ახალგაზრდებში ანგისას სტადიონი უმასპინძლებს. საქართველომ ამ ტურნირის ჩატარების უფლება შარშან მოიპოვა, მაგრამ უშუალოდ სასროლეთი მხოლოდ ახლა გაირკვა. ცხადია, ეს ევროპულ ფედერაციასთან შეთანხმების გარეშე ვერ გაკეთდებოდა და აქამდე გაურკვეველი ამიტომ რჩებოდა, შაბათს კი აჭარას საგანგებოდ ამ მიზნით ჩამოსული ექსპერტები - ევროპული ფედერაციის ტექნიკური ხელმძღვანელი, სლოვენიელი **ირენ როსა** და ჰოლანდიელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ჰენკ ვაგემაკერსი** ესტუმრნენ. მათ ქობულეთის სტადიონიც ინახულეს, თუმცა საბოლოო არჩევანი მაინც ანგისაზე, ჩვენი მშვილდოსნების ძირითად ბაზაზე შეაჩერეს. სტუმრებმა ბათუმ-ქობულეთის სასტუმროებიც დაათვალიერეს, თუმცა ჯერ გაურკვეველია, რომელს შეარჩევენ ტურნირის სამასპინძლოდ. ექსპერტები სათანადო დასკვნას ევროპულ ფედერაციაში წარადგენენ, სადაც მათ წინადადებებს თუ წარდგენილ ვარიანტებს განიხილავენ და არჩევანსაც მერე გააკეთებენ. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები აჭარის სახელისუფლებო სტრუქტურებისა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებსაც შეხვდნენ, რომელთაგანც შეჯიბრების მაქსიმალური მხარდაჭერის გარანტიები მიიღეს.

ამასობაში გაირკვა, რომ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი **არტემ სანიშვილი** უხელმძღვანელებს, ტექნიკური ხელმძღვანელი როსა იქნება, მთავარი მსაჯი - ვაგემაკერსი. ცხადია, ტურნირისთვის მოსამზადებლად სტადიონზე გარკვეული ტექნიკური სამუშაოებია ჩასატარებელი, რისთვისაც როსა მოგვიანებით ისევ გვეწვევა და ამ პროცესს უშუალოდ გააკონტროლებს. დასასრულს, დავძენთ, რომ ევროპულ სპორტში ინტეგრაციის ამგვარი ფორმა ნამდვილად მისასალმებელია - ნებისმიერი ფედერაციისთვის პრიორიტეტი არა მარტო ტურნირებში მონაწილეობა, არამედ მათი ჩატარებაც უნდა იყოს. ეს მრავალმხრივ მომგებიანი ნაბიჯია - ხელს უწყობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას, ფინანსურად სახეიროა საკუთრივ ფედერაციისა თუ ქვეყნისთვის, დადებითად მოქმედებს ქვეყნის იმიჯზე, საუკეთესო საშუალება და უფასო რეკლამაა საკუთარი კულტურის, ისტორიის, წარსულისა თუ დღევანდელობის პროპაგანდისთვის... სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენთან ფედერაციები ამაზე არც ფიქრობენ. იმედია, მშვილდოსანთა მაგალითს სხვები, გაცილებით უფრო დიდი და შედეგების თვალსაზრისით, წარმატებული ფედერაციებიც მიბაძავენ.

ამასობაში გაირკვა ისიც, რომ წინასწარი ცნობებით, ისიც გაირკვა, რომ 23 მარტს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართება, რომელიც მენეჯმენტის გასაძლიერებლად გარკვეულ საკადრო გადაადგილებებს დაამტკიცებს. კერძოდ, ცნობილია, რომ ახლანდელი პრეზიდენტი **თენგიზ ტერუნაშვილი** თანამდებობას დატოვებს, მაგრამ ფედერაციაში დარჩება და სწორედ მენეჯმენტის სფეროში გადაინაცვლებს.

სპორტის აკადემია

# შეიძლება კარავი გაშალონ...

გუშინ, სპორტის აკადემიის პრობლემების მოსაგვარებლად იურიდიულ პირად რეგისტრირებულმა საორგანიზაციო კომიტეტმა კიდევ ერთხელ შეკრიბა აწ უკვე ყოფილი უმაღლესი სასწავლებლის სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები. თემა უცვლელი იყო - აღდგეს სპორტის აკადემია და დაუბრუნდეს თავისი სტატუსი. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მერამდენედ მოითხოვეს დიალოგი ხელისუფლებასთან და ობიექტური რეაგირება შესაბამის ინსტანციებში შეტანილ განცხადებებზე. *"თუ უყურადღებობა გაგრძელდა, იძულებული გავხდებით აკადემიის შენობის წინ გავშალოთ კარავი, რომელიც უკვე შეძენილი გვაქვს და მივმართავთ პროტესტის მშვიდობიან ფორმას - მჯდომარე აქციას."* - ითქვა გუშინდელ შეკრებაზე.



# საიდუმლო პირობები, პერსპექტივა და იმედები

გუშინ, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის შენობაში, სადაც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაც არის განლაგებული, მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა: ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კომპანია "რაკინ-დეველოპმენტის" მესვეურებს მასპინძლობდა. შეხვედრას ჟურნალისტებიც დაგვასწრეს და მოკლედ ისაუბრეს იმ პერსპექტივებზე, რაც ერთად საქმიანობამ უნდა მოიტანოს. მოგახსენებთ, რომ "რაკინ-დეველოპმენტი" საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის სპონსორი გახდა და სერიოზულად ფიქრობს ამ სახეობაში ინვესტიციების განხორციელებაზე. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ კომპანიის გენერალური დირექტორი ზაზა მიქაძე და კომერციული დირექტორი დავით გვათუა.

პირველი სიტყვა ქალბატონმა ლეილა მესხმა წარმოთქვა:

- უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ქართული ჩოგბურთისთვის მეტად მნიშვნელოვანი დღეა, - გამოჩნდა ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელსაც სურს ქართულ ჩოგბურთის არსებითი დახმარება გაუწიოს და ხელი შეუწყოს ამ სახეობის განვითარებას. ძალიან მიხარია, რომ ახალი სეზონი ასეთი მნიშვნელოვანი ამბით იხსნება და იმედი მაქვს, წარმატებულადვე გაგრძელდება. ჩვენ უამრავი გეგმა დავსახეთ, - მთელი წელი გადატვირთული იქნება სხვადასხვა ღონისძიებით. ძირითადი, რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემპიონატების მაღალ დონეზე ჩატარებაა, - უკვე შევთანხმდით, რომ როგორც ქალთა ისე ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატს მაღალი საპრიზო ფონდით გავმართავთ.

გამორჩეულად მნიშვნელოვანი საკითხია ჩოგბურთის რეგიონებში განვითარება. რეგიონები პრიორიტეტული იქნება ჩვენს პოლიტიკაში და ვფიქრობ, შევძლებთ საჩოგბურთო ცხოვრების მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოცოცხლებას. ამ გზაზე ერთ-ერთი უპირველესი პროექტია ღია კარის დღე "რაკინთან"ერთად. ამ დღეს საქართველოში არსებული ყველა საჩოგბურთო კორტზე ნებისმიერ მსურველს შეეძლება უფასოდ ჩოგბურთის თამაში და დროის მხიარულად გატარება... გვწამს, რომ ჩვენი ურთიერთობა შედგება და მომავალში უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ. გპირდებით, რომ ყველა ღონისძიების შესახებ ქართულ მასმედიას ოპერატიულად ჩავაყენებთ საქმის კურსში, რათა ყველასთვის თვალნათელი იყოს თანამშრომლობის დინამიკა და შედეგები.

"რაკინ-დეველოპმენტის" გენერალური დირექტორი **ზაზა მიქაძე:**

- ჩვენ მოხარულები ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, ქართულ ჩოგბურთს დავეხმაროთ. კარგად ვიცით, რომ ჩვენში ჩოგბურთს დიდი ტრადიცია, - ლეილა მესხის, ალექსანდრე მეტრეველის და თეიმურაზ კაკულიას წარმატებები სპორტის გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. აუცილებელია, საქართველომ უფრო მეტს მიაღწიოს და ამისთვის მთელ ქვეყანაში უნდა მოხერხდეს ჩოგბურთის პოპულარიზაცია, რაც განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. გვაქვს სურვილი, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში და იმედია, ჩვენს მცდელობას სასურველი შედეგი მოჰყვება.

**დავით გვათუა**, კომპანიის კომერციული დირექტორი:

- კომპანია სიამოვნებით ერთვება ქართულ საჩოგბურთო ცხოვრებაში და გვჯერა, რომ ავაღორძინებთ ამ სახეობას. მთავარია, რომ ვიცით რა გვსურს და როგორ უნდა გავაკეთოთ.

**- ერთწლიანია თქვენი ხელშეკრულება თუ მრავალწლიანი?**

**ზაზა მიქაძე:** - ჯერ დავიწყოთ თანამშრომლობა და პერსპექტივა შემდეგში უკეთ გამოჩნდება. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა შედგება და ვადის გახანგრძლივებას წინ არაფერი დაუდგება.

**- რა თანხის დახარჯვას აპირებს კომპანია? მიახლოებით რიცხვს მაინც თუ გვეტყვით?**

- ეს ჯერ საიდუმლოა, მაგრამ მთავარია კარგად ვიმუშაოთ და ალბათ მოვა დრო, როცა ჩვენგან გაღებული თანხის ოდენობასაც ვიტყვით.

**- კომპანიის საქმიანობაც ხომ არ არის გასაიდუმლოებული? რა ბიზნესს ეწევით?**

- აქ დასამალი არაფერია: "რაკინ-დეველოპმენტი" უდიდესი არაბული კომპანიაა, რომელიც საქართველოში უამრავ პროექტს ახორციელებს, თანაც დიდი მასშტაბისას. ასე მაგალითად: ამიერკავკასიაში უდიდესი სავაჭრო ცენტრის აშენებას; ცათამბჯენების მშენებლობაც მიმდინარეობს; შავი ზღვის სანაპიროზე გრანდიოზულ მშენებლობებს ხელმძღვანელობს... უკვე 10 უმსხვილესი პროექტია წარმოებაში ჩაშვებული და სხვაც ბევრი იგეგმება...

სხვათა შორის, ჩვენი კომპანიის საქმიანობაზე ბოლო დროს ბევრს საუბრობენ მასმედიით და ფართო საზოგადოებისთვის ბევრი რამ არის უკვე ჩვენზე ცნობილი...

**- ჩოგბურთი სპორტის საკმაოდ ძვირი სახეობაა და ალბათ წარმოგიდგენიათ, თუ რა თანხებთან იქნება დაკავშირებული ქართული ჩოგბურთის აღორძინება. რატომ დაგებადათ სურვილი, ქართულ ჩოგბურთში დაგეხარჯათ ფული?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, საბედნიეროდ, ქართულ ჩოგბურთს დიდი ტრადიციები გააჩნია... ამ ტრადიციებს მოვლა-პატრონობა სჭირდება. ჩვენ გვიყვარს ჩოგბურთი და გვსურს, ჩვენში ჩოგბურთმა იმ სიმაღლეებს მიაღწიოს, როგორც ეს რუსეთში მოხდა. გვჯერა, რომ ასეთ შედეგს მივიღებთ.

**ბოლოს, სიტყვა ქალბატონმა ლეილა მესხმა აიღო და განაცხადა, რომ თანამშრომლობის მემორანდუმს ახლავე, ჟურნალისტთა თანდასწრებით მოაწერდნენ ხელს. ხელშეკრულება გაფორმდა და მხარეებმა მილოცვებიც მიიღეს...**

**ზვიად შათირიშვილი**

# ტატიშვილი და შაფათავა აგრძელებენ

18 წლის **ანა ტატიშვილმა** ამერიკულ ფორტ უოლტონ ბიჩში მცირე საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გააღწია. პირველ წრეში ანას სლოვენიელ **ტადეა მაჟერიჩთან** (506) კი გაუჭირდა, მაგრამ შემდეგ ორი მატჩი სეტის დაუთმობლად მოიგო. ტატიშვილმა ჯერ 15 წლის ამერიკელ **კრისტინ მაკჰეილს** (647) აჯობა – 6:4, 6:3. ფინალურ წრეში კი მესამე ნომრად განთესილმა ქართველმა მე-15 ნომრად განთესილი გერმანელი **დომინიკ რიპოლი** (397) დაამარცხა – 6:3, 6:1. ფორტ უოლტონ ბიჩის ტურნირის ძირითად ბადეში ანა ტატიშვილის პირველი მეტოქე მეხუთე ნომრად განთესილი კორეელი **იე-რა ლია** (201).

ესპანურ სანტ ბოიში სულ ცოტა დააკლდა **სოფიო ქვაცაბაიას**, რომ ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაეღწია. მან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ფრანგ **ნატალი პიქუიონთან** (630) წააგო – 6:1, 4:6, 2:6. ვერც **ოქსანა კალაშნიკოვამ** შეძლო გერმანულ ბიუხენში (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გაღწევა. მან პირველ საკვალიფიკაციო წრეში სლოვენიელ **ანია პრისლანს** (1053) მოუგო – 7:5, 6:4, თუმცა ფინალურ წრეში სლოვაკ **კრისტინა კუცოვასთან** (529) წააგო – 5:7, 6:4, 3:6. ამავე ტურნირის ძირითად ბადეში მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** გერმანელ **ანა ცაიას** შეხვდება, რომელიც ტურნირის ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდით" მიიწვიეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სამბო



გიორგი გოგუაძე და სერგეი ელისეევი

# ევროპა სპორტის სასახლეში

საბოლოოდ გადაწყდა, რომ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს თბილისის სპორტის სასახლე 29 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით უმასპინძლებს. ცოტა არ იყოს და ჩემპიონატის გამართვის ვადები საკამათო გახდა. ორგანიზატორებმა ანუ ქართულმა მხარემ 2-5 მაისი დაადგინა, თუმცა ევროპულმა ფედერაციამ ეს თარიღი არ მიიღო. ისინი პირველობის აპრილის ბოლო კვირაში გამართვას ითხოვდნენ, მაგრამ ეს ვადები აღდგომის დღესასწაულს ემთხვეოდა და აშკარად არსებობდა იმის საშიშროება, ტურნირს უმაყურებლოდ ჩაევლო. საბოლოოდ კომპრომისი გამოინახა და ზემოაღნიშნულ ვადებზე შეთანხმდნენ, რის შესახებაც გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ქართულ მხარესთან ერთად ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა **სერგეი ელისეევმა** გვაცნობა. მონაწილეთა მილების დღე 28 აპრილია, შეხვედრები კი 29-ში დაიწყება.

ელისეევი ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. უპირველესად, შეჯიბრების არენა - სპორტის სასახლე დაათვალიერა და შეხვდა სამბოს ფედერაციისა თუ ქართული სპორტის ხელმძღვანელებს, რომელთაგანაც ტურნირის ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერაზე გარანტიები მიიღო. იგი კმაყოფილი ჩანდა ამ შეხვედრებით და გამოთქვა იმედი, რომ ეს ჩემპიონატი საქართველოს კიდევ უფრო დააახლოებს ევროპასთან. ამასთან, ხელს შეუწყობს სამბოს კიდევ უფრო პოპულარიზაციას ჩვენთან, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში სამბო ისედაც პოპულარულია და ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებშია.

ევროპის ჩემპიონატის დიდ მნიშვნელობას, როგორც ქვეყნის პრესტიჟის წარმოჩენისა და ევროპულ სპორტთან დაახლოების ეფექტურ საშუალებას, ხაზი პრესკონფერენციის სხვა მონაწილეებმა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა**, საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი გოგუაძემ** და საქართველოს ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემაც** გაუსვეს. შეიძლება ითქვას, ჩვენებმა ტურნირის მასპინძლობის უფლება ფორს-მაჟორულ პირობებში მიიღეს. ამ ჩემპიონატისთვის უკრაინას უნდა ემასპინძლა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მათ იუარეს და საქართველოს საკითხი დღის წესრიგში ამის შემდეგ დადგა. დაგვეთანხმებით, ამხელა ტურნირის მასპინძლობის სულ რაღაც 3 თვეში ორგანიზება იოლი ნამდვილად არაა, მაგრამ გოგუაძეც და ნამგალაურიც დაგვპირდნენ, რომ ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად მაქსიმუმს გააკეთებენ. *"გვინდა, ეს ტურნირი ისტორიას შემორჩეს არა სტატისტიკად, არამედ გამორჩეულ შეჯიბრებად"* - ითქვა პრესკონფერენციაზე. მოელიან, რომ იგი მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყრის თავს - დაახლოებით 30-მდე გუნდს.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ 1997 წელს სამბოში მსოფლიო პირველობასაც უმასპინძლა, თუმცა მაშინ კაპიკებით ჩაატარეს, ახლა კი ფინანსური პრობლემები არ აწუხებთ. ამიტომ იმედოვნებენ, რომ ტურნირს მართლაც კარგად ჩაატარებენ. თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ მასპინძლობა ქომაგთა წინაშე გაორმაგებულ პასუხისმგებლობასაც აკისრებთ - შინაურ კედლებში გულშემატკივარი ნაკრებისგან გაცილებით მეტს მოითხოვს. თუმცა ოლეგ იაძე და მისი შეგირდები ბრძოლისათვის მზად არიან.

ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე სამბოს ოლიმპიადის პროგრამაში შეტანის საკითხსაც შეეხნენ. ელისეევმა დეტალურად გაიხსენა ყველა ის ოლიმპიადა, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა და იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რამაც ამ საქმის დადებითად გადაწყვეტა შეაფერხა. ელისეევმა გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს წლებში სამბო მაინც გახდება ოლიმპიური სახეობა, რადგან საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი. უპირველესად, მასობრიობის თვალსაზრისით, რადგან სამბო მსოფლიოს 5 კონტინენტზე 70-მდე ქვეყანაშია დაფუძნებული.

**ირაკლი თავაძე**

## მთამსვლელობა

# ბიისის ყინულზე




2 მარტს, გორის რაიონში, ატენის ხეობის სოფელ ბიისთან მდებარე გაყინულ ჩანჩქერზე ყინულზე კომბინირებული ცოცვის პირველი ფესტივალი გაიმართება. ეს ჩანჩქერი ყინულზე ცოცვის მოყვარულებში უკვე საკმაოდ პოპულარულია და იქ ქვეყნის პირველობებიც ტარდება, მაგრამ ახლანდელი შეჯიბრება კომბინირებულია და ამდენად, განსხვავებულიც - ამჯერად მასში მთამსვლელობის ელემენტებიც შედის. ორგანიზატორებმა შეგნებულად გაართულეს პროგრამა, სამაგიეროდ, მონაწილეობის უფლება მხოლოდ ვაჟებს დარჩეთ სწორედ ტრასის სირთულიდან გამომდინარე. სპორტსმენებს ხელოვნურად შექმნილი ბარიერების დაძლევაც მოუწევთ და ერგეთ წოდებული, "ქვედა დაცვით" იასპარეზებენ. ფესტივალის ორგანიზატორია საქართველოს ალპიური კლუბი და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია, მხარდამჭერი - საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ფინანსურად კი ტურნირს "ოპერა დიზაინი" უზრუნველყოფს.

ამ ტურნირთან დაკავშირებით გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ალპური კლუბის დირექტორი **ბიძინა გუჯაბიძე**, მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი **გივი ქართველიშვილი**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და ახალგაზრდა მთამსვლელი **ირაკლი გუჯაბიძე** ესწრებოდნენ.

ეს ჩანჩქერი დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლისაა და, როგორც გითხარით, იქ უკვე რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ იმ ტურნირებმა საგრძნობლად აამაღლა ყინულზე ცოცვის დონე საქართველოში და გამოთქვეს იმედი, რომ ახლანდელი, უფრო გართულებული და შერეული ტიპის შეჯიბრება ამ პროცესს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. სავარაუდოდ, მასში 40-მდე მონაწილე გამოვა. ასპარეზობა 11:30-ზე დაიწყება, გამარჯვებულები კი 17 საათზე გამოვლინდებიან. ისინი შედარებით მოკრძალებული პრიზებითაც დაჯილდოვდებიან. 2 მარტს, დილის 8 საათზე, ალპინისტთა კლუბის მიმდებარე ტერიტორიიდან, ვერის ბაღიდან უფასო ავტობუსები გავლენ.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ფილადელფია 3:4 (ბ)**

3:2, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 დ. რუა-24 (შპაჩეკი-20), 2:0 მაკარტური-8 (პომინვილი-39, ტ. კონოლი-31), 3:0 პომინვილი-18 (ტ. კონოლი-32, შპაჩეკი-21), 3:1 ჯ. კარტერი-20 (ნუბლი-19, რ. ჯონსი-22), 3:2 ჰარტნელი-20 (ტორესენი-2), 3:3 უმბერგერი-12 (ქობურნი-22, ნუბლი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** კოტალიკი (ბაფალო), ჯ. კარტერი (ფილადელფია), ბრიერი (ფილადელფია).

**ოტავა-ტორონტო 0:5**

0:1, 0:4, 0:0

**გოლები:** 0:1 სუნდინი-26 (ტ. კაბერლე-33), 0:2 ტაკერი-13 (ჯ. ბლეიკი-26, სტაიანი-14), 0:3 კუბინა-6 (ტაკერი-10, სტაიანი-15), 0:4 ტაკერი-14 (სტაიანი-16), 0:5 მური-4 (კილგერი-7).

### კვირის სამი ვარსკვლავი

კარიერაში მე-20 ჰეთ-თრიკის შესრულებიდან მეორე დღეს, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად, "ანაჰაიმ დაქსის" ფორვარდი **ტეემუ სელიანე** გამოაცხადა. ფინელმა ვეტერანმა თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა, თავად ჰოკეისტმა კი, "ჩიკაგოსთან" შეხვედრაში ხუთი ქულის (3+2) დაგროვება შეძლო.

სელიანემ ყველა დროის გოლეადორთა სიაში ლეგენდარულ **მორის რიშარს** გაასწრო და 25-ე ადგილზე გადავიდა (544 შაიბა). გარდა ამისა, მან კარიერაში მე-600 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

მას შემდეგ, რაც ფინელი "ანაჰაიმის" რიგებში დაბრუნდა, სტენლის თასის მოქმედმა მფლობელმა 10-დან 9 შეხვედრა მოიგო.

კვირის მეორე და მესამე ვარსკვლავის სტატუსი მეკარეებს ერგოთ, შესაბამისად **მარტინ ბროდოსა** ("ნიუ ჯერსი") და **მიკა კიპრუსოფს** ("კალგარი").

ბროდო საკუთარ კარში საშუალოდ 1.48 შაიბას უშვებდა. ვეტერანმა გოლკიპერმა 4-დან ოთხი შეხვედრა მოაგებინა თავის გუნდს და ის აღმოსავლეთი კონფერენციის პირველ ადგილზე გაიყვანა.

გასულ კვირას, კიპრუსოფმა სამ თამაშში 102-დან 100 დარტყმა მოიგერია. ფინელი საშუალოდ 0.67 შაიბას უშვებდა და მისი ასეთი თამაშით "კალგარიმ" სამივე შეხვედრა მოიგო.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ჯერსი* | 63 | 37 | 21 | 5 | 79 |
| 2. ოტავა* | 63 | 36 | 21 | 6 | 78 |
| 3. კაროლინა* | 65 | 32 | 28 | 5 | 69 |
| 4. პიტსბურგი | 63 | 35 | 21 | 7 | 77 |
| 5. მონრეალი | 63 | 33 | 21 | 9 | 75 |
| 6. რეინჯერსი | 64 | 32 | 24 | 8 | 72 |
| 7. ბოსტონი | 61 | 32 | 23 | 6 | 70 |
| 8. ფილადელფია | 63 | 31 | 25 | 7 | 69 |
| 9. ბაფალო | 63 | 30 | 24 | 9 | 69 |
| 10. აილენდერსი | 63 | 30 | 26 | 7 | 67 |
| 11. ტორონტო | 64 | 27 | 28 | 9 | 63 |
| 12. ვაშინგტონი | 63 | 28 | 27 | 8 | 64 |
| 13. ფლორიდა | 65 | 28 | 30 | 7 | 63 |
| 14. ატლანტა | 63 | 29 | 30 | 4 | 62 |
| 15. ტამპა ბეი | 62 | 25 | 30 | 7 | 57 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 64 | 42 | 17 | 5 | 89 |
| 2. დალასი* | 66 | 39 | 22 | 5 | 83 |
| 3. კალგარი* | 63 | 33 | 22 | 8 | 74 |
| 4. ანაჰაიმი | 66 | 36 | 23 | 7 | 79 |
| 5. სან ხოსე | 62 | 33 | 21 | 8 | 74 |
| 6. მინესოტა | 62 | 34 | 23 | 5 | 73 |
| 7. ვანკუვერი | 62 | 32 | 22 | 8 | 72 |
| 8. ნეშვილი | 64 | 32 | 24 | 8 | 72 |
| 9. ფინიქსი | 63 | 32 | 26 | 5 | 69 |
| 10. კოლორადო | 63 | 31 | 26 | 6 | 68 |
| 11. კოლამბუსი | 64 | 29 | 26 | 9 | 67 |
| 12. სტ. ლუისი | 62 | 28 | 24 | 10 | 66 |
| 13. ჩიკაგო | 62 | 29 | 27 | 6 | 64 |
| 14. ედმონტონი | 63 | 28 | 30 | 5 | 61 |
| 15. ლოს ანჯელესი | 64 | 26 | 34 | 4 | 56 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 82 (48+34) |
| მალკინი (პიტ) | 82 (35+47) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 78 (32+46) |
| იგინლა (კალ) | 75 (38+37) |
| ალფრედსონი (ოტა) | 75 (35+40) |
| სპეცა (ოტა) | 74 (24+50) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 73 (35+38) |
| დაციუკი (დეტ) | 73 (22+51) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 48 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 40 |
| იგინლა (კალ) | 38 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 35 |
| ალფრედსონი (ოტა) | 35 |
| მალკინი (პიტ) | 35 |
| გაბორიკი (მინ) | 33 |
| ნეში (კოლამ) | 33 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სავარი (ბოს) | 55 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 54 |
| ჰ. სედინი (ვან) | 51 |
| დაციუკი (დეტ) | 51 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 50 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 50 |
| სპეცა (ოტა) | 50 |

NHL. ტრანსფერი

# ლეგენდა დაბრუნდა

ლეგენდარული შვედი ფორვარდი **პიტერ ფორსბერგი** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნდა. 2002-03 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშემ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის ყოფილ კლუბთან, "კოლორადო ეველანშთან" და ამ გარიგების სანაცვლოდ ის 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ვეტერანი ფორვარდის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე დღის წინათ, ფორსბერგმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წელს დიდ ჰოკეიში არ დაბრუნდებოდა, რადგან კვლავ აწუხებდა ფეხის ძველი ტრავმა.

მაგრამ შვედმა ბოლო მომენტში შეცვალა გადაწყვეტილება და ახლა ის "კოლორადოს" პლეი ოფის საგზურის მოპოვებაში დაეხმარება. "ეველანშს" რეგულარულში 19 მატჩი დარჩა სათამაშო და გუნდს ოთხი ქულა აშორებს პლეი ოფის ზონას. კოლორადოელთა ფანებს შორის ამაღლებული განწყობაა. გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული სამი ლიდერი - **რაიან სმიტი, ჯო საკიკი და პოლ შჩასტნი**, ამათ კი სულ მალე ფორსბერგიც დაემატება.

*"ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ძალიან დიდი და დაძაბული სამუშაო გავწიე. ბედნიერი ვარ, რომ კვლავ მომეცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თამაშის საშუალება. "კოლორადოსთან" ჩემი კარიერის ბევრი მნიშვნელოვანი მომენტია დაკავშირებული და მოხარული ვიქნები, თუ ჩემს ახალ და ძველ პარტნიორებს დახმარებას გავუწევ"*, - ამბობს შვედი ვეტერანი.

ფორსბერგმა "კოლორადოში" 9 სეზონი გაატარა და კლუბთან ერთად ორჯერ მოიგო სტენლის თასი. 2002-03 წლების სეზონში, შვედმა MVP-ის ტიტული დაიმსახურა, როცა რეგულარულში 29 გოლი გაიტანა და 77 შედეგიანი პასი შეასრულა.

ამის შემდეგ, ფორსბერგმა "ფილადელფიაში" ამოჰყო თავი, სადაც წელიწადნახევარი ითამაშა და 100 მატჩში 115 ქულა დააგროვა. სკანდინაველის ბოლო კლუბი კი, "ნეშვილ პრედატორზი" გახლდათ.

*"ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ "კოლორადოს" გულშემატკივრებს კარგი ახალი ამბავი უნდა ვაცნობო. ფორსბერგმა ჩვენს გუნდში არჩია კარიერის გაგრძელება. დარწმუნებული ვარ, ის შესამჩნევად გააძლიერებს "ეველანშს"*, - განაცხადა "კოლორადოს" ვიცე-პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა **ფრანსუა ჟიგერმა**.

"კოლორადოს" უახლოესი შეხვედრა კალგარიში, ადგილობრივ "ფლეიმზთან" უწევს და ფორსბერგის დებიუტი შესაძლოა სწორედ ამ მატჩში შედგეს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. ახალი ამბები

## რეინჯერსი იაგრს არ გაუშვებს

გაირკვა, რომ ამ სეზონში კლუბს არ შეიცვლის "ნიუ იორკ რეინჯერსის" ჩეხი ვეტერანი **იარომირ იაგრი**. ტრეიდებისთვის განკუთვნილი პერიოდის დასრულებამდე ერთი დღით ადრე, ნიუიორკული კლუბის ხელმძღვანელობამ სატრანსფერო სიიდან ამოშალა ცნობილი ფორვარდი. უფრო მეტიც, ზაფხულში "რეინჯერსი" იაგრთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

## ნიუიორკელებმა მცველი დაკარგეს

სანამ "რეინჯერსი" იაგრთან მოლაპარაკებებზე ფიქრობს, ამ გუნდის მცველი **პოლ მარა** ორი კვირით გამოაკლდა რეგულარულ ჩემპიონატს. ჰოკეისტს სახის ძვალის მოტეხილობის გამო ოპერაცია ელის. მაგრამ ეს ტრავმა "ბაფალოსთან" შეხვედრაში მიიღო.

ამ სეზონში მცველმა 55 მატჩში 17 ქულა (1+16) დააგროვა.

## მოროს სეზონი დასრულდა

უფრო სერიოზულადაა "ედმონტო ოილერზის" ფორვარდ **ეტან მოროს** მდგომარეობა, რომელსაც ფეხის ძვალი აქვს გაბზარული. ამ დაზიანების გამო, ჰოკეისტს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

"მენავთობეებთა" კაპიტანმა ეს ტრავმა ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო. მაშინ ექიმებმა ეს იოლ დაზიანებად მიიჩნიეს და ფორვარდი თამაშს აგრძელებდა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ მორო სერიოზული სამკურნალო ყოფილა. გარდა ფეხის დაზიანებისა, ეტანმა სეზონის დიდი ნაწილი მხარის ტრავმის გამო გამოტოვა.

საერთო ჯამში, ფორვარდს 25 მატჩი და 9 ქულა (5+4) დაუგროვდა.

## ფილადელფიამ პროსპალი დაიმატა

გუშინ, მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა "ფილადელფია ფლაიერზმა". ამ გუნდმა "ტამპა ბეიდან" ჩეხი ფორვარდი **ვაცლავ პროსპალი** დაიმატა, სანაცვლოდ კი, "ლაითნინგში" პერსპექტიული მცველი **ალექსანდრ პიკარი** გაუშვა და ამას 2008 წლის დრაფტზე სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებაც დაუმატა.

ამ სეზონში პროსპალმა 62 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მის ანგარიშზე 29 გოლი და 28 შედეგიანი პასი მოდის.

"მფრინავებისთვის" ამ ტრანსფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც იცით, გუნდს სამი კვირით გამოაკლდა საუკეთესო ბომბარდირი **მაიკ რიჩარდსი**, ხოლო უფრო ადრე, სეზონს გამოემშვიდობა **საიმონ განიე**.

## ტამპამ მცველი დაიტოვა

ამასობაში, "ტამპა ბეის" ხელმძღვანელობამ წამყვანი მცველი **დენ ბოილი** შეინარჩუნა. ჰოკეისტთან ახალი, 6-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ბოილი ჯამში 40 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამ სეზონში მცველმა მხოლოდ 17 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (3 გოლი+8 პასი) დააგროვა. რეგულარულის პირველი 45 ტური მან მაჯის ტრავმის გამო გამოტოვა.

სულ NHL-ში ბოილმა 503 მატჩი ითამაშა და 278 ქულას (75+203) მოუყარა თავი.

## მაკკარტი დეტროიტში დაბრუნდა

"დეტროიტ რედ უინგზმა" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **დარენ მაკკარტისთან**. ვეტერანი ფორვარდი სეზონის დარჩენილ მატჩებში 535 ათას დოლარს მიიღებს. ასე რომ, 35 წლის ჰოკეისტი იმ კლუბში დაბრუნდა, სადაც 11 წელი გაატარა და სამჯერ მოიგო სტენლის თასი.

მაკკარტიმ "დეტროიტი" 2003-04 წლების სეზონის ბოლოს დატოვა და "კალგარიში" გადავიდა. იქ მან ორი სეზონი გაატარა, ხოლო თავისი ბოლო მატჩი ვეტერანმა 2007 წლის აპრილში გამართა. მაკკარტიმ წლევანდელი სეზონი ერთ-ერთ ქვედა ლიგაში დაიწყო, შემდეგ კი, "დეტროიტის" ფარმ-კლუბთან გააფორმა კონტრაქტი.

**ავტოსპორტი**

ვარსკვლავი

# ვილნევი რბოლას აგრძელებს

ფორმულა ერთში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, კანადელი **ჟაკ ვილნევი** ამბობს, რომ სპორტული კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და რომ მას ნასქარ-ის სერიაში გააგრძელებს.

მას შემდეგ, რაც ფორმულა ერთში გამოსვლები დაასრულა, ვილნევმა სხვადასხვა კლასის ავტომობილებით რბოლებში სცადა ბედი. ბოლოს მან ნასქარ-ის სერიის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ახლახანს, "ბილ დევის რეისინგმა" თავისი რიგებიდან დაითხოვა.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა ერთში გადასვლამდე, 1995 წელს ვილნევმა კარტ-ის (იგივე ინდი კარის) ჩემპიონატის ტიტული მოიპოვა და იმავე სეზონში, ლეგენდარული რბოლა – ინდი 500 მოიგო. ეს სეზონი მან ავსტრალიელი ბიზნესმენის, **ბარი გრინის** გუნდში გაატარა, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა სარბოლ სერიებში აქვს თავისი გუნდები, თუმცა ნასქარ-ში ჯერჯერობით, არ მოღვაწეობს.

ვილნევი და გრინი ახლა სპონსორის ძიებაში არიან, რომელიც ნასქარ-ის სპრინტის თასზე ასპარეზობაში მათ გამოსვლას ფინანსურად უზრუნველჰყოფს. ვილნევი ამბობს, სპრინტის თასზე გამოსვლა მისთვის ახალი გამოწვევა და მოტივაციის ძლიერი წყაროა.

*"ნასქარ-ში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ აქ რბოლები კონკურენტულ გარემოში ტარდება. აქ შეიძლება კვალიფიკაციაში ბოლო ადგილი დაიკავო, მაგრამ რბოლის მოგების ზუსტად ისეთივე შანსი გქონდეს, როგორიც პოულის მფლობელს"*, - ამბობს ვილნევი, ვინც იმედოვნებს, რომ მონაწილეობას მიიღებს ნასქარ-ის ჩემპიონატის მონრეალის ეტაპზე, რომელიც აგვისტოში მისი სახელოვანი მამის, **ჟილ ვილნევის** სახელობის ავტოდრომზე ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ "ბილ დევი რეისინგმა" ვილნევი მას შემდეგ დაითხოვა, რაც კანადელმა პილოტმა დაიტონა 500-ის საკვალიფიკაციო სესიაზე თავისი "ტოიოტა ქამრი" ნამსხვრევებად აქცია.

დაბოლოს, ვილნევი ამ სეზონში ლე მანის 24-საათიან რბოლაში, "პეჟოს" საქარხნო გუნდთან ერთად მიიღებს მონაწილეობას.

**ოლიმპიზმი**

პეკინი 2008

# ლინფორდ კრისტი ჩირაღდნის ესტაფეტის მიღმა

ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი ას მეტრზე სპრინტში, **ლინფორდ კრისტი** პეკინის ოლიმპიადის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ლონდონის მონაკვეთზე მონაწილეობას არ მიიღებს.

ლონდონის მერ **კენ ლივინგსტონის** კაბინეტმა ესტაფეტაზე კრისტის მიწვევა არ ისურვა, რისი მიზეზიც ის გარემოება გახდა, რომ სპრინტერი დოპინგის გამოყენებაში მხილების გამო, დისკვალიფიკაციას იხდის. ლონდონის მერიის სპორტის სამსახურს უკვე შერჩეული ჰყავს ის 80 სპორტსმენი, რომლებსაც 6 აპრილს ჩირაღდნის ტარების პატივი ერგოთ. და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ შორის კრისტის სახელიც ფიგურირებს, რომელსაც მერმა პირადად გაუგზავნა მოსაწვევი.

მაგრამ კრისტი ამბობს, რომ ესტაფეტაში მონაწილეობას მაინც ვერ მიიღებს, რადგან ჩირაღდნის ლონდონში გავლის დროს, ის სავარჯიშო ბანაკში უნდა იყოს. *"ჩვენთვის დიდი პატივია ის ფაქტი, რომ ლინფორდი ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობისთვისაა მიწვეული, მაგრამ სამწუხაროდ, ამ დროს ის სავარჯიშო ბანაკში იქნება"*, - ამბობს სპრინტერის აგენტი **სიუ ბარეტი**.

ლონდონის მთავრობა აცხადებს, რომ კრისტი ლივინგსტონის კი არა, მისი კაბინეტის წევრების მიერაა მიწვეული და რომ ეს შეცდომა იყო. მერს ესტაფეტისთვის პირადად ხუთი ადამიანის შერჩევის უფლება ჰქონდა, თუმცა ამ ხუთეულში კრისტი არ ფიგურირებს.

ცნობისთვის, ლივინგსტონი ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო საბჭოს წევრია და ის პეკინის ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას. ამ ცერემონიის ბოლოს, მას ოლიმპიურ დროშას პეკინის მერი გადასცემს.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა-ტორონტო 98:102**

30:19, 16:35, 31:23, 21:25

**ინდიანა:** გრეინჯერი (20 ქ. 10 მ), მ. დენიელსი (20 ქ. 4 მ. 3 ჩ), მერფი (17 ქ. 7 პ. 4 მ), მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ), კ. რაში (13 ქ. 7 პ. 4 მ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 10 მ. 4 პ. 2 დ), დელფინო (23 ქ. 5 მ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 7 პ. 5 მ), ე. პარკერი (8 ქ. 11 მ. 4 პ).

**ს. ანტონიო-ატლანტა 89:74**

5:16, 25:21, 27:11, 32:26

**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქ. 10 მ. 3 დ. 2 ჩ), ტ. პარკერი (15 ქ. 9 პ. 4 მ. 2 დ), ჯინობილი (13 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), უდოკა (10 ქ. 3 პ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (17 ქ. 5 მ. 5 პ), **ზაზა ფაჩულია (14 ქ. 3 მ. 1 პ)**, ჰორფორდი (12 ქ. 13 მ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (6 ქ. 13 მ. 4 პ. 3 ჩ).

**ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი 92:95**

28:20, 24:21, 22:27, 18:27

**ნიუ ორლეანი:** პოლი (22 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), პიტერსონი (18 ქ. 7 მ), დევიდ უესტი (13 ქ. 8 მ. 4 პ), სტოიაკოვიჩი (11 ქ. 4 მ), ჩენდლერი (4 ქ. 11 მ).

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (33 ქ. 3 მ), რ. მეისონი (12 ქ. 3 პ), ჰეივუდი (12 ქ. 8 მ. 2 დ), ჯეიმისონი (10 ქ. 10 მ. 6 ჩ), ა. დენიელსი (10 ქ).

**დალასი-ჩიკაგო 102:94**

29:14, 24:29, 23:23, 26:28

**დალასი:** ნოვიცკი (29 ქ. 10 მ. 4 პ), სტექჰაუზი (23 ქ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ), კიდი (11 ქ. 9 მ. 8 პ. 4 ჩ), ტერი (11 ქ. 6 პ. 4 ჩ. 3 მ), დემპიე (6 ქ. 16 მ. 7 დ).

**ჩიკაგო:** გორდონი (25 ქ. 4 პ. 2 ჩ), გუდენი (17 ქ. 8 მ. 2 ჩ), ჰიუზი (14 ქ. 5 მ. 3 პ), დენგი (10 ქ. 9 მ. 2 ჩ), სეფოლოშა (10 ქ).

**დენვერი-დეტროიტი 93:98**

28:30, 21:19, 24:24, 20:25

**დენვერი:** აივერსონი (28 ქ. 7 პ. 4 მ. 3 ჩ), ენტონი (23 ქ. 11 მ. 5 პ. 2 დ), ჯეი. არ. სმიტი (13 ქ. 3 მ. 3 ჩ), კემბი (4 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (20 ქ. 8 პ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (20 ქ. 8 მ. 6 პ), პრინსი (20 ქ. 9 პ. 6 მ), მაკდაიესი (16 ქ. 13 მ. 2 პ), რ. უოლასი (10 ქ. 9 მ).

**კლიპერსი-ბოსტონი 76:104**

17:23, 19:22, 21:32, 19:27

**კლიპერსი:** ტიმ ტომასი (15 ქ. 9 მ), მაგეტი (11 ქ. 3 მ. 3 პ), ტორნტონი (11 ქ. 8 მ. 2 ჩ), ნაიტი (10 ქ).

**ბოსტონი:** პირსი (17 ქ. 3 პ), პოუსი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), რ. ალენი (15 ქ. 7 პ. 4 მ), პოუ (12 ქ), გარნეტი (11 ქ. 6 მ. 4 პ. 4 დ).



NBA. კვირის მოთამაშეები

# ლებრონი და მანუ

წინა კვირის საუკეთესოებად ლიგამ აღმოსავლეთში "კავალიერსის" ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი**, ხოლო საპირისპირო კონფერენციაში კი "სან ანტონიოს" არგენტინელი მსროლელი **მანუ ჯინობილი** დაასახელა. ერთმაცა და მეორემაც ფენომენალურად ითამაშეს და ნამდვილად დაიმსახურეს ეს აღიარება.

"კავალიერსმა" 4 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო, ხოლო ლებრონი ამ მატჩებში საშუალოდ სამმაგ დუბლს (28.8 ქულა, 12.3 მოხსნა და 10.5 შედეგიანი გადაცემა) აგროვებდა. ჯეიმსი გახდა პირველი მოთამაშე ლეგენდარული **ერვინ "მეჯიქ" ჯონსონის** შემდეგ, რომელიც კვირის განმავლობაში, მინიმუმ 3 მატჩში საშუალოდ ტრიპლ-დაბლს ასრულებდა და სამმაგები ზედიზედ ორ მატჩში დააფიქსირა. "ლეიკერსის" მეგავარსკვლავს მსგავსი შედეგი 1988 წლის რეგულარულში ჰქონდა. წინა კვირას ლებრონი საუკეთესო იყო ლიგაში ზუსტი პასების მხრივ, მესამე გახლდათ მოხსნებში და მეოთხე - ქულებში.

ჯინობილიმ და მისმა გუნდმა "კავალიერსზე" ერთი მატჩით ნაკლები ჩაატარეს და სამივე მოიგეს. არგენტინელის საშუალო სტატისტიკურმა მონაგარმა 30.7 ქულა, 6.3 ზუსტი პასი და 4.3 მოხსნა შეადგინა. ამ სეზონში 20.7 ქულით, მანუ ტეხასელთა შორის საუკეთესოა. ჯინობილიმ თამაშიდან სროლების 64 (!) პროცენტი გამოიყენა და 21 თებერვალს, "მინესოტასთან" 100:99 მოგებულ შეხვედრაში, ძირითადის დასრულებამდე 6 წამით ადრე გადამწყვეტი ქულები შესძინა თავის გუნდს. ბოლო ხუთ შეხვედრაში არგენტინელმა ორჯერ დააგროვა 40 და მეტი ქულა და კარიერის რეკორდები მოხსნებისა (15, "ტორონტოსთან", 23 თებერვალს) და შედეგიანი გადაცემების (12, "ნიუ ორლეანთან", 24 თებერვალი) მხრივ დაამყარა.

ლებრონისა და მანუს გარდა, წინა კვირის საუკეთესო მოთამაშის პრიზზე პრეტენზიას აცხადებდნენ **კრის ბოში** (ტორონტო), **ტრეისი მაკგრეიდი** (ჰიუსტონი), **ჩონსი ბილაპსი** (დეტროიტი), **ლამარ ოდომი** (ლეიკერსი), **რიჩარდ ჯეფერსონი** (ნიუ ჯერსი), **რაშიდ უოლასი** (დეტროიტი), **დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო), **ამარე სტაუდმაიერი** (ფინიქსი), **მაიკლ რედი** (მილოუკი) და **რონ არტესტი** (საკრამენტო).

## სხვადასხვა

კალათბურთი

### ჯეიმისონი "უიზარდსიდან" წასვლაზე ალაპარაკდა

"ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთი ლიდერი **ანტუან ჯეიმისონი**, სავარაუდოდ, ამ ზაფხულს დატოვებს კლუბს. ფორვარდი ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება და შეიძლება ისე მოხდეს, რომ მან დედაქალაქელებთან კონტრაქტი აღარ გააგრძელოს.

*"აუცილებლად შევისწავლი თავისუფალი აგენტების ბაზარს და ამის შემდეგ გადავწყვეტ, რომელი ვარიანტი იქნება ჩემთვის მაქსიმალურად მისაღები. ეს ბიზნესია და აქ ყველაფერია შესაძლებელი"*, - ამბობს ჯეიმისონი.

### ანდერსონი ლიგას უბრუნდება

"ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ფორვარდი **კრის ანდერსონი** კარიერის გაგრძელებას აპირებს. თავის დროზე, ეს კალათბურთელი 2-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს ნარკოტიკების გამოყენებისთვის.

NBA-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, თავად "ჰორნეთსი" არ აპირებს ფორვარდთან თანამშრომლობის გაგრძელებას და მისი კონტრაქტის გაუქმება აქვს განზრახული. ასეთ შემთხვევაში, ანდერსენი თავისუფალი აგენტი გახდება და ახალ კლუბს მოძებნის. ანდერსონით დაინტერესებას, ჯერჯერობით, ერთი კლუბი გამოხატავს. ეს არის "ბოსტონ სელტიქსი".

### მინესოტა ვერ გაძლიერდება

წლევანდელ ზაფხულში, "მინესოტა ტიმბერვულვზი" ვერ შეძლებს შემადგენლობის გაძლიერებას. კლუბის მფლობელის, **გლენ ტეილორის** განცხადებით, "მგლები" ვერ დაიმატებენ რომელიმე ძვირადღირებულ თავისუფალ აგენტს, ვინაიდან "მინესოტას" ამ ზაფხულს თავისი ყოფილი მოთამაშეების, **ჯუვან ჰოვარდისა** და **ტროი ჰადსონის** საკონტრაქტო დავალიანებები აქვს დასაფარი.

ასე რომ, მომავალ სეზონში **კევინ გარნეტის** წასვლით დასუსტებულ "ტიმბერვულვზს" არსებული კადრებითა და დრაფტზე აყვანილი მოთამაშეებით მოუწევს ფონს გასვლა.

ფორმულა 1

### შუმახერი მესამე იყო

როგორც წინა ნომერში ვწერდით, ლეგენდარულ გერმანელ პილოტს, **მიხაელ შუმახერს** მონაწილეობა უნდა მიეღო "ფერარის" მორიგ სატესტო სერიაში. ორშაბათს, მიხაელი **ფელიპე მასას** ბოლიდის საჭეს მიუჯდა და საუკეთესო წრე წუთსა და 22.428 წამში გაიარა.

ეს იმ დღეს მესამე შედეგი იყო. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს "მაკლარენის" ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** (1:22.276) და მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, ფინელმა **კიმი რაიკონენმა** (1:22.319). აჯობა. რაც შეეხება "რენოს" ახალწვეულ **ფერნანდო ალონსოს**, ის მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ტესტების შემდეგ, შუმახერმა აღნიშნა, რომ ვარჯიშისას მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება "უილიამსის" პილოტმა, **ნიკო როსბერგმა** მოახდინა. ალონსომ კი განაცხადა, რომ მალე "BMW-ზაუბერი" "მაკლარენს" დაეწევა.

## TV სპორტი

**27 თებერვალი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**15:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:25** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**17:55** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**19:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:15** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ
**21:05** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:05** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**23:55** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**00:25** ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**00:55** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ვალენსია. I მატჩი (LIVE).
**02:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**08:33** სპორტდოსიე.
**09:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:05** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**10:18** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ტორინო.
**13:00** ფეხბურთი. Barca TV.
**13:06** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
**14:55** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**15:23** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო.
**17:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ბოლტონი.
**18:59** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**19:29** წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
**20:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**20:13** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ატლანტა.
**22:00** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:14** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:42** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
**23:15** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**01:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი.
**03:27** მინი-მოედანი.
**03:53** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. III ტური. მონტეპასკი-პანათინაიკოსი.
**05:33** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-არსენალი.
**07:23** ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
**07:50** ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

**11:30** ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
**13:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა (LIVE).
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**16:15** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. ჯგუფური ეტაპი. II დღე. ჩინეთი (LIVE).
**18:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა.
**19:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
**19:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**22:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა.
**23:30** თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
**00:00** მულტისპორტი.
**00:05** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**00:10** გოლფი. PGA-ს ტური.
**01:10** გოლფ-კლუბი.
**01:45** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:50** აფროსნობა.
**01:55** მულტისპორტი.
**02:00** მძლეოსნობა. ჭოკით ხტომა. დონეცკი. უკრაინა.
**02:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა.
**03:30** თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
**04:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**15:00** ახალი ამბები.
**15:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**17:30** ფრისტაილი. აშშ.
**18:00** თოვლმავალი. საჩვენებელი გამოსვლები. ავსტრია.
**19:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი.
**22:30** ახალი ამბები.
**21:00** ფრისტაილი. რუსეთი.
**21:30** ფრისტაილი. ავსტრია.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
**00:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
**01:00** პრო-რესტლინგი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ექსტრემალური სპორტი.
**02:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალია**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-ტორინო | 0:0 |

**იუვენტუსი:** ბუფონი, ლეგროტალიე, ძებინა, კიელინი, მოლინარო, ნედვედი, კამორანეზი, სისოკო, იაკუინტა, დელ პიერო, პალადინო (63. ნოჩერინო).

**ტორინო:** სერენი, დი ლორეტო, კომოტო, პიზანო, ნატალი (27. დელაფიორე), დიანა (48. როსინა), ბარონე, გრელა, პ. ძანეტი, რეკობა (81. ლანა), სტელონე.

**გაძევება:** ნედვედი (90+3. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 15(41)-13(1); **კუთხური:** 11-8; **თამაშგარე:** 3-8; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 35 000

**სერია B**

| | |
|---|---|
| ასკოლი-ბრეშია | 0:1 |

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ქუინზ პარკი | 0:0 |
| ბარნლი-კოვენტრი | 2:0 |
| პრესტონი-სტოკი | 2:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| კრიუ-კარლაილი | 0:1 |
| ლეიტონი-მილუოლი | 1:1 |
| ოლდჰემი-სუინდონი | 2:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ბრენტფორდი | 1:0 |
| ბრედფორდი-როტერჰემი | 3:2 |
| დაგენჰემი-ჰერეფორდი | 1:0 |
| მენსფილდი-ბერი | 1:1 |
| რექსჰემი-პიტერბრო | 0:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰისტონი-სტეფორდი | 3:3 |
| ტორკი-ალტრინჩემი | 1:1 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| მორეკამბი-გრიმსბი | 0:1 |

**გერმანია**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი | 3:1 |
| შტუტგარტი-კარლ ცაისი | 1:1, პენ. 4:5 |

**საფრანგეთის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| პსჟ-ოსერი | 3:2 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰაარლემი-ჰერაკლესი | 1:5 |
| დორდრეხტი-როდა | 1:3 |

**შოტლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პიტერჰედი-ალოა | 2:2 |
| ბრეჩინი-როსი | 1:2 |
| კოუდენბითი-ქუინზ პარკი | გადაიდო |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-სტენჰაუზმუირი | გადაიდო |
| ფორფარი-ალბიონი | 1:0 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| როვანიემი-ჰიკ | 0:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| პაშინგი-შტურმი | 0:2 |

**თურქეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-დემირსპორი | 2:2 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-ლეგია | 0:2 |
| იაგელონია-ვისლა | 1:1 |

**კალათბურთი**

**ULEB-ის თასი**

| | |
|---|---|
| ტრიუმფი-ერტლანდი | 82:80 |
| ხიმკი-კიოლნი | 96:69 |
| ტურკ ტელეკომი-უნიქსი | 96:93 |
| ტუროვი-ნიმბურკი | 68:66 |
| დინამო (მ)-შლიონსკი | 92:83 |
| ბეშიქთაში-ჰაპოელი (თ) | 73:53 |
| ვენტსპილსი-ლუკოილი | 55:73 |
| კიევი-ოსტენდე | 68:60 |
| ბუდუჩნოსტი-პამოფარში | 78:73 |
| ზადარი-აზოვმაში | 77:60 |
| ხუვენტუდი-გმუნდენი | 77:56 |
| გალათასარაი-ვილერბანი | 76:75 |
| ბენეტონი-ცრვენა ზვეზდა | 82:83 |
| ხირონა-შალონი | 78:57 |
| გრან კანარია-ბოსნა | 89:69 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-დინამო | 2:3 |
| სპარტაკი-აკ ბარსი | 3:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-შტრაუბინგი | 6:2 |
| ნიურნბერგი-აისბარენი | 6:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კიეკო | 4:3 |
| იოკერიტი-კალპა | 5:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 5:3 |
| საიპა-ესპეტი | 3:1 |
| ტპს-იუვიასკიულა | 2:2 |
| ჰპკ-ტაპარა | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინშოპინგი-მოდო | 3:3 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 0:3 |
| ჰვ 71-ფერიესტადი | 3:0 |
| იურგორდენი-მორა | 3:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| გაბაშვილი-მაიერი | 7:6, 6:0 |
| კარანუშიჩი-კავჩიჩი | 6:7, 6:4, 6:4 |
| სეპი-დე ვოესტი | 4:6, 6:7 |
| ჟიკელი-ჟოვკო | 3:6, 5:7 |
| ტროიცკი-ბასტლი | 6:3, 7:6 |
| კარლოვიჩი-სტახოვსკი | 6:4, 6:7, 2:6 |
| სიმონი-ჩერვანეკი | 7:6, 6:1 |
| ჰაასე-ბერერი | 6:4, 6:3 |
| გრემელმაირი-დე შონაკი | 6:7, 6:1, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-გულბისი | 6:3, 7:6 |
| ანჩიჩი-მაუ | 7:6, 7:6 |
| ჩილიჩი-გარსია ლოპესი | 6:2, 6:2 |

**ATP. მემფისი**

| | |
|---|---|
| ლუ-ჰანესკუ | 3:6, 1:6 |
| კერი-რასელი | 3:6, 6:3, 7:5 |
| სპეიდი-დარცისი | 5:7, 6:4, 6:7 |
| შტეპანეკი-ლევინი | 6:1, 6:4 |

**ATP. აკაპულკო**

| | |
|---|---|
| როიტმანი-ლუჩაკი | 3:6, 4:6 |
| ორნა-ფონინი | 6:4, 7:5 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| ბამერი-მაკაროვა | 7:6, 6:3 |
| საფაროვა-სუგიამა | 1:6, 6:3, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-ა. რადვანსკა | 6:2, 2:6, 6:4 |
| ბარტოლი-სკიავონე | 1:6, 7:6, 1:6 |
| მირზა-დუშევინა | 7:6, 6:2 |
| პეტროვა-სრებოტნიკი | 4:6, 4:6 |
| ვაიდიშოვა-ნაკამურა | 6:3, 6:0 |
| მორესმო-მედინა გარიგესი | 7:6, 6:2 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაჩკი-სეკერა | 6:0, 6:2 |
| პეერი-როული | 6:2, 6:1 |
| გოლოვინი-მატეკი | 4:6, 4:6 |
| ერაკოვიჩი-ჟიდკოვა | 2:6, 6:3, 6:4 |

**WTA. აკაპულკო**

| | |
|---|---|
| ზაკოპალოვა-სანჩესი | 4:6, 6:3, 6:1 |
| ერანი-მალეკი | 6:3, 6:3 |

## ATP

### Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 794 000 დოლარი

**I წრე**

**ხუან მონაკო (არგ, 3)**-ხუან პაბლო ბრზეჟიცკი (არგ); **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 6)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:2; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 7) 7:6 (4), 6:3; **მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპ)**-ბრუნო როდრიგესი 6:3, 6:3.

### PBZ Zagreb Indoors

ზაგრები (ხორვატია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**I წრე**

**ოლივიე როხუსი (ბელ)**-ფაბრის სანტორო (საფ, 4) 6:3, 2:0 სანტოროს უარი; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 6:1; **სიმონე ბოლელი (იტა)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:3, 6:2; **სტეფან კუბეკი (ავსტრია)**-ფრანკო შკუგორი (ხორ) 2:6, 7:6(2), 6:0.

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 769 000 დოლარი

**I წრე**

**ტომი ჰაასი (გერ, 3)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:3, 6:2; იურგენ მელცერი (ავსტრია, 7)-ჯონ ისნერი (აშშ) 6:7 (8), 6:3, 7:6 (4); **ფლორან სერა (საფ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:1, 6:2; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-დუდი სელა (ისრ) 6:4, 6:2; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:6 (6), 7:6 (5); **იონას ბიორკმანი (შვედ)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:3, 6:1.

## WTA

### Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 დოლარი

**I წრე**

**ელენა დემენტიევა (რუს, 8)**-პატი შნიდერი (შვეიც) 7:5, 6:0; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-მარია კირილენკო (რუს) 3:6, 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს)**-სელიმა სფარი (ტუნ) 6:1, 6:3. .

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**ლინდსი დავენპორტი (აშშ, 4)**-საბინ ლისიცკი (გერ) 7:5, 6:3; **ოლგა გოვორცოვა (5, ბლრ)**-მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:4, 6:2; **სტეფანი დუბუა (კან)**-ვანია კინგი (აშშ) 6:2, 2:6, 6:1; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლ) 6:3, 5:7, 6:2; **ევგენია როდინა (რუს)**-ანასტასია იაკიმოვი (ბლრ) 7:5, 6:4; **ამბერ ლიუ (აშ)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:4, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-ოლგა პუტჩკოვა (რუს) 6:3, 3:6, 6:4; **მიჩელ ლარჩერდ ბრიტო (პორ)**-სტეფანი კოენ ალორო (საფ) 7:5, 1:0 კოენ ალოროს უარი; **ჯულია გორჯესი (გერ)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 7:6 (3), 7:6 (3); **სოფია არვიდსონი (შვედ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 7:6, 5:7, 6:1; **რენატა ვორაკოვა (ჩეხ)**-მარეტ ანი (ესტ) 6:3, 6:7, 7:6.

### Abierto Mexicano

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 185 000 დოლარი

**I წრე**

**ფლავია პენეტა (იტა, 1)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 6:1; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 6:2, 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-რიკა ფუჯივარა (იაპ) 7:5, 6:3; **ჯულია შრუფი (გერ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:2, 6:7(6), 7:6(5); **მელისა ტორეს სანდოვალი (მექ)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 3:6, 7:5, 7:5; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:4, 7:6.

რაგბი

## უილკინსონის მსოფლიო რეკორდი

ექვსი ერის თასის მესამე ტურში, ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებების შეხვედრის დროს, ინგლისელთა ლიდერმა **ჯონი უილკინსონმა** ოფიციალურ მატჩებში 29-ე არეკნი გაიტანა, რაც მსოფლიო რეკორდი გახლავთ. რაც შეეხება შეხვედრას, ისევე, როგორც შარშანდელი მსოფლიო თასის მეოთხედფინალში, ინგლისმა ამჯერადაც დაამარცხა საფრანგეთი მისსავე მოედანზე.

ექვსი ერის თასზე, ინგლისმა ბოლო რვა წლის განმავლობაში პირველად დაამარცხა საფრანგეთი გასვლით შეხვედრაში.

ინტერვიუ ენდი როდიკთან

# პიტისთვის დიდი ჩოგბურთი საინტერესო აღარ არის

**ამერიკის ნაკრებმა დევისის თასზე მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა და ახლა ამ გუნდის ერთგულ მოთამაშესა და ლიდერს, ენდი როდიკს საშუალება აქვს ინდივიდუალურ გამოსვლებს მიაქციოს ყურადღება.**

**ენდიმ სეზონი არც ისე წარმატებულად დაიწყო, როცა ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა ავსტრალიის ღია პირველობას (წააგო გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერთან). ამიტომაც, ამერიკელისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სან ხოსეში გასულ კვირას დასრულებულ ტურნირს, სადაც როდიკმა მესამედ კარიერაში მთავარი პრიზი მოიპოვა.**

**ჟურნალ TENNIS-ში გამოქვეყნებული ინტერვიუ სწორედ სან ხოსეს ტურნირზე საუბრით იწყება.**

- სან ხოსეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, განსაკუთრებით ავსტრალიის ღია პირველობაზე ნაჩვენები ცუდი შედეგების შემდეგ. აქ მოპოვებულმა გამარჯვებამ დამარწმუნა, რომ 2008 წლის სეზონისთვის კარგად მოვემზადე და წინა წლებისგან განსხვავებით, ამ სეზონში შემეძლება სერიოზულ მიზნებზე ფიქრი.

**- დევისის თასზე გამოსვლა რამდენად გეხმარებათ ინდივიდუალურ ტურნირებში. ამ გუნდურ ჩემპიონატში რაიმე სარგებელს ხედავთ?**

- დარწმუნებული არ ვარ, რომ ახსნას შევძლებ. დევისის თასი - არათანაბარი თამაშია, რადგან თავიდან ავსტრიაში თიხნარზე გამოდიხარ, შემდეგ დასავლეთ სანაპიროზე გადახურულ არენაზე... დევისის თასი არც ისე მოსახერხებელი ტურნირია, მაგრამ ეს ის შეჯიბრია, რომელიც მომწონს.

**- დევისის თასზე მატჩის ჩატარება ფიზიკურად არის უფრო რთული თუ ფსიქოლოგიურად?**

- შარშან, რუსეთთან ფინალის წინ, ბევრი ვისაუბრე იმის შესახებ, რომ დროის 90 პროცენტს ინდივიდუალურ ტურნირებზე ვატარებთ და ვასრულებთ ჩვენს ეგოისტურ და მერკანტილურ მიზნებს: ეს არის ქულები რეიტინგში და ფულადი პრიზები. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენ შეგვეხება. დევისის თასი კი სულ სხვა რამ არის. საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა - ეს უდიდესი პატივია ჩემთვის.

**- მოგწონთ ტურნირის ფორმატი თუ ჯიმ კურიეს მსგავსად, თქვენც გეჩვენებათ, რომ ჩატარების სისტემა უნდა შეიცვალოს?**

- მე სხვა რამ მეჩვენება უცნაურად. ის, რომ დიდი სლემის ტურნირები ცალკე ეწყობა, თავის მხრივ, ITF დევისის თასით არის დაკავებული, ATP-ის საკუთარი ტურნირები აღელვებს. ჩემი აზრით, ამ მექანიზმში რაღაც შესაცვლელია. ეს არ არის მოხერხებული. ამ სქემაში რაღაც უნდა დარეგულირდეს. თუმცა დღეს არ შემიძლია იმის თქმა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს.

**- წელს, რამდენიმე ახალგაზრდა ამერიკელი მოხვდა საზოგადოების თვალთახედვის არეში. შეგიძლიათ მოგვიყვეთ ამერიკულ ჩოგბურთზე და იქაური რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშის პერსპექტივებზე? მხედველობაში მყავს სემ კერი და დონალდ იანგი.**

- მე მგონი პირველად, ჩემი, რობ ჯინეპრისა და მარდი ფიშის შემდეგ, ამერიკაში გამოჩნდა რამდენიმე ბიჭი, რომლებზეც შეიძლება მომავალში აქცენტის გაკეთება. დონალდი და სემი კარგ დონეს აჩვენებენ, იგივე ითქმის ჯონ ისნერზე, თუმცა ის ასაკით უფრო დიდია, მაგრამ მაინც ახალბედად ითვლება, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია. მაგრამ მათ ძალიან ბევრი აქვთ სამუშაო.

**- ფიქრობთ, რომ ისინი დიდ გამარჯვებებთან ახლოს არიან?**

- დიახ, ასე მგონია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სწრაფად მოვა ეს გამარჯვებები. მათ უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. დონალდი შარშან მე-500 ჩოგანი იყო, ასე რომ, საუკეთესო ასეულში შესვლა უკვე ბევრს ნიშნავს. სემ კერი მხოლოდ ახლა გახდა პერსპექტიული ჩოგბურთელი. მოკლედ, მათ ძალიან კარგი სასტარტო პოზიციები გააჩნიათ.

**- რა რჩევას მისცემდით იმ მოთამაშეებს, რომლებიც სერიოზული მიზნებით მოდიან დიდ ჩოგბურთში?**

- მათ ბევრი უნდა იმუშაონ. ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც ბევრ ამერიკელ მოთამაშეს აკლია. სხვადასხვა ცნებებია - ითამაშო ჩოგბურთში იმისთვის, რომ ხალხში გამოხვიდე ან ითამაშო უბრალოდ სიამოვნებისთვის. დღეს, ჩვენ სწორედ ორ ასეთ მიდგომას ვხედავთ საერთაშორისო არენაზე. ახალგაზრდებმა ბევრი მუშაობა არ უნდა დაიზარონ და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

**- გაგიკვირდათ, რომ ბევრისთვის უცნობი ცონგა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი გახდა?**

- კარგია, რომ ასეთი რამ მოხდა. რამდენიმე წლის წინ, ჩვენ გვყავდა ბაღდატისი, ახლა გვყავს ცონგა, ადრე იყო ფერკერკი როლან გაროსზე. ამას, როგორც ფენომენს ისე განიხილავენ, მე კი ასეთი რამ შემთხვევითობად მეჩვენება. რა თქმა უნდა, ცონგას აქვს ნიჭი, ათლეტურიცაა და მან საჭირო მომენტში გაისროლა. გაკვირვებული ვარ თუ არა? დიახ. გაოგნებული? არა.

**- შარშან, პიტ სამპრასმა როჯერ ფედერერის წინააღმდეგ საჩვენებელი მატჩები გამართა. თქვენ თუ უყურეთ ამ ორი ტიტანის დაპირისპირებას? როგორ ფიქრობთ, რისი მიღწევა შეუძლია პიტს ამ ეტაპზე?**

- ასეთი მატჩები ძალიან დამაინტრიგებელი და თავისთავად, უაღრესად საინტერესოა. დღეს ბევრს ბჭობენ იმაზე, სამპრასი ATP-ში რომ თამაშობდეს, საუკეთესო ხუთეულში დაიკავებდა ადგილსო. ის არ იყო ხუთეულში, როცა კარიერას ასრულებდა. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ვილაც სამი წელი უსაქმოდ იყოს, შემდეგ დაბრუნდეს და მაშინვე საუკეთესო გახდეს. მაგრამ, თუ ამას ოდესმე ვინმე შეძლებს, ეს მხოლოდ პიტი იქნება და სხვა არავინ.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ მისი დაბრუნების შანსი არსებობს?**

- იქედან გამომდინარე, რაც ვიცი და რაც გამიგონია, პიტისთვის დიდი ჩოგბურთი საინტერესო აღარ არის.

**- ძმები ბრაიანების ფენომენზე შეგეკითხებით. რატომ არის ასე ძნელი მათი დამარცხება?**

- ისინი ყოველთვის ერთად თამაშობენ. ხანდახან, საერთოდ არ ლაპარაკობენ ერთმანეთში და ისე ხვდებიან ერთმანეთის მოძრაობას. წყვილთა თანრიგი მათი საქმეა. აქ ჰარმონიული მოქმედებაა საჭირო და სწორედ ამიტომაც, ისინი კონკურენციის გარეშე არიან. საერთოდ, ახალგაზრდა მოთამაშეები არ ჩქარობენ წყვილთა თანრიგში თამაშს. ბრაიანები სწორად მოიქცნენ, როცა ეს დისციპლინა აირჩიეს. სხვათა შორის, მათ ერთეულთა თანრიგში სწორედ მაშინ გააუმჯობესეს თამაში, როცა წყვილთა ტურნირებში დაიწყეს მონაწილეობის მიღება.

**- ბევრ ჩოგბურთელს ხშირად ახლავს ტურნირებზე საკუთარი მწვრთნელი, თქვენ კი, ასეთი ყურადღებით განებივრებული არ ხართ. არ გჭირდებათ, რომ ჯიმი კონორსი უფრო ხშირად იყოს თქვენს გვერდით?**

- წელს ჩვენ უფრო ხშირად ვიქნებით ერთად და მისი მეთვალყურეობის ქვეშ მეტი ვარჯიში მომიწევს. სანამ მასთან თანამშრომლობას დავიწყებდი, წინასწარ ვიცოდი, რომ ჯიმი წელიწადში 35 კვირას ჩემთან ერთად არ იმოგზაურებდა. მაგრამ ამავდროულად, მინდა, რომ ამ ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა ჩემს პროგრესს შეუწყოს ხელი და რეგულარულად გამიწიოს დახმარება. ეს ის საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ მოსაფიქრებელია.

**- ავსტრალიის ღია პირველობაზე ფილიპ კოლშრაიბერთან ნაგების შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ალბათ, იმ მარცხის გაანალიზებასაც მოასწრებდით. ფიქრობთ, რომ ისეთ მეტოქესთან წააგეთ, რომელიც მართლა კარგ ჩოგბურთს აჩვენებდა?**

- დიახ, ისეთი ჩოგბურთელის წინააღმდეგ მომიწია შეხვედრა, რომელიც ძალიან კარგად თამაშობდა. მაგრამ იმ წაგებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ავსტრალიის ღია პირველობას კარგ ფორმაში შევხვედრილიყავი. შესაძლოა, ცოტათი მეტი დრო დავუთმე ფიზიკურ მომზადებას და სხვა სათამაშო ასპექტები დავივიწყე. მაგალითად, მეტი უნდა მევარჯიშა მარჯვნიდან დარტყმებზე. ასეთ შემთხვევაში, კოლშრაიბერს ხანგრძლივ გათამაშებებში გამოვიწვევდი და გასაქანს არ მივცემდი. მაგრამ ახლა არ ღირს ამის გახსენება. თანაც, გერმანელი იმ დღეს ბრწყინვალედ მოქმედებდა.

**- ამ წაგების შემდეგ, კონორსმა რა კორექტივები შეიტანა ვარჯიშებში? რა რეაქცია ჰქონდა მას ავსტრალიურფიასკოზე?**

- მან ვარჯიშები უფრო აგრესიული გახადა. ამ წარუმატებლობის გამო, ცოტათი გაოგნებული დავრჩით, რადგან გვეგონა, რომ სეზონისთვის კარგად ვიყავით მზად. მაგრამ არ მგონია, რომ ეს ერთი ლოკალური წარუმატებლობა, ამ სეზონში ჩემს გამოსვლას დაღს დაასვამს. უბრალოდ, არ უნდა გაჩერდე და მუშაობა გააგრძელო. ჯიმი ამის შესახებ ყოველდღე მელაპარაკებოდა.

**- როგორ შეაფასებდით ბოლო წლებში თქვენს პროგრესს? თავს უფრო მაღალი დონის, უფრო ჭკვიან და გამოცდილ ჩოგბურთელად მიიჩნევთ?**

- დიახ, მე ამას ვგრძნობ. ხანდახან არ მყოფნის იუნიორებისთვის დამახასიათებელი გულგრილობა. ადრე განსაკუთრებით ვერ ვერკვეოდი იმაში, რაც ხდებოდა და არ მესმოდა ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი. ხანდახან, ეს სასარგებლოც იყო ჩემთვის (იცინის). კვალიფიციური მოთამაშე ვარ, მაგრამ ხშირ შემთხვევებში მიჭირდა კორტზე ყველაფერის ერთდროულად კარგად კეთება. ახლა ეს პრობლემა ნელ-ნელა გვარდება.




სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა